დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის
23 - 29 ოქტომბერი

N 46 1510

ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი

## სახელმწიფო უსაფრთხოების შეფი

# გვაფრთხილებს:

## საქართველოს შემოგარენში ატომური იარაღის გამოყენების საფრთხე რეალურია!



„შემუშავებულია გეგმა და სცენარი, რომლის ამოქმედებაც მოგვიწევს რეგიონში ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში!“



2

3-5



### კობა არაბული:

სოფლის ღობეებზე სხვა ჩიტები და ფრინველები ჩამოსხდებიან. ფუტკარი მეხსიერებას დაკარგავს და სკაში ვეღარ დაბრუნდება, ადამიანებს დაავიწყდებათ, ვინ არიან, საიდან და რატომ მოვიდნენ!

# ეს არის აპოკალიფსი!

### არნო ხიდირბეგიშვილი:

## ამერიკას სურდა, რუსეთის წინააღმდეგ საქართველოში „მეორე ფრონტი“ გაეხსნა და თავად გამოჰკრა ხელი „მეორე ფრონტს“ ისრაელში!



26

# ზელენსკი გაიაფდა!




12



### მიხეილ ქლენტი:

მსოფლიოს მასშტაბით დაიწყო ამერიკული იმპერიალიზმის რღვევის დიადი პროცესი!

8



11

# ჭირიანები ჭორვილაში

# სახელმწიფო უსაფრთხოების შეფი გვაფრთხილებს!

*2023 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის გრიგოლ ლილუაშვილის დახურული მოსმენა შედგა.*




## გრიგოლ ლილუაშვილი:

**არსებული გამოწვევები არ გამორიცხავს ბირთვული იარაღის გამოყენებას. შემუშავებულია სამოქმედო გეგმა და თითოეულ უწყებას გაწერილი აქვს სცენარი, რომლის ამოქმედებაც მოგვიწევს რეგიონში ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში!**

საკანონმდებლო ორგანოს სასესიო დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ **სუს**-ის უფროსმა განაცხადა, რომ **პარლამენტის წევრებთან მაქსიმალურად გახსნილად ისაუბრა იმ საკითხებზე, რომლებიც ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და ქვეყნის წინაშე მდგარ რისკებს ეხება, თუმცა, მისივე თქმით, არსებობს თემები, რომელთა შესახებაც კიდევ უფრო ვიწრო წრეში — მხოლოდ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან ან რამდენიმე დეპუტატისაგან შემდგარ ნდობის ჯგუფთან შეიძლება საუბარი.**

**გრიგოლ ლილუაშვილმა,** რომელიც ჟურნალისტების კითხვებს საკმაოდ დიდხანს პასუხობდა, არაერთ მნიშვნელოვან საკითხს გაუსვა ხაზი, მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც საზოგადოებამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელისაგან შეიტყო, ის გახლავთ, რომ **საქართველოს ხელისუფლებას დაწყებული აქვს პრევენციული მუშაობა ბირთვული ომის სასტიკ შედეგებთან გასამკლავებლად.**

საქართველოში საინფორმაციო სივრცე ისე აქვს წალეკილი შიდა პოლიტიკურ მასკარადებს, მმართველი პარტიისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა კინკლაობას, პარლამენტის სხდომათა დარბაზსა თუ დერეფანში ატეხილ მუშტიკრივს, ერთმანეთისათვის **„შე რუსეთის აგენტო“**-სა და **„შე ამერიკის აგენტო“**-ს ძახილს,

**საქართველოს შემოგარენში ატომური იარაღის გამოყენების საფრთხე იმაზე ბევრად რეალურია, ვიდრე შეიძლება, წარმოდგენილი გვქონდეს!**

რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არც დრო რჩება და არც ნერვები, სათანადოდ გააცნობიეროს, რა საფრთხეების წინაშე დგას ქვეყანა მაშინ, როცა გარშემო ომის ცეცხლი გიზგიზებს.

სწორედ ასეთ ვითარებაში განგაშის ზარის ეფექტი უნდა ჰქონდეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებას:

> ***„არსებული გამოწვევები არ გამორიცხავს ბირთვული იარაღის გამოყენებას. ღმერთმა დაგვიფაროს, ჩვენს ქვეყანას არ ვგულისხმობ, ირგვლივ რეგიონს ვგულისხმობ“.***

ერთია, როცა ასეთ განცხადებას რომელიმე პოლიტიკოსი, ე.წ. ექსპერტი ან ანალიტიკოსი აკეთებს, მაგრამ სულ სხვაა, როცა ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხეზე საუბრობს **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი,** რომლის ხელშიც საშინაო და საგარეო დაზვერვის არხებით მოპოვებული, გაანალიზებული და გაფილტრული საიდუმლო ინფორმაციები იყრის თავს.

**სუს**-ის უფროსი რომ აცხადებს — **გამორიცხული არ არის, საქართველოს „ირგვლივ რეგიონში“ ბირთვული იარაღი იქნას გამოყენებული,** ცხადია, პირველ რიგში, ახლო აღმოსავლეთის რეგიონს გულისხმობს, სადაც ახლა ისრაელისა და პალესტინის ომი მძვინვარებს, ხოლო ჩვენი მეზობელი ბირთვული სახელმწიფო — **ირანი** — ამ ომის არაოფიციალურ, ირიბ მხარეს წარმოადგენს.

ნებისმიერ ადამიანს, ვისაც საღი აზროვნების უნარი გააჩნია, წესით, არ უნდა გაუჭირდეს იმის გააზრება, რა უბედურება შეიძლება, დატრიალდეს მსოფლიოში და, უპირველესად, საქართველოს ყურის ძირში — ახლო აღმოსავლეთის რეგიონში... **რა მოხდება, თუ ისრაელ-პალესტინის შეიარაღებულ კონფლიქტში ბირთვული სახელმწიფო ირანი ოფიციალურად ჩაებმება და რას მოიმოქმედებს ასეთ დროს კიდევ ერთი ბირთვული სახელმწიფო — ისრაელის მთავარი მოკავშირე და ირანის მთავარი მტერი ამერიკის შეერთებული შტატები... რას იზამს ბირთვული სახელმწიფო რუსეთი და რეგიონის კიდევ ერთი ძლიერი მოთამაშე, ნატო-ს წევრი თურქეთი...**

დიახ, ერთი შეხედვით, ამ საფრთხის გააზრება და გაანალიზება რთული არ უნდა იყოს, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, საქართველოს მოსახლეობას იაფფასიანი პოლიტიკური შოუებითა და პარტიული ძიძგილაობებით აბრუებენ.

**ასეთ დროს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის გაფრთხილებას — გამორიცხული არ არის, ჩვენს შემოგარენში ატომური იარაღი გავარდესო, განსაკუთრებული ფასი და მნიშვნელობა აქვს!**

**ყოველ შემთხვევაში, უნდა**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



უნდა შევახსენოთ **სალომე ზურაბიშვილს** და ყველას, **ამ ქვეყანაში დასრულდა დრო, როცა პრეზიდენტს ეგონა, რომ იდგა კანონსა და კონსტიტუციაზე მაღლა.** ვფიქრობ, ჩვენმა ხელისუფლებამ სტატუსისთვის გააკეთა მაქსიმუმი, **მიუხედავად ოპოზიციის საბოტაჟისა,** შიდა თუ გარე მტრების მონდომებისა, ჩვენ გავედით ბოლოში.

„იმედინიუსი“

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**სალომე ზურაბიშვილმა** ომი გამოუცხადა არა **ირაკლი კობახიძეს** და „ქართულ ოცნებას“, არამედ საქართველოს კონსტიტუციას და სახელმწიფო ინსტიტუტებს. **ეს ომი მან წააგო 10:0. ზურაბიშვილი დღეიდან მხოლოდ ფორმალურადაა პრეზიდენტი** — ამერიკული ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ის დარჩება ე.წ. **„კოჭლ იხვად“,** რომელიც უფსკრულისკენ მიმავალ კოლექტიურ ნაცმოძრაობასაა ადევნებული.

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ხედავთ, მსოფლიოში რა ხდება?** რამხელა უბედურება ხდება ყველგან, ამიტომ **ჩვენი მთავარი საზრუნავი არის ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება.** დამასანქცირებენ თუ არა, არ ვფიქრობ ამაზე და არც მაინტერესებს.

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ჩვენს **ხინკალს და ხაჭაპურს პატივს ბევრი ადამიანი სცემს,** მათ შორის, ჩვენი ოკუპანტი ქვეყანაც — **ვისაც უნდა ქართველი ხალხის პატივისცემა, პატივი უნდა სცეს მის კონსტიტუციას.**

„ინტერპრესნიუსი“



„ამ ჰიბრიდული ომების, ახალი წარღვნის შუაგულშია მოქცეული დღეს საქართველო – ძველი იბერიული რასა, რომელსაც ჯერჯერობით ღვთისმშობელი დარაჯობს!“



## კობა არაბული:

# ეს არის აპოკალიფსი!

ჰქონდეს!

მითუმეტეს, რომ **სუს**-ის უფროსმა **გრიგოლ ლილუაშვილმა** ჟურნალისტებთან იმ პრევენციული ზომების შესახებაც ისაუბრა, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება ატომური იარაღის დამანგრეველი შედეგებისაგან მოსახლეობის დასაცავად იღებს:

***„მთავრობის ხელმძღვანელობით, მისი მორეაგირე უწყებების, მათ შორის, ჩვენი სამსახურის მონაწილეობით, შემუშავებულია სამოქმედო გეგმა და თითოეულ უწყებას გაწერილი აქვს სცენარი, რომლის ამოქმედებაც მოგვიწევს რეგიონში ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში. ჯანდაცვის სამინისტროს გაწერილი აქვს მედიკამენტების მარაგების განაწილება მოსახლეობაზე, მკურნალობა, მათ შორის, სასწრაფო დახმარების გაწევის სქემა“.***

ჟურნალისტების კითხვას — **ატომური იარაღის გამოყენების შემთხვევაში, აქვს თუ არა მზად სახელმწიფოს სპეციალური თავშესაფრები საქართველოს მოსახლეობისათვის?** — ლილუაშვილმა ასე უპასუხა:

***„თავშესაფრების გამოყოფა გათვალისწინებულია, თუმცა, ეს აქტუალური ხდება მაშინ, თუ, ღმერთმა დაგვიფაროს, პირდაპირი დარტყმა მოხდება. ასეთ შემთხვევაში თავშესაფარი არ გვიშველის, ამიტომ, ჭკვიანად უნდა ვიყოთ, ზომიერი, პრაგმატული პოლიტიკა ვაწარმოოთ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც“.***

სახელმწიფო უსაფრთხოების შეფის განცხადება და ის ფაქტი, რომ ხელისუფლებას დაწყებული აქვს მზადება ბირთვული ომის დამანგრეველი შედეგებისაგან თავის დასაცავად, ერთადერთ რამეზე მეტყველებს — **საქართველოს შემოგარენში ატომური იარაღის გამოყენების საფრთხე იმაზე ბევრად რეალურია, ვიდრე შეიძლება, წარმოდგენილი გვქონდეს!**

რაც შეეხება **სუს**-ის ხელმძღვანელის გაფრთხილებას — **ჭკუით ვიყოთ და ზომიერი, პრაგმატული პოლიტიკა გავატაროთო** — ამას ისევ „ქართულმა ოცნებამ“ უნდა ათხოვოს ყური, თორემ ნაცოპოზიციად წოდებული **„მეხუთე კოლონისათვის“ სულერთია — თუ თვითონ არ იქნებიან ხელისუფლებაში, დაე, საქართველოში ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა!**

**ჯაბა ხუბუა**

**საქართველოს ხელისუფლებას დაწყებული აქვს მზადება ბირთვული ომის სასტიკი შედეგებისაგან თავის დასაცავად!**

***ომის ეპიცენტრმა უკრაინიდან ისრაელისა და პალესტინის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა სახიფათო ნიშნულს მიაღწია. როგორც პოეტი, მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ეთნოკულტურათა მკვლევარი კობა არაბული ამბობს, ეს აპოკალიფსია და განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, რომ ერი, როგორც ეთნოსი გადარჩეს:***

— ისტორია ცოცხალი სისტემაა და მოძრაობს. **ხევსური ქადაგი ჯერ კიდევ როდის ამბობდა — „დედამიწა შეიკუმშება“** და ყველაფერი ახლოს მოვა. **დიდში ჩადგება მცირე და მცირეში — დიდი, ქალი იქცევა კაცად და კაცი — ქალად.** ეს იქნება ახალი აპოკალიფსის, ანუ მეორედ მოსვლის ნიშნები.

მათივე თქმით, ბუნებაში მოხდება გლობალური, მკვეთრი და სწრაფი ცვლილებანი, დედამიწა ტრაექტორიას და სიჩქარეს შეიცვლის, მცენარენი — განვითარების ფაზებს და **ჩვენ დროში სხვა დრო დადგება, გაზაფხულში — ზაფხული, ზაფხულში — ზამთარი, შემოდგომა და გაზაფხული** თითქოს დაიკარგება.

**სოფლის ღობეებზე სხვა ჩიტები და ფრინველები ჩამოსხდებიან სულ სხვა რაღაცის მანიშნებლად. ფუტკარი მეხსიერებას დაკარგავს და სკაში ველარ დაბრუნდება, ადამიანებს დაავიწყდებათ, ვინ არიან, საიდან და რატომ მოვიდნენ. პანდემია თანდათან წაშლის მათ მეხსიერებას.**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

**„ხევსური ქადაგი ჯერ კიდევ როდის ამბობდა — „დედამიწა შეიკუმშება“ და ყველაფერი ახლოს მოვა. დიდში ჩადგება მცირე და მცირეში — დიდი, ქალი იქცევა კაცად და კაცი — ქალად!“**

## კვირგვინოსნები

**გიორგი მამაცაშვილი**
*საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე, ჟურნალისტი*



**ზურაბ-გირჩის მოგვარე სოფო** რამდენიმე ნაციონალთან ერთად ჭორვილაში ჩასულა. **„ჭორვილა უნდა გავხადოთ ევროპული ქალაქი!“** — განუცხადებია და ვერ მოასწრო. კვერცხების სროლით გამოაპანღურეს ჭორვილელებმა. არადა, **ბიძინა ივანიშვილის** დამსახურებით, **ჭორვილა ჯერ კიდევ მაშინ იყო ევროპული,** როცა **ჟვანიასა** და **შევარდნაძის** „მოქალაქეთა კავშირში“ **ვანო მერაბიშვილი, არმაზ ახვლედიანი, ზურაბ ადეიშვილი** და სხვები სკამებს დაათრევდნენ ოთახიდან ოთახში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელს ვუსმინე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ **ირაკლი ღარიბაშვილის, ვახტანგ გომელაურის, ირაკლი კობახიძის, კახი კალაძის, გრიგოლ ლილუაშვილის, თეა წულუკიანის, რატი ბრეგაძისა** და „ქართული ოცნების“ პოლიტიკის შედეგია, რომ **ბუჩა და მარიუპოლი არ განმეორებულა ჩვენთან!**

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



ჩემთვის, როგორც იუსტიციის მინისტრისთვის, **ძალიან სამწუხაროა, რომ სახელმწიფოს მეთაურმა კონსტიტუცია დაარღვია** და ეს არის დადასტურებული ფაქტი.

„ინტერპრესნიუსი“

**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტარი*



თუ **სალომე ზურაბიშვილი** ჩაიდენს დანაშაულს და იმპიჩმენტით ვერ მოხდება თანამდებობიდან გადაყენება, **სამართლებრივი რეაგირება განხორციელდება** უფლებამოსილების ამოწურვის შემდგომ.

„ინტერპრესნიუსი“

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



როგორ გგონიათ, **მე, ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი რამ უნდა შემაშინოს,** თუნდაც პროკურატურის ხსენებამ? რამ უნდა მაიძულოს, ეს ქვეყანა მივატოვო? — **ამის იმედი ნუ გექნებათ!**

„ინტერპრესნიუსი“



„მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა სოკრატე ათენის სასამართლოს განაჩენს გაქცეოდა, მან სასჯელს თავი არ აარიდა და სასამართლოს არ დაუპირისპირდა!“



## კობა არაბული:

# სალომე ზურაბიშვილი არის დიდი ქართველის – ნიკო ნიკოლაძის სახელის შემარცხვენელი!

დასაწყისი მე-3 გვერდზე

**— ანუ ის, რაც დღეს ხდება, ჩვენს წინაპრებს ნაწინასწარმეტყველები აქვთ?**

— დიახ, ეს მოვლენები ხევსურთა მითშია ასახული. **ხევსური მისტიკოსები ამცნობდნენ საყმოს: „აიყრება და წავა თემი თავისი ადგილიდან, ნასახლარებად და ნასოფლარებად გადაიქცევა ქვეყანა. დაიკარგება ცოდნა და საიდუმლო სიბრძნე, თუმცა, გავა დრო და ისევ დაუბრუნდებიან ძველ სამკვიდროს. მსოფლიო შეიკუმშება და აპოკალიფსის ზღვარზე დადგება“.**

დღეს ხევსური, სვანი, თუში მწყემსი თუ მეჯოგე **ჯიბის „ტელევიზორიდან“** ხედავს, როგორ მიასვენებენ და ყრიან ხალხს საერთო მორგებში, როგორ ჟლეტენ, უფატრავენ მუცლებს და აუპატიურებენ ებრაელ ხალხს. ასევე უყურებენ ებრაელთა შურისძიებას „ჰამასზე“ და არაბებზე, როგორ ხოცავენ და ახშობენ მათ თავდასხმას სისხლსა და შიმშილში. **ეს არის აპოკალიფსი, რომელიც 21-ე საუკუნეში ჩამოდგა.**

ჯოჯოხეთი, რომელსაც საკუთარი თვალით ვხედავთ, **„უცნობმა სფინქსმა“** მოაწყო, რომელსაც **მასონურ-ლიბერასტული ბეჭედი** აზის. მისი თუ მათი ხელშეწყობით ანადგურებენ თაობებს და ჟლეტენ კაცობრიობას.

**მათ მოაწყვეს უკრაინაში სისხლიანი კალო ისევე, როგორც სირიაში, ბაბილონსა და ავღანეთში. მათ დაანთეს ომების თუ ჰიბრიდული ომების ქარიშხალი, ისინი ცდილობენ ისტორიული ერებისა და ცივილიზაციების წაშლას.**

ამ ჰიბრიდული ომების, ახალი წარღვნის შუაგულშია მოქცეული დღეს **საქართველო — ძველი იბერიული რასა,** რომელსაც ჯერჯერობით ღვთისმშობელი დარაჯობს. მისი მფარველობით განაგრძნობს ეს ქვეყანა ცეცხლის კვამლში არსებობას და ინარჩუნებს მშვიდობას. ერთი რამ დღესავით ნათელია — ჩვენ ვართ დიდ წარღვნებში გადარჩენილი ერი. მავანნი საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ მის დანგრევას და დაღუპვას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ — აყენებდნენ უფსკრულთან, მაგრამ ვერ აგდებდნენ უფსკრულში, უფლის ხელი აჩერებდა და აძლევდა ძალას გზის გაგრძელების, **აძლევდა ისეთ ხელისუფალთ, რომელთაც შეეძლოთ მისი გადარჩენა.**

**— და მაინც, რამ მოგვიყვანა დღემდე? იქნებ სწორედ ამაშია ჩვენი დღევანდელი გადარჩენის საიდუმლოც?**

— თემის საკრალურ დროში მოვლენები მირაჟულად ცვლიდნენ ერთმანეთს. **მოულოდნელად იცვლებოდა კოსმიური აურა და დგებოდა დროში სხვა უცნობი დრო, მოვლენაში — სხვა მოვლენა. იცვლებოდა მნათობთა ბუნება.**

თემს უდგებოდა **„ურწყის კვირა“** — ციდან ჩამოდიოდნენ ხილული და უხილავი არსებანი და სოფლის ირგვლივ დგებოდნენ. ისინი მიწიერთ უქმნიდნენ ხიფათს, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს, ამ დროს ქადაგი შედიოდა სახიფათო სტრესულ სივრცეში, სოლარულ წრეში, იღებდა ახალ საიდუმლო ინფორმაციას და საყმოს, თემს უცხადებდა ბედისწერას, თუ რა ელოდებოდა მას. **ბედისწერული ჟამის დასაძლევად იდგმებოდა ქადაგის და თემის „კოდ-ბადაგი“ და ტარდებოდა წმინდა რიტუალი — გზების, აურის, ჰაერისა და მიწის კურთხევის...**

თემის ენერგეტიკული დაცვის ფსიქოლოგია ძლიერი იყო. ქადაგთა, ხევისბერთა, ნათელმხილველთა, ჯვარ-სალოცავთა გარემოცვაში საყმოს, **თემს ჰქონდა ბედისწერის და „სტრესის“ დაძლევის შინაგანი ენერგია — „განწყობის ფსიქოლოგია“.** ზოგადად, თემი იმოსებოდა რწმენით და ბრწყინვალე საიდუმლო საომარი აღჭურვილობით, „წაღმა-უკუღმა ნაქსოვი“ ჯაჭვის პერანგით და ქარიზმული ტალავარით, რომელიც მთლიანად ჯვრებითა და მნათობთა ენერგეტიკული ემბლემებით იყო დაფარული, რაც დიდ როლს თამაშობდა თემის ეთნოფსიქიკური აურის შეკვრაში, იცავდა მისი სულისა და ხორცის მთლიანობას, სიმყარეს. **ამ დროს მან იცოდა, რომელი მცენარე, ქვა თუ წყალი რისი მკურნალი იყო, რომელი მცენარის ფესვი თუ ნაყოფი ვარგოდა საკვებად, საზრდოდ.**

**თუშებმა და ხევსურებმა „დეკის გულა“ დაფქვეს და ხმიადები გამოაცხვეს, წამლად გამოიყენეს, შიმშილი და შიმშილის შიშის განცდა დაძლიეს. ერთ მომენტში მათი დრო თითქოს შეიკუმშა, „დიდში ჩადგა მცირე“, მაგრამ მცირეში ჩაეტია დიდი.**

ეს არის დღევანდელი სამყაროს უახლესი მეცნიერული მოდელიც, უწინარეს დროში ხილული და განცდილი. თემის, საყმოს მეხსიერება ამოუწურავია. **ქადაგის, მეანდრეზის მეხსიერება თემის მეხსიერების მხოლოდ ნაწილია, მეტაფიზიკური დროის ანატეხი.**

„ენერგეტიკული ველი“ და ბუნება ინახავს უძველესი თემის ანაბეჭდს. შეიძლება ანდრეზში რამდენიმე გარდასული თემის და ტომის ცოდნაც იდოს ერთდროულად — ეს არის **„მითში მდგარი მითი“**, ანუ **„ბიბლი-**



„ძველი საადათო სამართლის მიხედვით, ამ ტიპის დამნაშავეებს თემი მკაცრად სჯიდა — ან მოკვეთდნენ თემიდან ან მზეზე აყენებდნენ და მის ჩრდილს კლავდნენ, ცოცხალ-მკვდარს ტოვებდნენ, რაც ფიზიკურ სიკვდილზე უარესი იყო!“

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ამ გადაწყვეტილების შემდეგ **თუკი ვინმე მაინც გამოჩნდება პრეზიდენტთან თანამშრომლობის მსურველი,** ამით ცხადყოფენ, რომ მსოფლიოს გარკვეული პოლიტიკური ლიდერებისთვის **კანონდამრღვევი პრეზიდენტიც კი მისაღებია.**

„იმედინიუსი“

**მანანა კობახიძე**
*საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე*



ევროკავშირისკენ გზა **კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის დაცვაზე** მიდის და ეს ყველამ უნდა დაიცვას — დამერწმუნეთ, **სასამართლოს სამართლებრივი არგუმენტები აქვს და ყველა კითხვაზე პასუხია გაცემული.**

„ინტერპრესნიუსი“

**ევა გოცირიძე**
*საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე*



თუკი საქართველო მოახდენს **კონსტიტუციის უგულებელყოფას,** მაშინ ჩვენი ადგილი მართლა არ ყოფილა ევროკავშირში — **კანონზე მაღლა არავინ დგას.**

„ინტერპრესნიუსი“

**მაკა ბოჭორიშვილი**
*ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



არ გაიყიდება და არ შეიფუთება **საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა** და დამოუკიდებელ ინსტიტუტებზე უკანონო და უსაფუძვლო შეტევა ევროპული მომავლისთვის ბრძოლად.

„იმედინიუსი“

ის უკან მდგარი სხვა ბიბლია“.

**— გასაგებია, რომ ეს არის დღევანდელი სამყაროს უახლესი მოდელი, ვხედავთ აპოკალიფსის მოახლოებასაც, მაგრამ მაინც გკითხავთ, რა ჰქვია თანამედროვე ენაზე პრეზიდენტის საქციელს?**

— რასაც **სალომე ზურაბიშვილი** აკეთებს, ეს არის სახელმწიფო გადატრიალების, ხელისუფლებისა და მთავრობის შიგნიდან აყირავების მცდელობა, უფრო ზუსტად და კონკრეტულად — ქვეყნის ღალატი! **ძველი საადათო სამართლის მიხედვით, ამ ტიპის დამნაშავეებს თემი მკაცრად სჯიდა — ან მოკვეთდნენ თემიდან ან მზეზე აყენებდნენ და მის ჩრდილს კლავდნენ, ცოცხალ-მკვდარს ტოვებდნენ, რაც ფიზიკურ სიკვდილზე უარესი იყო.**

როცა საკონსტიტუციო სასამართლომ **ზურაბიშვილი** კონსტიტუციის დარღვევაში დაადანაშაულა, ძველი საადათო კანონი და სოკრატეს საქციელი გამახსენდა. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა, **სოკრატე** ათენის სასამართლოს განაჩენს გაქცეოდა, მან სასჯელს თავი არ აარიდა და სასამართლოს არ დაუპირისპირდა. **სალომე ზურაბიშვილს,** რომელმაც დიდი ფილოსოფოსისგან განსხვავებით კონსტიტუცია გათელა, არ ეყო ფსიქოლოგიური მზაობა და ღირსება, დანაშაული ეღიარებინა და საზოგადოებისთვის ბოდიში მოეხადა. პირიქითაც მოხდა — იქით შემოუბრუნდა ხელისუფლებას და კოალიციის შექმნა დაიწყო, გადატრიალების მცდელობის სისრულეში მოყვანას შეუდგა, ანუ აგენტმა საბოლოოდ ჩამოიხსნა მოღალატის ნიღაბი.

**— ამას ნიკო ნიკოლაძის შთამომავალზე ამბობთ?**

— სამწუხაროა, რომ **პრეზიდენტად წოდებული ზურაბიშვილი** ნიკო ნიკოლაძის შთამომავალია. არის ინფორმაცია, რომ არამხოლოდ საქართველოში, ემიგრაციაში ყოფნის დროსაც მან და მისმა ოჯახმა დიდი ღალატი ჩაიდანა საკუთარი ერის წინაშე. თუმცა, ეს ცალკე საუბრის თემაა და ერთ დღესაც, ალბათ, ესეც გამომზეურდება. **ნიკო ნიკოლაძის შთამომავლობა ვერ დაიცავს იმ სირცხვილისგან, რასაც თითქოს საქართველოს სიყვარულით სჩადის. ის არის აგენტი და დიდი ქართველის ნიკო ნიკოლაძის სახელის შემარცხვენელი!**

მის პრეზიდენტად არჩევაში მეც მიმიძღვის მცირე წვლილი, თუმცა, იქვე ვამბობდი — არ არის საიმედო ფიგურა, შეიძლება, კრიზისულ მომენტში „ქართულ ოცნებას“ ძვალივით გაეჩხიროს ყელში-მეთქი. იმ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში სხვა გზა არ იყო — აუცილებლობა შეიქმნა, ყურით მოგვეთრია პრეზიდენტად. მალევე ეს „შემოტენილი“ პრეზიდენტი **მასონების მიერ ორივე ყურით მოთრეული პრეზიდენტების — სააკაშვილისა და მარგველაშვილის სიაში ჩადგა.** დღეს სახეზეა ყურით მოთრეულ პრეზიდენტთა სექტა, რომლებიც ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ კოალიციას ქმნიან, ფაქტობრიად, შექმნილი აქვთ და სახელმწიფო გადატრიალების პროექტს ახორციელებენ. მათ გვერდით არიან თანამედროვე **ლიბერასტ-პროლეტკულტელთა და ფსევდომწერალთა ახალი კასტა, უნიტაზის მწერლებად წოდებულნი,** რომლებიც ჩაბუდებულნი არიან მწერალთა სახლში და ცოცხალი თავით არ აპირებენ მის დათმობას, იქიდან უპირისპირდებიან მწერლობას და ქართველი ერის ისტორიულ ცნობიერებას, პროტესტს აცხადებენ კანონის მიღებაზე აგენტურისა და სიძულვილის ენის შესახებ.




**„პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის დიდი ძალისხმევის შედეგად ვინარჩუნებთ წონასწორობას ამ წარღვნაში!“**

ამ მძიმე პოლიტიკურ საერთაშორისო ვითარებაში პრეზიდენტისა თუ პრეზიდენტების მტრის ბანაკში ყოფნა საკმაოდ სახიფათო მოვლენაა, რასაც მკაცრი, სწორი და ზუსტი შეფასება უნდა მიეცეს ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან.

**— არ არის საკმარისი ხელისუფლების მიერ გამოტანალი განაჩენი?**

— ხელისუფლებამ მას მომაკვდინებელი განაჩენი გამოუტანა, იგივე, რაც საუკუნეების წინათ გამოჰქონდა თემს მოღალატისადმი — **ცოცხლად მოკლა, ნიღაბი ჩამოხსნა და უთხრა — უკვე მკვდარი ხარ, აწი, რაც გინდა, ის ქენიო.** მაგრამ ეს სასჯელი მორალის მქონე ადამიანისთვის არის მძიმე და არა სალომე ზურაბიშვილისათვის. სამწუხაროდ, ხელისუფლება წერტილს ვერ უსვამს ამ მოვლენას. ცდილობს, მაგრამ ვერ ასწორებს იმ შეცდომებს, რასაც ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში ამ ტიპის ანომალიების გაპარპაშება ჰქვია. **კონსტიტუციის დამრღვევი პრეზიდენტის ჩრდილისთვის თოფის სროლა საკმარისი არ არის.** საჭიროა საზოგადოებრივი იმპიჩმენტი, რაც საპარლამენტოზე გაცილებით მწარეა.

დღეს საქართველო აისბერგების ოკეანეში მიცურავს, ამ აისბერგებს თავგანწირვით უვლიან გვერდს ხელისუფალნი, განსაკუთრებით საქართველოს პრემიერი **ირაკლი ღარიბაშვილი.** მისი დიდი ძალისხმევის შედეგად ვინარჩუნებთ წონასწორობას ამ წარღვნაში და სასიცოცხლო რისკის ფასად სუფევს ქვეყანაში მშვიდობა.

პალესტინასა და ისრაელში მიმდინარე მოვლენების ფონზე, მითუმეტეს, როცა ქვეყნის შიგნით ამდენი მოღალატეა, ხოლო გარეთ აპოკალიფსური ხანძარი მძვინვარებს, ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა მიიღოს კანონი ცილისწამებისა და ღალატის შესახებ! იმოქმედოს იმ პრინციპითა და სიბრძნით, რითიც ჩვენი წინაპრები მოქმედებდნენ!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



***მას შემდეგ, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სალომე ზურაბიშვილი კონსტიტუციის დამრღვევად ცნო, საქართველოს პარლამენტს კი პრეზიდენტის იმპიჩმენტისათვის ხმები არ ეყო, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ — სალომე ზურაბიშვილი პირწმინდად დამარცხდაო, ხოლო ოპოზიცია გაიძახის — პრეზიდენტის იმპიჩმენტის ჩაგდებით ხელისუფლება დავამარცხეთო!***

***რეალურად, ვინ მოიგო, ვინ წააგო და, საერთოდ, ჰყავს თუ არა ამ პროცესს გამარჯვებული ან დამარცხებული? ამ და სხვა აქტუალურ თემებზე კინორეჟისორ გოგა ხაინდრავას ვესაუბრებით:***

— მიუხედავად იმისა, რომ **სალომე ზურაბიშვილის** იმპიჩმენტთან დაკავშირებული პოლიტიკური და სამართლებრივი პაექრობა ოპოზიციად წოდებული სექტის სრული კრახით დასრულდა, შეუძლებელია, ამ პროცესს გამარჯვებული ჰყავდეს, რადგან **საქართველოს პრეზიდენტმა, რომელიც, წესით, ქვეყნის სახე და სიმბოლო უნდა იყოს, თავი შეირცხვინა!**

**— თქვენ საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილს აქტიურად უჭერდით მხარს და დღეს რას მიაწერთ მის ასეთ კარდინალურ მეტამორფოზას?**

— **სალომე ზურაბიშვილის** გამო მთელი საქართველო შემოვიარეთ და საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური მოვაგებინეთ მაშინ, როცა პირველი ტური ყველა დიდ ქალაქში წაგებული ჰქონდა. მარტო აჭარაში 20-პროცენტიანი სხვაობა ამოვაქაჩვინეთ და თითქმის იგივე მოხდა ყველგან, მხოლოდ თელავში წააგო მეორე ტური 1-პროცენტიანი სხვაობით. **როგორც დღეს გამოჩნდა, კახელებს ძალიან მაგარი ალღო და წინათგრძნობა ჰქონიათ, ზურაბიშვილი რომ არ აირჩიეს!**

**სალომე ზურაბიშვილი პატივმოყვარეობით არის დაბრმავებული! უმცირესობაში დარჩენილი ბოლშევიკების, ანუ მენშევიკების წრეში გაიზარდა და მენშევიკად დარჩა!**

**როგორ უნდა გქონდეს დაკარგული არამხოლოდ პოლიტიკური, არამედ ადამიანური**

*გაგრძელება მე–6 გვერდზე*




# გოგა ხაინდრავა:

# პირდაპირ ვადებ ხელს – საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების გეგმის უკან ბაიდენის ადმინისტრაცია დგას!

## კვირგვინოსნები

**მეუფე შიო**
*საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე*



**ქრისტეს ძალას** არა მარტო სხეულის, არამედ სულიერად მომკვდარი ადამიანის გაცოცხლება და აღდგინებაც შეუძლია, სადაც მოქმედებს **ქრისტეს ძალა,** იქ აღარ არის სიკვდილი.

„პირველი არხი“

**ფრანცისკე**
*რომის პაპი*



ომი ყოველთვის დამარცხებას ნიშნავს — **ძმებო, შეჩერდით, შეჩერდით.**

„ინტერპრესნიუსი“

**ჯო ბაიდენი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



**ისრაელისა და უკრაინის** წარმატება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია **აშშ-ის** ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

„ინტერპრესნიუსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



რას ნიშნავს — ახლა ნახოს „ოცნებამ“, რომელი **სალომე ზურაბიშვილი** ჯობდაო? **იარაღს აიღებს ხელში და პარლამენტში შემოვარდება?**

„აიპრესი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



ოპოზიციას — **ჯორჯ ორუელის „1984“-ში** ხართ, **მეგობრებს** ეძახით **მტრებს, ომს** ეძახით **მშვიდობას** და **მონობას** ეძახით **თავისუფლებას.**

„პირველი არხი“

**ნანა კაკაბაძე**
*უფლებადამცველი*



ვინმე წარმოიდგენდა, რომ **კრემლის აგენტად და ბიძინას მონად** შერაცხილ **სალომე ზურაბიშვილს** მისი მაგინებელი „პრინციპული“ ოპოზიციონერები ხმალამოღებული დაიცავდნენ?

„ალია“




# გოგა ხაინდრავა: „იუსაიდი“ და ამერიკის საელჩო, ლიაკა ხოშტარიასა და მისნაირების სახით, საქართველოში რუსული „ფე-ეს-ბეს“ აგენტურას აფინანსებენ!



დასაწყისი მე-5 გვერდზე

**თავმოყვარეობა, რომ წითლიძის, სამადაშვილის, ნაცვლიშვილისა და იმ სხვა პოლიტიკური ფაროსანების ბანაკში ამოყო თავი, რომლებიც გუშინ ყველაზე მძიმე და საშინელ შეურაცხყოფას გაყენებდნენ –** რუსეთის რეზიდენტსა და სამშობლოს მოღალატეს გეძახდნენ!

როგორც ჩანს, პრეზიდენტის სკამი საერთოდ უნდა მოვსპოთ, რადგან, ვინც მასზე დაჯდა, ყველამ გონება დაკარგა და გადაირია!

**— თქვენ ამბობთ, რომ პრეზიდენტი პატივმოყვარეობის გამო უდგას კრიჭაში „ქართულ ოცნებას“, თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სალომე ზურაბიშვილსა და კოლექტიურ ნაცმოძრაობას ერთი პატრონი ჰყავთ, რომელიც მათ რევოლუციისათვის რაზმავს!**

— მთელი ეს ე.წ. ოპოზიცია, რომელსაც მე **პოლიტიკური ფაროსანა** დავარქვი, ბაიდენის ადმინისტრაციისა და ამერიკის საელჩოს მიერ არის ნაყიდი! წარმოიდგინეთ, როგორ კატასტროფულ მდგომარეობაშია დღეს ამერიკა, რომლის ხელისუფლებასაც საქართველოში მთავარ დასაყრდენად **ლომჯარია, კიკუ ვაშაძე,** პრიგოჟინის მეხოტბე **გვარამია,** შარვალჩახდილი **გირჩი, ლიაკა ხოშტარია** და **სალომე სამადაშვილი** ჰყავს! ამ **პოლიტიკურმა ფაროსანებმა** უნდა მოუწყონ ქართველ ხალხს რევოლუცია და ამერიკის საელჩოს მიერ 3 ცენტად ნაყიდი ეს აგენტურა უნდა მოვიდეს საქართველოს ხელისუფლებაში? ისე ამათ რა ვუთხარი, ამ უდღეურებს! ეს არის სამარცხვინო სექტა, რომლის ყველაზე დიდი სიმბოლო გახლავთ **სააკაშვილის ნახმარი ბოტასი,** ახლა მის „მავზოლეუმში“ რომ გამოფინეს!

**— ე.ი. თქვენ ამბობთ, რომ საქართველოში დაგეგმილი სამოქალაქო არეულობისა და სახელმწიფო გადატრიალების უკან, რომლის შესახებაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საუბრობს, აშშ-ის ხელისუფლება დგას?**

— დიახ, პირდაპირ ვადებ ხელს, რომ **საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების გეგმის უკან დგას ბაიდენის ადმინისტრაცია, რომელმაც დალუპა და სამარცხვინო დღეში ჩააგდო ამერიკის შეერთებული შტატები!** ოდესმე ვინმე წარმოიდგენდა, რომ იორდანიის, პალესტინისა და ეგვიპტის პრეზიდენტები ამერიკის პრეზიდენტს შეხვედრაზე უარის თქმას შეჰკადრებდნენ და გაუბედავდნენ? დღეს კი ეს უკვე მოხდა და ამაზე დიდი უბედურება ამერიკას რაღა უნდა დაემართოს?!

ტრენინგები, რომლებიც თბილისში სერბმა „კმარელებმა“ ჩაუტარეს აქაური „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლებს, ამერიკის სამთავრობო სტრუქტურის — **„იუსაიდის“** მიერ იყო დაფინანსებული და ამის შემდეგ შეიძლება, კითხვის ნიშანი არსებობდეს, ვინ გეგმავს საქართველოში რევოლუციას და გადატრიალებას?

ყველაზე მთავარი ის არის, რომ „იუსაიდი“ და ამერიკის საელჩო, **ლიაკა ხოშტარიასა და მისნაირების სახით,** საქართველოში რუსული „ფე-ეს-ბეს“ აგენტურას აფინანსებენ!

**— თქვენი აზრით, კელი დეგნანის წასვლა და მის ადგილას ახალი ელჩის რობინ დანიგანის მოსვლა რამეს შეცვლის?**

— ამერიკის ახალი ელჩი არაფერსაც არ შეცვლის, ისევ ბაიდენის ადმინისტრაციის კურსს გაატარებს და **მამაძაღლი კელი დეგნანის** გზას გააგრძელებს! სხვა საკითხია, რომ ბაიდენის ადმინისტრაციას უკვე კბილები აქვს ჩამტვრეული და უნარი აღარ გააჩნია, საქართველოში ან სხვაგან „ფერადი რევოლუციები“ თუ „ხავერდოვანი გადატრიალებები“ მოაწყოს! შეხედეთ, როგორ გადატრიალდა მსოფლიო, მიმოიხედეთ, რა ცეცხლი გიზგიზებს ჩვენ გარშემო, საქართველო კი ამ წარღვნის დროს კიდობანში ზის, მშვიდობა გვაქვს, ეკონომიკური წინსვლა გვაქვს და მსოფლიო პატივისცემით გვეპყრობა, რადგან ყველა მიხვდა, რომ საქართველო გახდა ქვეყანა, რომელიც პირველ პლანზე თავის ინტერესებს აყენებს.

თანაც, საქართველოსა და ჩინეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ეპოქალური მნიშვნელობის შეთანხმება გაფორმდა. **დღეს თუ ვინმე შეიძლება, რუსეთთან ურთიერთობაში ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტი იყოს, ეს მხოლოდ ჩინეთია!** როგორ გგონიათ, საქართველოსათვის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნებასთან დაკავშირებით ვის დაუჯერებს და ვის გაუწევს ანგარიშს რუსეთი — ამერიკას? საფრანგეთს? გერმანიას? დაუჯერებს და ანგარიშს გაუწევს მხოლოდ ჩინეთს, რომელთანაც ვალშია!

**— თუმცა, ნაცოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჩინეთთან დაახლოება პროდასავლურ კურსზე უარის თქმას ნიშნავს, რაც საქართველ-**

**„წარმოიდგინეთ, როგორ კატასტროფულ მდგომარეობაშია დღეს ამერიკა, რომლის ხელისუფლებასაც საქართველოში მთავარ დასაყრდენად ლომჯარია, კიკუ ვაშაძე, პრიგოჟინის მეხოტბე გვარამია, შარვალჩახდილი გირჩი, ლიაკა ხოშტარია და სალომე სამადაშვილი ჰყავს!“**





**„ამერიკის ახალი ელჩი არაფერსაც არ შეცვლის, ისევ ბაიდენის ადმინისტრაციის კურსს გაატარებს და მამაძაღლი კელი დეგნანის გზას გააგრძელებს!“**

## კვირგვინოსნები

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



ჩვენ ჩვენი **სამშვიდობო გეგმა გვაქვს,** არ ვეტრფით და არ ვესწრაფვით მხოლოდ ტერიტორიებს, **ჩვენ გვჭირდება ხალხი, ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები.**

„რეზონანსი“

**პეტერ ფიშერი**
*საქართველოში გერმანიის ელჩი*



საქართველო უფრო უნდა დაგვიახლოვდეს და **გახდეს ევროკავშირის წევრი,** ეს ჩვენს ინტერესშია, მაგრამ **ევროკავშირს აქვს სტანდარტები,** რომლებიც საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს.

„რეზონანსი“

**ქეთი დოლიძე**
*რეჟისორი*



**ირაკლი ღარიბაშვილი** ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ **ომში ჩვენც არ ჩაგვითრიონ.** ამ გარეწარ ნაცებს, **გიჟდებიან, ისე უნდათ, რომ ომი დაიწყოს საქართველოში.**

„კვირის პალიტრა“

**ხატია დეკანოიძე**
*ოპოზიციონერი დეპუტატი*



**ოპოზიციაში ყველა მიმართულებით კატასტროფული ვითარებაა.**

„რეზონანსი“

**ოლექსი არესტოვიჩი**
*უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი მრჩეველი*



უკრაინის ხელმძღვანელობა **კორუმპირებული და არაადეკვატურია, ზეწოლას ახდენს ბიზნესზე,** სამოქალაქო თავისუფლებებსა და პოლიტიკურ კონკურენტებზე.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**სერგეი შამბა**
*ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანი*



**რუსეთთან ისეთი ურთიერთობა გვაქვს,** რომ საბჭოთა საზოგადოების დანგრევის მიუხედავად, გრძნობები მაინც არსებობს — **გვინდა ვიყოთ და ვართ რუსული სამყაროს ნაწილი.**

„ინტერპრესნიუსი“

ლოს ძალიან დააზიანებს!

— ამას ბოდავენ **სალომე სალომე სამადაშვილი და 3 ცენტად გაყიდული მისნაირი აგენტები**, რომლებიც ამერიკის დავალებით ებრძვიან ჩინეთს, სინამდვილეში კი ებრძვიან და მტრობენ საქართველოს!

**— მართალია, ზემოთ აღნიშნეთ, საქართველო კიდობანში ზის და მშვიდობას ინარჩუნებსო, მაგრამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა გრიგოლ ლილუაშვილმა გასულ კვირას განაცხადა, რომ ხელისუფლება პრევენციულ ზომებს იღებს ბირთვული ომის შედეგებისაგან თავის დასაცავად, რადგან გამორიცხული არ არის, საქართველოს ირგვლივ რეგიონში ატომური იარაღის გამოყენება მოხდეს. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— უპირველეს ყოვლისა, მადლობა ღმერთს, რომ ასეთ ურთულეს დროს საქართველოში უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ინსტიტუტებს — შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს სათავეში უდგანან არა მერაბიშვილისა და ახალაიას მსგავსი შიზოფრენიკები, არამედ **ვახტანგ გომელაურისა და გრიგოლ ლილუაშვილის** მსგავსი გონიერი და გაწონასწორებული ადამიანები!

რაც შეეხება ბირთვული კატასტროფის საფრთხეს, საუბედუროდ, ეს ძალიან რეალურია და ამაზე პუტინის მიერ რამდენიმე დღის წინათ ჩინეთში გაკეთებული განცხადებაც მეტყველებს — **რუსეთს უფრო მეტი ბირთვული იარაღი აქვს, ვიდრე მთელ ნატო-ს ერთად აღებულიო!**

იმის მაგივრად, რომ ახლო აღმოსავლეთში დაწყებული საშინელი კონფლიქტის ჩაქრობაზე იყვნენ ორიენტირებული, ისრაელის ე.წ. მეგობრები ცეცხლზე ნავთის დასხმის მეტს არაფერს აკეთებენ ისევე, როგორც უკრაინაში.

## შეხედეთ, რა დღეში ჩააგდეს უკრაინა – მიწასთან სწორდება ამხელა ქვეყანა, გენოფონდი უნადგურდება და ომის მოგების არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია!

ასეთ უმძიმეს ვითარებაში **უკრაინას ნაცისტი ავანტიურისტი ზელენსკი** უდგას სათავეში! გაოგნებული ვარ, 70 წელს მივუკაკუნე და აქამდე არასოდეს მინახავს, არასოდეს მსმენია და არსად წამიკითხავს **ებრაელი ნაცისტის** არსებობის შესახებ...

# „დღეს თუ ვინმე შეიძლება, რუსეთთან ურთიერთობაში ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტი იყოს, ეს მხოლოდ ჩინეთია!“



ირაკლი ღარიბაშვილი და სი ძინპინი





ზელენსკის სახით ცხოვრებაში პირველად ვხედავ **ებრაელ ნაცისტს!**

**— ზელენსკის ებრაული ფესვების შესახებ ცნობილია, მაგრამ მის ნაცისტობაში რას გულისხმობთ?**

— ზელენსკი ნაციზმის დემონსტრირებას მსოფლიოს თვალშიც აღარ ერიდება... **კანადის პარლამენტში სტუმრობისას გმირად გამოაცხადა და გულში ჩაიკრა ნაცისტური ესესის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დივიზიის — „გალიჩინას“ ყოფილი მებრძოლი, რომელმაც ცეცხლითა და მახვილით გაწყვიტა ებრაელები და პოლონელები.**

აღარაფერს ვამბობ სულ ახლახან უკრაინის რადაში პირველი მოსმენით მიღებულ კანონზე, რომლითაც **უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას კრძალავენ — რუსულიაო!** ჯერ ერთი, რუსული რას ნიშნავს? — მართლმადიდებელი ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიაა და, მეორეც, **უკრაინაში, რომლის მოსახლეობის 60 პროცენტი რუსულენოვანია, რუსულენოვანი ეკლესია არ უნდა არსებობდეს?**

**— დაბოლოს: ახლოვდება დრო, როცა ევროკომისიამ გადაწყვეტილება უნდა გამოაცხადოს, აძლევს თუ არა საქართველოს კანდიდატის სტატუსს... როგორ ფიქრობთ, მოგვცემენ თუ ისევ უარს გვეტყვიან და ამით საქართველოში რევოლუციური პროცესების გამოწვევას შეეცდებიან?**

— პირველ რიგში, კარგად დაახვიონ და ერთ ადგილას გაიკეთონ ეგ კანდიდატის სტატუსი, რომელიც არაფერს ნიშნავს და მხოლოდ პოლიტიკური ინსტრუმენტია საქართველოს სუვერენიტეტთან და თვითმყოფადობასთან საბრძოლველად!

ისე კი, **სტატუსსაც მოგვცემენ და დიპლიპიტოსაც დაუვლიან, რადგან სხვა გზა არა აქვთ და საქართველოსთან დაკავშირებით უკანალის თამაშის ფუფუნება აღარ გააჩნიათ!**

## შეხედეთ, რა დღეშია ამერიკა და დასავლეთი – ძალიან უნდოდათ მეორე ფრონტი საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ და მიიღეს მეორე ფრონტი ისრაელში თავიანთი თავის წინააღმდეგ!

„მადლობა ღმერთს, რომ ასეთ ურთულეს დროს საქართველოში უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ინსტიტუტებს — შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს სათავეში უდგანან არა მერაბიშვილისა და ახალაიას მსგავსი შიზოფრენიკები, არამედ ვახტანგ გომელაურისა და გრიგოლ ლილუაშვილის მსგავსი გონიერი და გაწონასწორებული ადამიანები!“

# „ზელენსკის სახით ცხოვრებაში პირველად ვხედავ ებრაელ ნაცისტს!»



ესაუბრა

**გიორგი ძაძამია**

## კვირგვინოსნები

**ლაშა ძებისაშვილი**

*საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი*



უნდა გვახსოვდეს, **ძალიან, ძალიან სახიფათო ფაზაში ვართ,** სადაც ფიზიკური გადარჩენის გარანტიაა **ძლიერი ჯარი, ეროვნული ერთიანობა** და რაც შეიძლება ბევრი მეგობარი ქვეყანა.

„კვირის პალიტრა“

**ზურაბ ბატიაშვილი**

*აღმოსავლეთმცოდნე*



ახლო აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაცია წააგავს **დენთით სავსე კასრს, რომლის გარშემო შეშლილები დარბიან ანთებული მაშხალებით** და არავინ იცის, რომელი მათგანიდან გადმოვარდნილი ნაპერწკალი **გამოიწვევს დიდ აფეთქებას.**

„ინტერპრესნიუსი“

**კახა ოქრიაშვილი**

*პარტია „პროგრესი და თავისუფლების“ ლიდერი*



პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა** „რუსული ოცნების“ მენეჯმენტს **„პატარა კაცები“** უწოდა, რაზეც **კობახიძემ** უპასუხა, ჩვენ გავხადეთ პრეზიდენტი და **არ ვართ პატარა კაცები.** რა პატარა კაცები?! მტერი, **რუსეთის აგენტურა** შემოგვეპარა ხელისუფლებაში. ნეტა, პატარა კაცები იყვნენ — ხელისუფლებაში **რუსეთის აგენტურა** გვიზის და მართავს ქვეყანას.

„ინტერპრესნიუსი“

**თამარ ჩუგოშვილი**

*საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის წარმომადგენელი*



„ქართული ოცნება“ შეეცდება, **პრეზიდენტი აქციის დისფუნქციურ პირად,** რომელსაც არანაირი როლი არ ექნება — დარწმუნებული ვარ, **სალომე ზურაბიშვილი** არ დაუშვებს, ასეთი ტიპის სურვილებს დაემორჩილოს.

იმპიჩმენტის პროცესში **სტატუსის მიღების შესაძლებლობა თუ დაგვაკავშირებინა,** საპარლამენტო უმრავლესობასთან ერთად, პასუხისმგებლობას გაიზიარებს სასამართლოც.

„ინტერპრესნიუსი“



**„დესტაბილიზაციის შემთხვევაში საელჩოებს ხალხის რისხვა არ ასცდება!“**

## მიხეილ ქღენტი:

# მსოფლიოს მასშტაბით დაიწყო ამერიკული იმპერიალიზმის რღვევის დიადი პროცესი!

***„მსოფლიოს მასშტაბით დაიწყო ამერიკული იმპერიალიზმის რღვევის დიადი პროცესი! იცით, ამერიკელები როგორ ტოვებენ კოლონიებს? — ჯერ შედიან, როგორც მოკეთეები და პარტნიორები, ლიბერასტული ცხოვრების წესის დანერგვით ათახსირებენ საზოგადოებას და სახელმწიფოს ყველა სტრუქტურას; ჩინოვნიკებს კორუფციის ჭაობში ძირავენ... ხოლო, როდესაც წასვლა უწევთ, ურცხვად აფურთხებენ მათ მიერვე გარყვნილ ქვეყანას, აცხადებენ კორუმპირებულად, ფაშისტურად და ტოვებენ სასოწარკვეთილებაში, ომების და სისხლის მორევში!*** *ამის მაგალითებად კმარა ვიეტნამი და ავღანეთი. ახლახან მიატოვეს სომხეთიც. მალე დატოვებენ უკრაინას და საქართველოდან აბარგების დროც გამოიკვეთა.* ***უახლოეს მომავალში ამერიკული სცენარით ხელისუფლების დამხობის მცდელობა გარდაუვალია, რაზეც სრული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ახალ ელჩს რობინ დანიგანს და პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს!“ — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი „სოლიდარობა მშვიდობისათვის“ წარმომადგენელმა, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტმა მიხეილ ქღენტმა:***

— ჩვენ ვხედავთ ამერიკული იმპერიალიზმის მკაფიო კვალს უკრაინაში, რომელმაც კაცობრიობას 21-ე საუკუნეში ფაშიზმის რეანიმაცია შესთავაზა და მახსენდება ამერიკის პრეზიდენტ **რონალდ რეიგანის** სიტყვები: **თუ მსოფლიოში ოდესმე ფაშიზმი აღორძინდება, ეს მოხდება ლიბერალიზმის სახით!** ამერიკულმა იმპერიალიზმმა უკრაინა საბოლოოდ ჩამოშალა, როგორც სახელმწიფო. პრეზიდენტ **ზელენსკის** კორუფციაში უკვე მისი უახლოესი გარემოცვა — **გორდონი და არესტოვიჩი** ამხელენ, რაც ამერიკული ფინალის დამახასიათებელი სცენარით, სისტემის აღსასრულის მაუწყებელია. ასეთია ნატოსკენ და ევროკავშირისკენ „ორიენტირებული“ უკრაინის მდგომარეობა, რომელიც ამერიკელმა იმპერიალისტებმა თავიანთი მიზნებისთვის გამოიყენეს და ახლა ამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობას სისხლში ახრჩობენ! **თავიდანვე ნათელი იყო, რომ ამერიკა და, ზოგადად, დასავლეთი გაწირავდნენ უკრაინას!**

**— ვინ არის შემდეგი?!**

— საქართველოში ამერიკის ახალი ემისარი **რობინ დანიგანი** უკვე შეუდგა ელჩის მოვალეობის შესრულებას, მაგრამ კავკასიაში ამერიკის ყოფნის ქვიშის საათი იცლება! ამიტომ მიხრწნილი **ბაიდენის ემისრის** მთავარი მიზანი მაიდნის მსგავსი მოვლენების პროვოცირებაა, რათა ხელისუფლების ძალადობრივი ცვლილებით საქართველო ამერიკული იმპერიალიზმის კლანჭებში დაბრუნდეს. **ამერიკელებს, რომლებიც კავკასიას სამუდამოდ კარგავენ, არ გაუვიდათ სომხეთში ხანგრძლივი ხანძრის გაჩაღება და ახლა ამას საქართველოში ეცდებიან ახალი ელჩის ხელით.**

**— წინასწარ რად ტუქსავთ? წინამორბედ დეგნანისგან განსხვავებით, ახალ ელჩს ჯერ ხომ არაფერი დაუშავებია?**

— ამას ვაცხადებ საქართველოს მიმართ ჯერ კიდევ 1992 წლიდან ამერიკის კოლონიური დამოკიდებულებიდან გამომდინარე. შეგახსენებთ, რომ ამერიკელებმა თბილისის ცენტრში, ათონელის ქუჩაზე, ქართველებისაგან დამცავი მაღალი კედელი აღმართეს 1997 წელს და არა უფრო ადრე, 1992-1993 წლებში, როცა თბილისში სამოქალაქო დაპირისპირების ქარიშხალი ტრიალებდა. 1996 წელს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გახდა **ზურაბ ჟვანია** და სწორედ ამ მომენტიდან იწყება საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატურა. **ათწლეულების განმავლობაში აშშ მრავალ ისეთ ქვეყანაში გახლდათ დესტაბილიზაციის წყარო, რომლებსაც ოფიციალურად მეგობრად და პარტნიორად აცხადებდა:** ამ ქვეყნებს მათ მიერ დასმული რეზიდენტები მართავდნენ, შემდეგ კი ომის ქარცეცხლსა და სისხლის მდინარეში მოცურავე მდგომარეობაში მიატოვეს. **ჩამოდგა თუ არა თბილისში ფეხი, რობინ დანიგანმა განაცხადა, რომ აპირებს მხარი დაუჭიროს საქართველოს ევროატლანტიკურ კურსს, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს კონსტიტუციაში აქვს დაფიქსირებული.**

**— რატომ, ჩვენდა სამწუხაროდ?**

— იმიტომ რომ თავად დასავლეთს არ სურს ამ სტრუქტურებში საქართველოს ხილვა. 1994 წლის დასაწყისში, როდესაც საქართველოს პარლამენტი „იმელის“ შენობაში ფუნქციონირებდა, საქართველოს ეწვია თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკის ფუძემდებელი **ზბიგნევ ბჟეჟინსკი,** რომელმაც **შევარდნაძეს** პირდაპირ განუცხადა, **საქართველო ვერც ნატოს და ვერც ევროკავშირის წევრი ვერასოდეს გახდება, რადგან იგი რუსეთისთვის მკვეთრი „წითელი ხაზია“.** ბჟეჟინსკი ამგვარად თვლიდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თავად რუსეთი დასავლეთს ჰყავდა დაჩოქებული!

ჩვენმა პოლიტიკოსებმა, რომლებმაც უშუალოდ ბჟეჟინსკისგან მოისმინეს ეს განცხადება, 30 წლის განმავლობაში დასავლეთზე ორიენტაციის ფარსით გვაცხოვრეს და ამ ტყუილს ამჯერად უკვე საქართველოში ამერიკის ახალი ელჩი რობინ დანიგანი იმეორებს!

ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების იდეა რეალური რომ ყოფილიყო, ეს მოხდებოდა სააკაშვილის მმართველობის პირობებში, რადგან მასზე უფრო მორჩილი მარიონეტი დასავლეთს საქართველოში არ ჰყოლია, თუმცა, გუნებაშიც არ გაუვლიათ, იმ წლებში მოენიჭებინათ **ევროკავშირის წევრობის კანდიდატის, მაპის ან „მაპზე უკეთესი“ რაიმე სტატუსი,** როდესაც თავიანთ ფავორიტ სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურად“ აცხადებდნენ. **მითუფრო, ამას არ გააკეთებენ ახლა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას მძაფრად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ რუსეთთან დაპირისპირებაში მათ ფეხი მონდომებით არ აუწყო!**

ახალი ელჩი **რობინ დანიგანი** აცხადებს, რომ იგი საქართველოში უშუალოდ პრეზიდენტ **ბაიდენის** ინტერესებს წარმოადგენს... ეს მრავალმნიშვნელოვანი განაცხადია, რადგან, ჯერ ერთი, ნებისმიერი ელჩი მისი ქვეყნის მეთაურის კი არა, სახელმწიფოს ინტერესებს უნდა წარმოადგენდეს; მეორეც, **ეს არის ირიბი მინიშნება ბაიდენის ხანდაზმულ ასაკზე, რომელიც „ჩერნენკოს ფაზაში“ შევიდა და, შესაბამისად, მოქმედების მეტად ხანმოკლე ვადა აქვს, რათა საქართველოში გავლენა შეინარჩუნოს...** მარტო საქართველოზე არ არის საუბარი. ამერიკა დღითი დღე ღრმა კრიზისში ეფლობა და სულ უფრო და უფრო ხშირად მაგონებს საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდს, როცა ქვეყნის პირველ პირებს ყოველ 6 თვეში ასაფლავებდნენ, ვიდრე თა-






**„ბაიდენი მომაკვდავი ამერიკული იმპერიალიზმის სიმბოლური გამოხატულებაა!“**

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*

მიზანი გვქონდა, ყველასთვის გვეთქვა, რომ **პრეზიდენტმა დაარღვია კონსტიტუცია** — ჩვენი ამოცანა არასდროს ყოფილა იმპიჩმენტი.

„ინტერპრესნიუსი“



**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*

„ქართულ ოცნებას“ მინდა, ვკითხო, **შემთხვევით „ჰამასს“ და „ჰეზბოლას“ ხომ არ უჭერენ მხარს?** — თუ ვინმემ უნდა შეცვალოს აღქმები და პოლიტიკა, „ოცნებამ“ უნდა შეცვალოს.

„ინტერპრესნიუსი“



**პეტრე ცისკარიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი*

შოუ გრძელდება — **პრეზიდენტი რომ წასულიყო მოსკოვში ვიზიტით, ლავროვის** მოწვევით, გაბედავდა კი „ოცნება“, წამოეწყო იმპიჩმენტის პროცედურა?

„აიპრესი“



**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ტაბულას“ დამფუძნებელი*

სანამ მიწისგან არ აღიგვება „ჰამასივით“ **სააკაშვილის და კეზერაშვილის** შექმნილი ბარიერები, მანამდე **ჭაობში ვიქნებით.**

„აიპრესი“



**ნიკა გვარამია**
*„მთავარი არხის“ დამფუძნებელი*

ღია და მძიმე დამცირებაზე ერთადერთი პროპორციული და ადეკვატური პასუხი **სალომე ზურაბიშვილის** მხრიდან იქნებოდა **მიხეილ სააკაშვილის** გათავისუფლება.

„აიპრესი“



**იგორ კვესელავა**
*პროფესორი*

შეიძლება **ნიკა გვარამიამ ხაბეიშვილი ჩაანაცვლოს** ან ოპოზიციას ჩაუდგეს სათავეში.

„რეზონანსი“

# „რევოლუციის ორგანიზატორად ამერიკის დღევანდელ ელჩზე დიდი ფიგურა აღარ მოიაზრება, ხოლო ოპოზიციის ლიდერად სალომე ზურაბიშვილზე დიდი „ავტორიტეტი“ ამერიკას საქართველოში არ ეგულება!“

ვად სისტემა არ გარდაიცვალა! **რატომღაც მგონია, რომ ბაიდენი მომაკვდავი ამერიკული იმპერიალიზმის სიმბოლური გამოხატულებაა.** შესაძლოა, იმპერიალიზმის კვდომის ეს პროცესი რამდენიმე ათეულ წელსაც გაგრძელდეს, მაგრამ ერთი რამ უკვე ცხადია —

**ამერიკა აღარასოდეს იქნება მსოფლიოში ერთადერთი პოლიტიკური ცენტრი და ჰეგემონი!**

**— და მაინც, ნუთუ ეს კმარა დასკვნის გასაკეთებლად, რომ ამერიკა საქართველოდანაც წავა, როგორც სხვა ქვეყნებიდან წავიდა?**

— მსოფლიოში მიმდინარე პროცესები უკვე უტყუარად მიანიშნებს, რომ საქართველოს ბედი აღარ იქნება დასავლეთზე დამოკიდებული. ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები ამიერიდან დაუკავშირდება აღმოსავლეთს, ისეთ საერთაშორისო კავშირებს, როგორიც არის, მაგალითად, **„ბრიქსი“** (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), **„შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია“** (რუსეთი, ჩინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი). ასე მოხდება არა იმიტომ, რომ საქართველომ ზურგი აქცია დასავლეთს, არამედ იმიტომ, რომ დასავლეთმა უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში თავად გაგვრიყა თავისი სივრციდან, არ მოგვცა იქ თანაბარუფლებიანად დამკვიდრების საშუალება! თუმცა, გეოპოლიტიკიდან გამომდინარე, არც შეგველია და მთელი ეს პერიოდი ცრუ იმედებით გვკვებავდა ამ მდგომარეობის განსამტკიცებლად, ამერიკამ და დასავლეთმა შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოში გამოზარდეს მათი სიცრუის საყრდენი კასტა — ლიბერასტული ფსევდოელიტის მთელი თაობები. **დღეს ამ კასტას ნაციონალური მოძრაობა, „ლელო“, „გირჩი“ და მსგავსი ორგანიზაციები წარმოადგენენ.** ქართველ საზოგადოებაში მათ არანაირი ავტორიტეტი და წონა არა აქვთ, თუმცა, ფლობენ დიდძალ ფინანსებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. სწორედ ამ რესურსზე დაყრდნობით ებღაუჭება ამერიკა საქართველოს, რაც კრახისთვის არის განწირული და ამიტომ, ერთადერთ გზად ფერადი რევოლუცია რჩება, რომელსაც ახალმა ელჩმა **რობინ დანიგანმა** უნდა უხელმძღვანელოს. არადა, **აშშ-ის და ევროკავშირის ელჩებმა უნდა იცოდნენ, რომ დესტაბილიზაციის შემთხვევაში მათ საელჩოებს არ ასცდება ხალხის რისხვა!**

**— საუბრის დასაწყისში მითხარით, რომ გადატრიალების „ამერიკული სცენარის“ გამო, დანიგანთან ერთად პასუხისმგებლობა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილსაც დაეკისრება. რა გაქვთ მხედველობაში?**

— უცხო ქვეყანაში მივლენილი დიპლომატები საკუთარი ქვეყნის სპეცსამსახურებთან რომ თანამშრომლობენ, ეს ყველამ იცის. **სალომე ზურაბიშვილი** წლების განმავლობაში მუშაობდა ამერიკაში მივლინებულ საფრანგეთის დიპლომატიურ კორპუსში სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე. **როგორც კი სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, მას კონტროლის მიზნით, სალომე ზურაბიშვილი საგარეო საქმეთა მინისტრად დაუსვეს.** ფაქტობრივად,

**ჩვენი ქვეყნის საგარეო უწყებას ხელმძღვანელობდა უცხო ქვეყნის სპეც-სამსახურებთან კავშირში მყოფი ადამიანი, რომელიც ამჟამად საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობას იკავებს**

და ღრმად ვარ დარწმუნებული, საქართველოს თანამედროვე ხელისუფლება კედელთან მიაყენეს, კისერზე ფიწალი მიაბჯინეს და ასე მოსთხოვეს, სალომე ზურაბიშვილი გაეპრეზიდენტებინა!

ამერიკისთვის არ არის ძნელი, ვასალ ქვეყნებში თავისი რეზიდენტები მაღალ თანამდებობებზე გაამწესოს. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **სააკაშვილიც** ხომ შემდგომში უკრაინაში ოდესის გუბერნატორად წამოასკუპა!

ამჟამად საქართველოში ამერიკელები გეგმავენ ხელისუფლების ძალადობრივ ცვლილებას, რაშიც სალომე ზურაბიშვილს, როგორც მათ რეზიდენტს, კონკრეტული როლი და მოვალეობები განუსაზღვრეს. რევოლუციის ლიდერად სწორედ ეს ქალბატონი უნდა იქცეს, ვინაიდან საქართველოს ლიბერალურ ელიტაში ავტორიტეტული ლიდერი აღარ არსებობს, ეს ელიტა პოლიტიკურ ნარჩენად გადაიქცა. დიახ, რევოლუციის ორგანიზატორად ამერიკის დღევანდელ ელჩზე დიდი ფიგურა აღარ მოიაზრება, ხოლო ოპოზიციის ლიდერად **სალომე ზურაბიშვილზე** დიდი „ავტორიტეტი“ ამერიკას საქართველოში არ ეგულება!

**— აკი, მან უკვე მოუწოდა „ოპოზიციას“ ქუჩაში გამოსასვლელად... მე „შიგნიდან“ დაგეხმარებითო!**

— დიახ, ამ მოქმედებისთვის მას ხელ-ფეხი გაუხსნა **წინასწარ წარუმატებლობაზე გათვლილმა იმპიჩმენტის მცდელობამ.** უკვე პირდაპირ გამოიკვეთა, რომ ოპოზიცია იწყებს რევოლუციას და ამ რევოლუციის ლიდერი **სალომე ზურაბიშვილი** იქნება! მაგრამ

**ერთ მშვენიერ დღეს ამერიკა ქუდს დაიხურავს და საქართველოდან გაგვეცლება, ასევე გაიქცევა საქართველოდან მისი რეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ზუსტად იმგვარად, როგორც მისი წინაარები გარბოდნენ!**

სალომე ზურაბიშვილის ბოლო განცხადებები და ტონი მოწმობს, რომ საქართველო მისი ქვეყანა არ არის! ზუსტად იმგვარად, როგორც სააკაშვილისთვის არ იყო. **ისევე, როგორც ზელენსკისთვის არ არის უკრაინა „მისი“ ქვეყანა და სამშობლო!** ერთნაირი ხელწერაა! ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოში, უკრაინაში, სომხეთში, მოლდოვაში გარედან მოყვანილი ლიდერები არ იყვნენ იმ ქვეყნების გულშემატკივარი, ღვიძლი შვილები, რომელთა სამართავადაც ისინი ამერიკამ გაამწესა!

დასავლეთსა და ამერიკას საქართველოს გავლენის სფეროების შესანარჩუნებლად რევოლუციის გარდა სხვა გზა არ დარჩენიათ, რადგან დასავლურ სივრცეში „შერწყმის“ 33-წლიანი სატყუარა ბოლომდე გაშიფრულია! რამდენიმე დღის წინ მსოფლიომ იხილა, ჩინეთში ვიზიტად მყოფი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი** და ჩინეთის ლიდერი **სი ძინპინი** როგორ მიუძღვიან საზეიმო სუფრისკენ 147 ქვეყნის დელეგაციას! **ეს ფაქტი სიმბოლურად მიუთითებს, რომ მსოფლიო შეიცვალა!** რომ პლანეტის აღმოსავლეთით გამოიკვეთა სახელმწიფოთა მძლავრი ერთობა, რომელსაც სათავეში კონკრეტული 2 ლიდერი — **ვლადიმერ პუტინი და სი ძინპინი** უდგანან და, რაც მთავარია, ეს ერთობა შედგა ამერიკისა და ევროკავშირის მონაწილეობის გარეშე!

**ეს ფაქტი უტყუარი მინიშნებაა იმაზე, რომ ამერიკა და ევროკავშირი საქართველოდან წავლენ!** ახლა მთავარია, როგორ წავლენ — მშვიდობიანად, მცირე ექსცესებით თუ დიდი სისხლისღვრით! დიახ, ორი აზრი აღარ არსებობს, რომ აღმოსავლური ერთობა საქართველოში დასავლეთის უკონტროლო პარპაშს აღარ დაუშვებს და, რაც ყველაზე მთავარია, რუსეთს თავისი ნაბიჯების გამო პასუხს ვერავინ ვეღარ

გაგრძელება მე-10 გვერდზე




## „ღრმად ვარ დარწმუნებული, საქართველოს თანამედროვე ხელისუფლება კედელთან მიაყენეს, კისერზე ფიწალი მიაბჯინეს და ასე მოსთხოვეს, სალომე ზურაბიშვილი გაეპრეზიდენტებინა!“

## კვირგვინოსნები



**რევაზ საყევარელიძე**
*პოლიტოლოგი*

როცა **ბორელი** იყო ჩამოსული, ველოდი, რომ **ბოდიში მაინც მოიხდიდა სტატუსის არმონიჭების გამო.** მსგავსი არაფერი წამოსცდენია, **ანუ ისინი თავიანთი გადაწყვეტილების მონები გახდნენ.** რაც ერთხელ თქვეს, იმის გადათქმა უჭირთ.

„საერთო გაზეთი“



**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპული დემოკრატების“ გენერალური მდივანი*

**თელ-ავივი და დამასკო უფრო ახლოს არიან ჩვენთან, ვიდრე რუსეთის უახლოესი ქალაქები.** ჩვენ ვართ ახლო აღმოსავლეთის ნაწილი. ამიტომ **არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ჩვენთვის სახიფათო სიტუაცია შეიქმნება.** ისედაც ჩვენი რეგიონი, **სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირების ფონზე** საფრთხის ქვეშაა.

„ახალი თაობა“



**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*

ამ ოპოზიციას რომ ვუყურებ, **როგორ შეიძლება „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოიპოვოს უმრავლესობა პარლამენტში** და ვერ აირჩიოს თავისი პრეზიდენტი?!

„ახალი თაობა“



**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*

**ქვეყანაში ძალიან რთული ვითარებაა.** ბეწვის ხიდი უნდა გავიაროთ, კვლავ **სამოქალაქო დაპირისპირებაში** რომ არ აღმოვჩნდეთ.

„ახალი თაობა“



**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*

**ანზორ ქოქოლაძე** ხშირად ამხელდა „თიბისი ბანკს“, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ერთად, **ხაზარაძე მონაწილეობდა რეკეტსა და თაღლითური გზით ქონებების წართმევის საქმეებში.** „TV იმედი“



# მიხეილ ჟღენტი:

## როგორც კი სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, მას კონტროლის მიზნით, სალომე ზურაბიშვილი საგარეო საქმეთა მინისტრად დაუსვეს!



*დასაწყისი მე-8 გვერდზე*

მოსთხოვს!

**— რას მოიმოქმედებს?**

— დღეს 1998 წელი აღარაა, როცა დასავლეთმა იუგოსლავიაში ძალმომრეობა გაბედა, რადგან მაშინ რუსეთი, ფაქტობრივად, არ არსებობდა! **მერწმუნეთ, რუსეთი** დასავლეთს არაფრის დიდებით არ მისცემს იმის უფლებას, საქართველოში ძალის გამოყენების გზით ისეთი ხელისუფლება მოიყვანოს, რომელიც რუსეთს რადიკალურად დაუპირისპირდება! **თუ დასავლეთი საქართველოში შეიარაღებულ გადატრიალებას შეეცდება, რუსეთი ძალის გამოყენებით დაუპირისპირდება და საქართველოში ამერიკის აგენტურას უფრო სამარცხვინო აზარზება ელოდება, ვიდრე აფრენილ თვითმფრინავის ბორბლებზე ჩამოკონწიალებულმა ამერიკის ავლანელმა რეზიდენტებმა განიცადეს.** ჩვენთვის მთავარია, ასეთ გარემოებას თავი უმსხვერპლოდ ან მინიმალური მსხვერპლით დავაღწიოთ, რისთვისაც დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ რუსეთთან მოლაპარაკებები, თორემ ხვალ შეიძლება, გვიანი აღმოჩნდეს! ზუსტად იმ მდგომარეობაში ვართ, რასაც **ნიკოლოზ ბარათაშვილი** აღწერს პოემაში „ბედი ქართლისა“, სადაც მეფე ერეკლე მსაჯულს დაბეჯითებით ეუბნება:

„რომ, დღეს იქნება
თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს
რუსთ ხელმწიფება!“

**დიახ, ასე თუ ისე, უახლოეს მომავალში საქართველოს აუცილებლად მოუწევს რუსეთთან მისვლა! მთავარია, რა ფორმით მივალთ!**

**— რა ვარიანტები არსებობს?**

— **პირველი ვარიანტი:** ჩვენი ნებით და ჩვენი ორი ფეხით; **მეორე ვარიანტი:** ოთხზე დამდგარნი, ანუ იძულებით; **მესამე ვარიანტი:** ხოხვით, ანუ როგორც რუსები ამბობენ — **„პო პლასტუნსკი!“**

აქედან **პირველი** საუკეთესო ვარიანტი და ღირსეული გამოსავალია, რადგან საქართველოს შესწევს იმისი რესურსი, მსოფლიოს ახალ გაერთიანებაში უძლიერესი ქვეყნების თანაბარი უფლებებით ისარგებლოს, ამ გაერთიანებიდან ყველა ის უზარმაზარი დივიდენდი და სიკეთე მიიღოს, რასაც პერსპექტივაში გაერთიანების მონაწილენი დაინაწილებენ. **მეორე ვარიანტი** იმას ნიშნავს, რომ სხვა გზა არ გვექნება, მაგრამ დივიდენდები — ნურას უკაცრავად! ხოლო **მესამე ვარიანტი** ყველაზე არასასურველია, რადგან საქართველოს ტერიტორიის უკრაინიზაციას, ნგრევას, მსხვერპლს, ეკონომიკურ და ეროვნული ცნობიერების კოლაფსს გულისხმობს. ყველაზე სამარცხვინო, თავშესაფრის ვედრების მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ცოცხლები გადავურჩებით მოსალოდნელ კატაკლიზმებს! **ჩვენი უბედობის მიზეზი და გასაღები ჩვენივე ხელშია და, როგორც გენიალურმა ქართველმა პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ თქვა:**

„კაცთ უბედობა,
თუმცა სატირე —
გარნა რად განსაკვირე,
ამა სოფლისა
დიდი და მცირე —
არს ცვალებისა მზირე.
ვისაც გსურთ და სხვა!“

**— მოდით, ის კატაკლიზმებიც გავშიფროთ, რაც ქართველებს მოსპობით ემუქრება...**

— თვალი გადავავლოთ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს, რომლებიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება, მესამე მსოფლიო ომში გადაიზარდოს. **ეს მოვლენები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამერიკის უკანასკნელი მცდელობა, თავისი ეკონომიკის და ეროვნული ვალუტის — დოლარის გადასარჩენად, რადგან უახლესი ინფორმაციების თანახმად, რუსეთმა და ჩინეთმა უკვე ამოიღეს თავიანთი ურთიერთობის ფორმატიდან დოლარი,** ერთმანეთთან სხვაგვარ ურთიერთობაზე გადადიან და უეჭველად მათ აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და საუდის არაბეთის ქვეყნებიც დაემატება, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ამერიკის მოკავშირეებად ითვლებოდნენ, დღეს კი მოსალოდნელმა მსოფლიო ომმა ეს კავშირები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

ამ ფონზე უნდა გავიაზროთ, რომ

**ამერიკას საქართველო შესაძლოა, ირანთან დასაპირისპირებელ პოლიგონად სჭირდებოდეს, რადგან ირანი პალესტინელებს ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერას უცხადებს, ხოლო მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც ძალუძს შუამავლის როლი შეასრულოს ირანსა და ისრაელს შორის – რუსეთია!**

წინააღმდეგ შემთხვევაში, ირანის ისლამური სახელმწიფოს ომში ჩაბმა მესამე მსოფლიო ომის ხილულ დასაწყისს ნიშნავს.

მაქვს დამადასტურებელი უზარმაზარი ინფორმაცია, რომ **1993 წელს ირანის პრობლემა საქართველოსთვის აფხაზეთის ჩამოჭრისა და სარკინიგზო მაგისტრალის ჩაკეტვის გზით გადაწყდა.** მანამდე, 1992 წლის 26 მაისს, თბილისში ჩამოვიდა **ჯეიმს ბეიკერი** და შევარდნაძეს შესაბამისი დავალებები მისცა... სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გაღრმავების შემთხვევაში, ირანი აუცილებლად ჩაერთვება, რადგან არ აწყობს სომხეთზე გამავალი დერეფნის დაკარგვა, ამით დაინტერესებულია რუსეთიც! **ამასობაში ქართველებმა რა ვქნათ? ისევ „ევრო-ნატო“ ვიბღავლოთ თუ უკვე ხელისუფლების დონეზე დავიწყოთ საუბარი რუსეთთან?**

**— სად არის გამოსავალი ამ მეტად სახიფათო მდგომარეობიდან?**

— ხელისუფლებამ, მიუხედავად კონსტიტუციაში იმ სამარცხვინო ჩანაწერისა, რომელიც ნატოსკენ სწრაფვას გულისხმობს, ღიად უნდა განაცხადოს ნატოზე უარი. მერწმუნეთ, ამის გაკეთება მაინც მოგვიწევს და სჯობს ახლა, ვიდრე მერე, როდესაც ჩვენ აღარავინ შეგვეკითხება!!! **ამ სიტუაციაში სრულ სიშლეგედ მოჩანს ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის ახირება და აპელირება ევროკავშირის 12 დავალების შესრულება-შეუსრულებლობაზე...** დასავლეთის პოლიტიკა ამაზრზენია, რადგან მისგან ისედაც დაბეჩავებულ ხალხს ისევ დაჟინებით ტვინს ურეცხავს „კანდიდატის“ სტატუსის ყალბი პერსპექტივით, არადა, **პრაქტიკულად უკვე გამორიცხულია საქართველოს დასავლურ სივრცეში ინტეგრაცია!**

**მე ძალზე მეცოდება ხბოს აღტაცებით ევროპის მიმართ აღტყინებული საზოგადოების ეს ნაწილი, რადგან ერთ მშვენიერ დილით, ანაზდად, ისეთ პოლიტიკურ გარემოში მოუწევთ გაღვიძება, რომელიც დასავლური ყალბი ლოზუნგების ფრიალის ფონზე ვერასოდეს წარმოედგინათ!**

ჩვენ გვაქვს ერთადერთი რეალური არჩევანი — **რუსეთთან პირდაპირი საუბარი ყველაფერზე!** ამ საუბარში იქნება ჩაქსოვილი ჩვენი ტერიტორიული მთლიანობაც და პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებიც!

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ნაციონალური მოძრაობის სტრუქტურებიდან ამოძირკვა, მაგრამ ქართველი ხალხისგან გულწრფელ მადლობას იმსახურებს სტაბილიზაციის, მშვიდობისა და იმ დიადი შანსის შენარჩუნების გამო, **რომ რუსეთს ხოხვით კი არა, წელგამართულები ვეახლოთ, ტერიტორიული მთლიანობა აღვიდგინოთ, დიდი მასშტაბის ეკონომიკური პერსპექტივების ადრესატად ვიქცეთ და მომავალ მსოფლიო წესრიგში ღირსეული ადგილიც დავიმკვიდროთ!**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***



აი, მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ
ჩემსა გულის-თქმას,
ნუ დაივიწყებ მაგრამ
ჩემს სიტყვას,
**რომ დღეს იქნება**
**თუ ხვალ იქნება,**
**ქართლსა დაიცავს**
**რუსთ ხელმწიფება!**

*ნაწყვეტი*
*ნიკოლოზ ბარათაშვილის*
*პოემიდან* ***„ბედი ქართლისა“***



**„ზუსტად იმ მდგომარეობაში ვართ, რასაც ნიკოლოზ ბარათაშვილი აღწერს პოემაში „ბედი ქართლისა“, სადაც მეფე ერეკლე მსაჯულს დაბეჯითებით ეუბნება: „რომ, დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“**

*2023 წლის 19 ოქტომბერს სააკაშვილის მავზოლეუმის დირექტორი, სტომატოლოგი სოფო ჯაფარიძე რესპუბლიკის მოედნიდან ბიძინა ივანიშვილის*

# ჭირიანები ჭორვილაში

***მშობლიური სოფლის ჭორვილას მიმართულებით დაიძრა. ამ შორეულ მოგზაურობაში მას თან ახლდნენ სააკაშვილის ძველი თაობის ხარჭები, რიგითი ნაცსექტანტები, ნარკომანი და თაღლითი კეზერაშვილის „ფორმულას“ რეიტუზიანი პროვოკატორები, „ჭუტელები“, ნიკუტელები, ბახმუტელები, ალამუტელები, „ანუსელები“, ანუ ქუთაისელი აფერისტის ანა ნაცვლიშვილის იდეური მომხრენი და „ხაზარები“ — მამუკა ხაზარაძის „უბორნიის“ მკვიდრნი... ცხადია, იქვე იყვნენ ჭიჭე-ვაშაძისა და ე.წ. „პენტაგონას“, ანუ ხუთკუთხედთავიანი პაატა მანჯგალაძის სინდიოფალებიც...***

მთელი ეს ნახირი, რომელიც სულ რამდენიმე ავტომობილში ჩაეტია, წვიმიან და უამურ დღეს ჭორვილას საზღვარს მიადგა...

წინა დღეს ამათი სამგლე გოჭივით ატეხის ამბავი რომ შევიტყვე — **აქაოდა, ჭორვილაში მივდივართ და ბიძინას ღობეზე ბანერები უნდა გავაკრათო!** — სოციალურ ქსელებში დავწერე — **უსათუოდ გაიძუყნებით-მეთქი!**

ამით შევეცადე, ყველა გამეფრთხილებინა და, უპირველეს ყოვლისა, **სოფო ჯაფარიძისთვის** მერჩია, რომ სამი შვილის დედას, უფშვიტინე სააკაშვილის ყელის მოღერებაზე ფეხი არ გაეტოკებინა, მაგრამ, ეტყობა, ქართულ პოლიტიკაში სააკაშვილისადმი ყელისა თუ სხვა უხერხული ადგილების მოღერების სინდრომი არც **სოფო ნიჟარაძით** დაწყებულა და არც **სოფო ჯაფარიძით** დასრულდება. ეტყობა, ნაცმოძრაობის საპარლამენტო სიაში მოსახვედრად მხოლოდ სააკაშვილის მავზოლეუმის დირექტორობა არ კმარა.

ერთი სიტყვით, ველოდებით იმ დღეს, როცა **სოფო ჯაფარიძე, ემა გოგოხიასავით,** რომელიმე მაღალჩინოსნის ჭიშკარს გადაახტება, **ნონა მამულაშვილივით** პარლამენტის მაგიდაზე შეხტება, ანდა **ირმა ნადირაშვილისა და ლელა ქებურიას** მსგავსად, სადღაც, რომელიღაც თავყრილობაზე რაღაცასააყროლებს და ხალხს დაზაფრავს.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, კეზერაშვილის „ფორმულას“ ოპერატორების მსგავსად, იმ დღეს **სოფო ჯაფარიძეც** ე.წ. რეიტუზებში გამოიკვართა და საჩ-




ხერისკენ დაიძრა. ჭორვილას შესასვლელთან მან **სოფოკლეს ტრაგედიების გმირივით** ყელი მოიღერა და განაცხადა — **მე ყველაფერს გავაკეთებ, რათა სოფელი ჭორვილა, სადაც საუკეთესო ხალხი ცხოვრობს, ევროპის ნაწილი გახდესო!**

გეოგრაფიული ტრანსფორმაციების სოფოსეულ გეგმებზე, ცხადია, ზუსტად ისე გაგვეღიმა, როგორც სააკაშვილის პროგრამის — **„ღიმილიანი საქართველოს“ ბენეფიციარები** დატოვეს გაცინებულები, რომლებსაც სააკაშვილის ბრძანებით, სწორედ სტომატოლოგმა **სოფო ჯაფარიძემ** და მისთანებმა დააძრეს კბილები და მერე, 2012 წლის არჩევნებში დამარცხებულებმა მიატოვეს — **ახლა კბილები ბიძინა ივანიშვილმა ჩაგისვათო!**

## ივანიშვილის სოფელში სააკაშვილის ყოფილი და პოტენციური ცოლების აქცია ჩაფლავდა!



სააკაშვილის პირადი წარმომადგენელი სოფო ჯაფარიძე და სხვა ნაცსექტანტები ჭორვილაში

სოციალურ ქსელებში ქარზე უსწრაფესად ვრცელდება ვიდეოკადრები, სადაც **სააკაშვილისა და სოფო ჯაფარიძის** პირველი შეხვედრაა აღბეჭდილი. **„ღიმილიან საქართველოს“ პროგრამაში ჩართული ექიმი-სტომატოლოგი ერთ-ერთ პაციენტს კბილებს აძრობს, როცა მოულოდნელად სააკაშვილი პორტატულ კაბინეტში გამოეცხადება და, როგორც წესი, ათას სისულელეს ლაპარაკობს იმაზე, თუ რა კარგია კბილების დაძრობა.**

ჩვენთვის დიდ გამოცანას არ წარმოადგენს, რა მიმართულებას მიიღებდა ეს მოულოდნელი შეხვედრა... ასე რომ, **სამი შვილის დედა სააკაშვილის მავზოლეუმის დირექტორობის პარალელურად რეიტუზით რომ გაიქცევი ჭორვილაში, აქაოდა, ბიძინა ივანიშვილის ღობეს უნდა გადავახტეო, ღირსი ხარ, პარლამენტში მოხვდე და ანი წითლიძის, თინათინ ბოკუჩავას, ანდა სულაც ნატო ჩხეიძის ადგილი დაიკავო, რომელსაც ამ ბოლო დროს სააკაშვილი რატომღაც აღარ ესიზმრება.**

ჭორვილას შესასვლელთან **სოფოსა და მის ნახირს** ის კბილებდამძვრალი ხალხიც ელოდა, რომელიც სააკაშვილმა და მისმა გარყვნილმა სექტამ აბუჩად აიგდეს. ცხადია, პროვოკატორებს, რომელთა შორისაც „ფორმულას“ რეიტუზიანი ბიჭები სჭარბობდნენ, ხალხმა ჭორვილაში მიტინგების გამართვის, ბანერების გაშლისა და მყრალი შეძახილების საშუალება არ მისცა... **რომ არა პოლიცია, ხალხი სოფო ჯაფარიძესა და მის სექტას მართლაც სათითაოდ გაძუყნიდა, მაგრამ სამართლადამცავებმა ივაჟკაცეს და მომხდურები და ჭორვილელები ერთმანეთს განარიდეს...** არადა, თუ მსგავს სიტუაციაში პოლიცია გვერდზე გაიწევა და ნაცსექტანტებს, სოდომისტებს, პრაიდელებსა და გეი-პარტიების აქტივისტებს პატიოსანი ქართველი საზოგადოების წინაშე პირისპირ დატოვებს, საქართველოში ბევრი პრობლემა ერთბაშად და უსწრაფესად მოგვარდება!

როცა ხრუშჩოვმა 1961 წლის ოქტომბერში სტალინი მავზოლეუმიდან გამოიტანა და კიტელზე ოქროს ღილები დააჭრა, ბევრი ტიროდა...

საინტერესოა, რას იზამს სოფო ჯაფარიძე, თუ სააკაშვილი მავზოლეუმში შეიტანეს, მაგრამ კიტელებისა და ნიკუტელების გარეშე!

**ჭორვილაში ჭირიანებისა და სააკაშვილის ყოფილი და პოტენციური ცოლების აქცია ჩაფლავდა და რეიტუზიანები უკან გამოტრიალდნენ.** იმედია, გამოცხადებული გადატრიალებაც ასე ჩაფლავდება და სააკაშვილის ცოლები, ტროლები, ხარჭები თუ ხასები ლოგინში გადატრიალდებიან!

***დიტო ჩუბინიძე***



ჭიშკარზე ამძვრალი ემა გოგოხია



მაგიდაზე ამხტარი ნონა მამულაშვილი



ლელა ქებურია და ირმა ნადირაშვილი

**ველოდებით იმ დღეს, როცა სოფო ჯაფარიძე, ემა გოგოხიასავით, რომელიმე მაღალჩინოსნის ჭიშკარს გადაახტება, ნონა მამულაშვილივით პარლამენტის მაგიდაზე შეხტება, ანდა ირმა ნადირაშვილისა და ლელა ქებურიას მსგავსად, სადღაც, რომელიღაც თავყრილობაზე რაღაცასააყროლებს და ხალხს დაზაფრავს!**

# ზელენსკი გაიაფდა!




**„ასავალ-დასავალის“ წინამდებარე გვერდზე დაბეჭდილი ფოტოდან, რომელიც ქართულ და უცხოურ სოციალურ ქსელებში გავრცელდა, ვიგებთ, რომ უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის შესახებ პოლონურ ენაზე გამოცემული ბიოგრაფიული წიგნი მაღაზიაში თავდაპირველად 42,99 ზლოტი ღირდა, შემდეგ — 25,99 ზლოტი, ხოლო ახლა 4,99 ზლოტად აფასებენ.**

უკეთ თუ ვიტყვით, ზელენსკის შესახებ დაწერილი წიგნის კატასტროფული გაიაფება **თავად ზელენსკის კატასტროფული გაიაფების** გამოძახილია!

უკრაინის პრეზიდენტი, რომელსაც დასავლეთის ლიბერალური მედია ომის პირველ თვეებში მსოფლიო გმირად წარმოაჩენდა, დღეს გავლენიანი უცხოური ტელეარხებიდან და წამყვანი გამოცემების ფურცლებიდან, ფაქტობრივად, გამქრალია.

საერთაშორისო მასმედიაში **ზელენსკის მიმართ თავდაპირველი აღფრთოვანება ნელ-ნელა ჩაანაცვლა იმედგაცრუებამ, ეჭვებმა და კითხვებმა, რომლებიც უკრაინის წარუმატებელ კონტრშეტევას, დასავლეთის მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარების არამიზნობრივ ხარჯვასა და მასშტაბურ კორუფციას უკავშირდება.**

კოლექტიური დასავლეთის პოლიტიკურ ელიტას ზელენსკისა და მისი მთავრობის მხრიდან გაუთავებელი პრეტენზიები, დამუნათება და ჭკუის სწავლება ყელში რომ ამოუვიდა, ამის პირველი მკაფიო დემონსტრაცია ამა წლის 12 ივლისს ვილნიუსში გამართულ ნატოს სამიტზე მოხდა, **როცა ალიანსის ლიდერებმა უკრაინის პრეზიდენტს ზურგი აქციეს და გალოკილი თითივით მარტო დატოვეს.**

ინტერნეტში გავრცელებულმა ფოტოებმა, რომლებზეც ჩანს, რომ ევროპელი ლიდერები ერთმანეთს პირღიმილიანად ემუსაიფებიან, მათგან ზურგშექცეული ზელენსკი კი მარტო დგას და ტუჩებს იკვნეტს, საქართველოში ბევრს გაახსენა **დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო ინაუგურაციაზე დაუპატიჟებლად მიხეტებული სააკაშვილი, რომელიც ცერემონიალს ლამის კილომეტრის სიშორიდან, ბუჩქებს ამოფარებული ადევნებდა თვალს.**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, საერთაშორისო საზოგადოების თვალში **ზელენსკის გაიაფება** კარგა ხნის წინათ დაიწყო და დღესაც გრძელდება. **აი, ახლაც, როცა ისრაელსა და პალესტინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის მორიგმა ფაზამ იფეთქა, უკრაინის პრეზიდენტმა სურვილი გამოთქვა, ისრაელში აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენთან ერთად ჩასულიყო, მაგრამ ნეთანიაჰუს ხელისუფლებამ ზელენსკის დელიკატური უარი სტკიცა — ახლა თქვენი ვიზიტისათვის შესაფერისი დროს არ არისო!**

ეს კიდევ ერთი მკაფიო ნიშანია, რომ უკრაინის პრეზიდენტი საერთაშორისო ასპარეზზე კატასტროფულად გაუფასურდა და თითქმის **პოლიტიკურ კეთროვნად** იქცა!

**ყოველივე ამის ფონზე, რაღა გასაკვირია, რომ ზელენსკის შესახებ დაწერილ ბიოგრაფიულ წიგნს, რომელიც პოლონეთში თავიდან 42,99 ზლოტი ღირდა, დღეს 4,99 ზლოტადაც არავინ ყიდულობს!**

ზოგადი საერთაშორისო ტენდენციის გარდა, **პოლონეთში ზელენსკის 9-ჯერ გაიაფება** იმითაც არის გამოწვეული, რომ ცოტა ხნის წინათ უკრაინისა და პოლონეთის ხელისუფლებებს შორის შავმა კატამ გაირბინა, რაც ისევ და ისევ ზელენსკის პო-

## ზელენსკის შესახებ დაწერილი წიგნის კატასტროფული გაიაფება თავად ზელენსკის კატასტროფული გაიაფების გამოძახილია!

როგორც პოლონური ვებგვერდები გვამცნობენ, **წიგნი, რომელიც ზელენსკის ბავშვობაზე, კრივოი-როგის ეკონომიკის ინსტიტუტში იურიდიული განათლების მიღებაზე, სასცენო კარიერასა და ოჯახზე მოგვითხრობს, ყოფილ სამხედრო კორესპონდენტს, პოლონურ გაზეთ „პოლსკა თაიმის“ მთავარ რედაქტორს ვოიცეხ როგაცინს დაუწერია.**

პოლონური საიტებისვე მიხედვით, პოლონეთის წიგნის მაღაზიებში ზელენსკის ბიოგრაფიის გაყიდვა 2022 წლის მაისის ბოლოდან დაიწყო, ანუ ორი თვის შემდეგ, რაც უკრაინაში რუსეთი შეიჭრა და ომი ატყდა.

დასაწყისშივე აღვნიშნეთ და ფოტოზეც ჩანს, რომ **ზელენსკის ბიოგრაფია თავიდან 42,99 ზლოტი ღირდა, რაც 27,48 ლარის ეკვივალენტია; პირველი გაიაფების შემდეგ წიგნის ფასი 16,61 ლარის ეკვივალენტი გახდა, სადღეისოდ კი 3,19 ლარის ეკვივალენტი ღირს.**

ე.ი. ზელენსკის ბიოგრაფია 2022 წლის მაისიდან დღემდე, ანუ არასრული წელიწად-ნახევრის განმავლობაში, **თითქმის 9-ჯერ გაიაფდა!**

სოციალური ქსელების პოლონური, რუსული და ინგლისურენოვანი მომხმარებლები ამაზე ბევრს ქილიკობენ — **მალე, ალბათ, პოლონეთის მოსახლეობას წიგნს უფასოდ ჩამოურიგებენო!**

ხუმრობა იქით იყოს და, **ზელენსკის შესახებ დაწერილი ბიოგრაფიული წიგნის კატასტროფული გაუფასურება იმ საერთო ტენდენციის ნაწილია, რომელიც თვალნათლივ აჩვენებს, რომ უკრაინის პრეზიდენტის რენომე დასავლური ისტებლიშმენტისა და საზოგადოების თვალში შეუქცევად დევალვაციას განიცდის!**



**დასავლეთის პოლიტიკურ ელიტას ზელენსკისა და მისი მთავრობის მხრიდან გაუთავებელი პრეტენზიები, დამუნათება და ჭკუის სწავლება ყელში რომ ამოუვიდა, ამის პირველი მკაფიო დემონსტრაცია ამა წლის 12 ივლისს ვილნიუსში გამართულ ნატოს სამიტზე მოხდა, როცა ალიანსის ლიდერებმა უკრაინის პრეზიდენტს ზურგი აქციეს და გალოკილი თითივით მარტო დატოვეს!**

## კვირგვინოსნები

### ლევან მამალაძე
*სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი*



არმია ჰყავს ძლიერი უკრაინასო, მაგრამ **ამ ძლიერებისგან აღარაფერი დარჩება, როგორც კი დახმარებას შეუწყვეტენ.** 24-მილიარდიანი შეპირებული დახმარება 200 მილიონზე დაიყვანეს, **აღარც სამხედრო ტექნიკას აწვდიან იმ რაოდენობით,** რუსეთის წინააღმდეგ კონტრშეტევა კი არა, თუნდაც თავის დაცვა რომ შეძლონ.

„საერთო გაზეთი“

### ნიკოლოზ სამხარაძე
*პარლამენტარი*



მსოფლიოში არის **ახალი ესკალაციის სერიოზული საფრთხე** და ამ მოცემულობაში **ჩვენ, როგორც ოკუპირებულმა ქვეყანამ,** ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მოსახლეობას **მშვიდობა და სტაბილურობა შევუნარჩუნოთ.**

„იმედინიუსი“

### ლელი მორიშკინა
*ჟურნალისტი*



**შეწყვიტეთ ქართველების დამუნათება!** არცერთ ბიჭს არ უთქვამს უარი ომზე! აფხაზეთში წასასვლელად, გამთენიისას იპარებოდნენ სახლებიდან! მათ მოსაძებნად მამები და ბიძები მიდიოდნენ და **ოჯახი 2-3 კუბოს ღებულობდა, ყველა უბანში, ყველა სადარბაზოსთან კუბოს სახურავები იყო აყუდებული!** 2008 წელს ვინ დაიხია უკან? რიგები იდგა ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომის ვეტერანების, რომლებიც ითხოვდნენ ომში წასვლას და უარს იღებდნენ! **ვინ გარბოდა წითელ ხიდზე? მიშას მთავრობა!** ალმოკიდებული სოხუმი არცერთმა ვაჟკაცმა არ დატოვა, თუმცა, იცოდნენ, რაც ელოდათ! **მორჩით ებრაელების მაგალითის მოყვანას და ქართველების ღირსების გათელვას!**

„ალია“

**საქართველოს კონსტიტუციის სანაგვეში გადამგდები სალომე ზურაბიშვილისაგან ისიც აღარ გაგვიკვირდება, სამაგიდო და სახელმძღვანელო წიგნად ზელენსკის ბიოგრაფია გაიხადოს, რომელსაც პოლონეთიდან 4,99 ზლოტად, ანუ 3 ლარად და 19 თეთრად გამოიწერს!**



ლიტიკური თავკერძობისა და როყიოობის შედეგია. კერძოდ, **უკრაინის პრეზიდენტმა გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას „რუსეთისათვის ხელსაყრელი პოლიტიკური თეატრი" უწოდა პოლონეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, აკრძალოს უკრაინული მარცვლეულის იმპორტი.**

ზელენსკის ამ განცხადებამ პოლონეთის ლიდერები ძლიერ აღაშფოთა და პრემიერ-მინისტრმა მორავეცკიმ საჯაროდ განაცხადა: ***„მსურს, პრეზიდენტ ზელენსკის მოვუწოდო, აღარასოდეს მიაყენოს შეურაცხყოფა პოლონელებს, როგორც ეს გაეროში გამოსვლისას გააკეთა."***

თუმცა, ეს არ არის ერთადერთი ფაქტი, რომელიც ნავთს ასხამს პოლონეთსა და უკრაინას შორის უკანასკნელ ხანს გაჩენილ პოლიტიკურ ცეცხლზე!

**ერთი თვის წინათ, როცა უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი კანადის პარლამენტში სიტყვით გამოდიოდა, იქვე საპატიო სტუმრის სტატუსით იჯდა 98 წლის უკრაინელი იაროსლავ ჰუნკა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანად წარმოადგინეს და ოვაციებით დააჯილდოვეს, თუმცა, გაირკვა, რომ, სინამდვილეში, ნაცისტი ესესელი ყოფილა და „გალიციის დივიზიაში" უმსახურია.** რაკი ეთნიკური უკრაინელებისაგან დაკომპლექტებული „გალიციის დივიზია" მეორე მსოფლიო ომის დროს ერთ-ერთი პოლონური სოფლის მშვიდობიანი მოსახლეობის ამოწყვეტაშია მხილებული, პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტმა გამოძიება დაიწყო — მონაწილეობდა თუ არა პოლონელთა ხოცვა-ჟლეტაში უკრაინელი ნაცისტი **იაროსლავ ჰუნკა,** რომელსაც ზელენსკი კანადის პარლამენტში ტაშს უკრავდა და გმირად წარმოაჩენდა?!

ერთი სიტყვით, **პოლონეთსა და მთელ დასავლურ სამყაროში ზელენსკის ჩამოფასების პროცესი მიმდინარეობს!**

პოლონეთისა და მთელი ევროპის მოსახლეობა მხოლოდ ახლა ხვდება და აცნობიერებს იმას, რასაც ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი უკრაინაში ომის დაწყებიდან სულ რამდენიმე დღეში მიხვდა — **ზელენსკი გმირი კი არა, ამპარტავნობითა და ნარცისიზმით შეპყრობილი უმადური ტაკიმასხარაა!**

ზელენსკის შესახებ დაწერილი ბიოგრაფიული წიგნი, რომელსაც პოლონელები **4,99 ზლოტად,** ანუ **3,19 ლარადაც** აღარ ყიდულობენ, ალბათ, წიგნის მაღაზიათა საწყობებში დალპება, ხოლო ზელენსკის რეჟიმი, თავის **არახამია-გონჩარენკო-პოდოლიაკებით,** უკვე დამპალი და აყროლებულია!

## სალომე ზურაბიშვილმა ირაკლი კობახიძესა და შალვა პაპუაშვილს უთხრა – მეორე ფრონტი გახსენით და ზელენსკივით გმირები გახდებითო!



### ბოლოთქმა

გასულ კვირას, როცა საქართველოს პარლამენტში კონსტიტუციის გამბახებელი პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა მიმდინარეობდა, **„ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ** განაცხადა, რომ უკრაინაში ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში **სალომე ზურაბიშვილმა** მასთან და პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილთან** შეხვედრის სურვილი გამოთქვა, პრეზიდენტის სასახლეში მისულებს კი პირდაპირ აჯახა — **ზელენსკი მსოფლიო გმირი ხდება და თქვენ რას აპირებთო?!**

ე.ი. **სალომე ზურაბიშვილმა ირაკლი კობახიძესა და შალვა პაპუაშვილს ნართაულად უთხრა — მეორე ფრონტი გახსენით, საქართველო რუსეთთან ომში ჩააბით და ზელენსკივით გმირები გახდებითო!**

კიდევ კარგი, საქართველოს ხელისუფლებაში **„ზელენსკივით გმირი"** არავინ აღმოჩნდა!

რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის სანაგვეში გადამგდებ **სალომე ზურაბიშვილს,** მისგან ისიც აღარ გაგვიკვირდება, სამაგიდო და სახელმძღვანელო წიგნად ზელენსკის ბიოგრაფია გაიხადოს, რომელსაც პოლონეთიდან **4,99 ზლოტად, ანუ 3 ლარად და 19 თეთრად გამოიწერს!**

***ჯაბა ხუბუა***



# ორი კანონი, რომლითაც ზელენსკის რეჟიმმა უკრაინა დაამარცხა!

***არესტოვიჩი ხომ გახსოვთ, ოლექსი არესტოვიჩი? იგი უკრაინაში ომის დაწყების დროს ზელენსკის მარჯვენა ხელი იყო და ქართველ ნაცლიბერალებს კუმირად ჰყავდათ, ლამის კლაუზევიცად, ტალეირანად და ბისმარკად მიაჩნდათ... ჰო, საქართველოში, კერძოდ, დედოფლისწყაროს რაიონში დაბადებულ არესტოვიჩზე მოგახსენებთ, რომელმაც უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ პირდაპირ განაცხადა — საქართველოს ხელისუფლებაში დღეს მეორე ფრონტის გამხსნელი და რუსეთთან ომის გამჩაღებელი ტიპები არ სხედან, აი, სააკაშვილი რომ ყოფილიყო, ამას უყოყმანოდ იზამდაო!***

ჰოდა, სწორედ ეს **არესტოვიჩი,** რომელიც ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტ ზელენსკის ადმინისტრაციაში მრჩევლის თანამდებობას იკავებდა, დღეს ზელენსკისა და მის ხელისუფლებაზე ისეთებს ლაპარაკობს, თმები რომც არ გქონდეს, მაინც ყალყზე დაგიდგება.

მტრისას და ავისას არესტოვიჩის უკანასკნელი განცხადებები!

**კრემლის თავაწყვეტილ პროპაგანდისტებს — სალავიოვსა და სიმონიანსაც კი, ალბათ, თვალები აქვთ დაჭყეტილი, ისე ომახიანად ამხელს არესტოვიჩი ზელენსკის რეჟიმს კორუმპირებულობაში, ანტიდემოკრატიულობასა და არაკომპეტენტურობაში.**

მაგალითად, სოციალურ ქსელ „ტელეგრამის" პირად არხზე **არესტოვიჩი** წერს:

*„ჩვენი მთავრობა ახშობს ბიზნესს, სამოქალაქო თავისუფლებებსა და პოლიტიკურ ოპონენტებს, ეჩხუბება მეზობლებსა და ძირითად პარტნიორებს, ახალისებს კორუფციას.* ***მთავრობას არ სურს, სიმართლე უთხრას ხალხს,ატყუებენ, თითქოს ყირიმს მალე დაიბრუნებენ. ეს ახლო მომავალში შეუძლებელია, იქნება მხოლოდ თავდაცვა, სისხ-***

გაგრძელება მე–14 გვერდზე

## ზელენსკის ყოფილი მარჯვენა ხელი არესტოვიჩი უკრაინის ხელისუფლებას კორუფციასა და ავტორიტარიზმში ამხელს!



## კვირგვინოსნები

**სოსო ციცაძე**
*ექსპერტი*



სოციოლოგები სწავლობენ, **თუ რამ გამოიწვია პალესტინელთა ესოდენ დიდი სიძულვილი ებრაელთა მიმართ.** დაასკვნეს, რომ მთელი ეს 75 წელია, **როგორც ლიმონი, ისე გამოწურეს პალესტინელებში ყველა ადამიანური თვისება — სიყვარული, შეცოდება, მიტევება, სიკეთე, სიბრალული...** ვინ გამოწურა? **იმ სიძულვილის იდეოლოგიამ,** რასაც მათში ბავშვობიდან აღვივებენ ჯიჰადისტები — ის ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ისრაელის სახელმწიფოს ადგილი არ არის იქ, სადაც დღეს არსებობს.

„ალია"

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ **ნაცმოძრაობა არის პარტია, რომელიც რეფორმების სახელით ციხეში აწამებდა პატიმრებს,** კლავდა და აუპატიურებდა ქართველ კაცს.

„იმედინიუსი"

**ბაჩო ლოლაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



როგორც ჩანს, **არსებული მენეჯმენტი მოკლე გზებს ეძებს,** რომ ჩვენ პარტიიდან გაგვრიცხონ, **ჩვენ კიდევ გზებს ვეძებთ,** რომ ხელისუფლება შევცვალოთ, ეს გზაც ნაპოვნი გვაქვს, მოძრაობაც დაწყებული გვაქვს.

„პირველი არხი"

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



არ შეიძლება, ხალხს **მანკიერი ხელისუფლების ალტერნატივად მანკიერ ოპოზიციას** სთავაზობდე.

„პირველი არხი"

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა არის **ოფშორული ორგანიზაცია,** რომელსაც **„მისტერ ოფშორი"** მართავს.

„პირველი არხი"

# ორი კანონი,
## რომლითაც ზელენსკის რეჟიმმა უკრაინა დაამარცხა!

*დასაწყისი მე-13 გვერდზე*

***ლი, ოფლი და ცრემლი.** ჩვენმა ხელისუფლებამ ამოწურა საკუთარი კომპეტენცია, სიტუაცია ჩიხში შეიყვანა და არასწორ პოლიტიკას აგრძელებს, მას კატასტროფისაკენ მივყავართ".*

ვიცე-პოლკოვნიკის ჩინის მქონე **არესტოვიჩი,** რომელიც ზელენსკის უახლოესი გარემოცვის წევრი იყო და მის ადმინისტრაციაში ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრატეგიულ კომუნიკაციებს კურირებდა, აცხადებს, რომ **უკრაინისათვის ერთადერთი გამოსავალი 2024 წელს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაა, რადგან ზელენსკის ხელისუფლებამ *„მრავალი შეცდომითა და არასწორი მენეჯმენტით ძალიან სწრაფად მოახდინა საკუთარი თავის დელეგიტიმაცია"*.**

**არესტოვიჩი** საუბრობს იმის შესახებაც, რომ დღევანდელ უკრაინაში ზელენსკისა და მისი ხელისუფლების კრიტიკა ძალიან საშიშია:

***„უკრაინაში გვაქვს შემთხვევები, რომ ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებას აკრიტიკებენ, მიდიან ბახმუტში და იქ კვდებიან".***

ე.ი. არესტოვიჩი მიანიშნებს, რომ, ვინც ზელენსკის რეჟიმთან დაპირისპირებას გაბედავს, მყისვე გააქრობენ, მათ შორის, ფრონტზე, ანუ ნამდვილ სასაკლაოზე გაგზავნის გზით!

განსაკუთრებით საყურადღებო და საგულისხმოა, რომ **არესტოვიჩი ხაზგასმით საუბრობს ზელენსკის ხელისუფლების მიერ ამერიკული ფულის მოპარვაზე, რაშიც ბაიდენის ხელისუფლების მიერ უკრაინის დასახმარებლად გამოყოფილი დიდძალი ფინანსური დახმარების კორუფციული შეთქვლეფა იგულისხმება.**

ჟურნალისტ **დიმიტრი გორდონისათვის** მიცემულ ინტერვიუში **არესტოვიჩი** ამბობს:

*„შეხედეთ დასავლური პრესის პუბლიკაციებს უკრაინის შესახებ — კორუფცია, კორუფცია, კორუფცია. **თუ ჩვენი ხელისუფლება ფიქრობს, რომ დასავლეთში არაფერი იციან ამის შესახებ, ძალიან ცდებიან, მათ ყველაფერი იციან. რაც ჩვენთან ხდება, ეს ქურდობის ბაქანალიაა, კორუფციის ასეთი დონე უკრაინის ისტორიაში არასდროს ყოფილა. განსაკუთრებით მძიმეა, როდესაც იპარავენ ამერიკულ ფულს, ანუ ამერიკელები გვეუბნებიან:** თქვენ ჩვენ გვიყვებით სიცოცხლისთვის ბრძოლის შესახებ და ჩვენ გაძლევთ ფულს, თქვენ კი ამ ფულს იპარავთ. რა რეაქცია უნდა ჰქონდეთ ამერიკელებს ამაზე?"*

**არესტოვიჩის** ამ განცხადების კვალდაკვალ, კიდევ უფრო ლეგიტიმური და დამაჯერებელი ხდება აქტიურად მოარული ხმები იმის შესახებ, რომ ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტი ძლიერ აღშფოთებულია უკრაინის ხელისუფლების კორუფციული საქმიანობით, რაც მრავალმილიარდიანი ფინანსური ტრანშების არამიზნობრივ ხარჯვასა და დახმარების სახით მიღებული შეიარაღების არცთუ მცირე ნაწილის გაყიდვაში გამოიხატება.

ერთი სიტყვით, სულ უფრო მეტ სიმყარეს იძენს ვერსია, რომლის თანახმადაც **ზელენსკის ყოფილი მარჯვენა ხელი ოლექსი არესტოვიჩი** უკრაინის ხელისუფლების მამხილებელ განცხადებებს აშშ-ის დავალებით აკეთებს, ანუ არესტოვიჩის პირით ამერიკული სპეცსამსახურები მეტყველებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ზელენსკის ვაშინგტონში წითელი ხაზი გადაუსვეს და მისი „თამაშიდან გაყვანა" მხოლოდ დროის საკითხია.



თუმცა, ვიდრე ეს მოხდარა, **ზელენსკის რეჟიმი აგრძელებს აქტიურ ბრძოლას უკრაინაში მართლმადიდებელი ეკლესიის დასამხობად და ლგბტ იდეოლოგიის აღსაზევებლად!**

მაგალითად, 2023 წლის 18 ოქტომბერს უკრაინის უმაღლესმა რადამ პირველი მოსმენით დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც **უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის** აკრძალვას გულისხმობს. უფრო კონკრეტულად, 450-წევრიან რადაში ინიცირებული კანონპროექტი, რომელმაც პირველ მოსმენაზე 267 ხმა მიიღო, უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთთან დაკავშირებული რელიგიური ორგანიზაციების აკრძალვას ითვალისწინებს, ასეთი კი, პირველ რიგში, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიაა, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარება.

**ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ ოფიციალურად განაცხადა, რომ რადაში პირველი მოსმენით მიღებული კანონი, რომელიც უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის აკრძალვას ითვალისწინებს, რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება, მაგრამ ძნელად სავარაუდოა, ამან ზელენსკის რეჟიმს განზრახვაზე ხელი ააღებინოს.**



# Рада сделала шаг к запрету религиозных организаций, связанных с Россией

ВАЛЕНТИНА РОМАНЕНКО — ЧЕТВЕРГ, 19 ОКТЯБРЯ 2023, 13:07

УКРАИНСКАЯ ПРАВДА



ФОТО ИЗ ТГ ЖЕЛЕЗНЯКА

Верховная Рада поддержала в первом чтении законопроект
деятельности в Украине религиозных организаций, связанны
которым могут прекратить деятельность УПЦ МП.

## უკრაინის უმაღლესმა რადამ პირველი მოსმენით დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის აკრძალვას გულისხმობს!

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ამკრძალავი კანონპროექტის პარალელურად, რადაში კენჭისყრაზე გასატანად არის გამზადებული **კანონპროექტი ერთნაირსქესიანთა რეგისტრირებული პარტნიორობის შესახებ,** რომლის მიზანია, განსაზღვროს ლგბტ პირთა საერთო უფლებები და ვალდებულებები, მოაწესრიგოს მათი უძრავი ქონებისა და მემკვიდრეობის საკითხები, ასევე სოციალური დაცვის გარანტიები და უფლებები პარტნიორის გაუჩინარების შემთხვევაში...

**ერთნაირსქესიანთა რეგისტრირებული პარტნიორობის, ანუ ერთნაირსქესიანთა ფაქტობრივი ქორწინების კანონპროექტს, რომელზეც უკრაინული არასამთავრობო ორგანიზაციები 9 თვის განმავლობაში მუშაობდნენ, გასულ კვირას მხარი დაუჭირეს და რადაში განსახილველად მწვანე შუქი აუნთეს უკრაინის თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებმა.**



MINISTRY OF DEFENSE AND MINISTRY OF JUSTICE SUPPORTED THE DRAFT ON REGISTERED PARTNERSHIPS IN UKRAINE. DOCUMENT

The Ministry of Defence and the Ministry of Justice have supported draft law No. 9103 "On the Institute of Registered Partnerships". This draft law proposes to introduce a registered partnership as a voluntary family union o

## უკრაინის თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებმა მხარი დაუჭირეს კანონპროექტს ერთნაირსქესიანთა რეგისტრირებული პარტნიორობის შესახებ!

იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ამკრძალავ კანონპროექტს რადას 450 დეპუტატიდან 267-მა, ანუ ნახევარზე მეტმა დაუჭირა მხარი, ერთნაირსქესიანთა რეგისტრირებული პარტნიორობის კანონპროექტიც, დიდი ალბათობით, ხმათა გადამწყვეტ უმრავლესობას მიიღებს.

**ზელენსკის რეჟიმს, რომელმაც უკრაინის ტერიტორიების 20 პროცენტი უკვე დაკარგა, როგორც ჩანს, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აკრძალვისა და ერთნაირსქესიანთა ფაქტობრივი დაკანონების გარდა აღარაფერი დარჩენია!**

### შესაძლოა, ჯერ კიდევ არსებობდეს შანსი, უკრაინა რუსეთთან ომში არ დამარცხდეს, მაგრამ უკრაინა უკვე დამარცხდა ზელენსკის რეჟიმთან, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის ამკრძალავ და ლგბტ იდეოლოგიის აღსაზევებელ კანონებს იღებს!

**დიახ,** ამ ორი კანონის მიღება ზელენსკის რეჟიმის მიერ უკრაინის დამარცხებას ნიშნავს!

**დიახ,** ამ ორი კანონის მიღებით ზელენსკის ხელისუფლება უკრაინის სახელმწიფოებრიობასა და უკრაინელ ხალხს იმაზე დიდ დარტყმას აყენებს, ვიდრე რუსულმა ბომბებმა და რაკეტებმა მიაყენეს!

**ზელენსკის რეჟიმის გადამკიდე, უკრაინა დღეს არამხოლოდ ომის, არამედ ცოდვისა და სირცხვილის ცეცხლშია გახვეული!**

***ჯაბა ხუბუა***

# საქართველო და მსოფლიო

№60 (228) ★ 2023 წლის 23 ოქტომბერი ★ გამოდის 2003 წლიდან




# ზურაბიშვილის პოლიტიკური კუზი რომ დაგვენახა, ეს არ დაგვემართებოდა!

***2012 წლის 1 ოქტომბრის გამანადგურებელი მარცხის შემდეგ, როცა ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილი მოვიდა და ნაცსექტა მმართველობის სადავეებს ჩამოაშორა, ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, 2013 წლის 17 ნოემბრამდე, ვიდრე საპრეზიდენტო ვადა არ ამოეწურა, საქართველომ ვერ მოიშორა სააკაშვილის პოლიტიკური კუზი. ეს კუზი გარყვნილი მანიაკებისა და სადომაზოხისტების კლანჭებისგან ძლივს გათავისუფლებულ ქვეყანას ყველგან და ყველაფერში ხელს უშლიდა და ნორმალური განვითარების საშუალებას არ აძლევდა.***

დღეს, როცა საქართველოს რეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრაკაციანმა პლენუმმა კონსტიტუციის დამრღვევად ცნო, როცა **მადამ „პრეზიდენტი“** იმპიჩმენტს ბეწვზე გადაურჩა, როცა არავითარი ლეგიტიმაცია და ნდობა მას არა აქვს და ამის მიუხედავად, მთავრობის თანხმობის გარეშე, უცხოეთში „უპრაგონოდ“ „ტრაშუნს“ კვლავ აპირებს, ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას აშკარად წინ ეღობება ახლა უკვე **სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური კუზი,** რომელიც ქვეყნამ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე უნდა ათრიოს!

საქართველოს ხელისუფლების მესვეურები ჩვენი ქვეყნის უახლოეს წარსულს ცოტა უფრო დაკვირვებით რომ გასცნობოდნენ და სალომე ზურაბიშვილის **კუზიანი პოლიტიკური წარსული** კარგად შეესწავლათ, აშკარად მიადგებოდნენ იმ სამარცხვინო და მოღალატეობრივ ისტორიას, როცა **სალომე ზურაბიშვილმა და მერაბ მამარდაშვილმა პარიზში, გაზეთ „ლე მონდ“-ში** მიიტანეს და გამოაქვეყნეს უბინძურესი და ცილისმწამებლური წერილი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, სადაც ეს გარეწრები და საქართველოს მტრები ამტკიცებდნენ, **თითქოს ფაშისტმა გამსახურდიამ საქართველოში ოსი ეროვნების მოქალაქეებს ერთ შვილზე მეტის გაჩენის უფლება აუკრძალა!**

ეს ბოროტი მონაჩმახი იმის შესახებ, რომ ქართველები ოსებს ჩაგრავდნენ და განკითხვის დღეს უწყობდნენ, საერთაშორისო ტრიბუნებიდან დღესაც ისმის, რაშიც **აძაღლებული პრეზიდენტ-რეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისა და ჩაძაღლებული მერაბ მამარდაშვილის** წვლილი დიდზე დიდია. ცნობისათვის, **ეს ის მერაბ მამარდაშვილია, რომელიც ამბობდა — თუ საქართველო აირჩევს ზვიად გამსახურდიას, მაშინ მე საქართველოს წინააღმდეგ წავალო!** ჰოდა, წავიდა კიდეც...

საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ **სალომე ზურაბიშვილი** თავის კაგებეშნიკ მეუღლე **ჯანრი კაშიასთან** ერთად საქართველოს დამაქცევრებს ოდებსა და იამბიკოებს უძღვნიდა და **პარიზში გამომავალ ჟურნალ „ივერიაში“** 1992 წლის 7 იანვარს წერდა — **„ზვიად გამსახურდია, როგორც დიქტატორი, დაამხო დემოკრატიულმა ძალებმა. ამისთვის თენგიზ კიტოვანს, ჯაბა იოსელიანს, თენგიზ სიგუას და მთელ ოპოზიციას დიდი მადლობა!“**

ელემენტარული ლოგიკა, რაციონალიზმი და ანალიზი იყო საჭირო იმ საფრთხის განსაჭვრეტად, რაც სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში ქვეყანას დაემუქრებოდა. დიდი მკითხაობა არ სჭირდებოდა იმის გამოცნობას, რომ **ქალი, რომელიც ნატოს წევრი ქვეყნის — საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების სამსახურის დირექტორი იყო, პირდაპირ იყო და არის დაკავშირებული ნატოსა და ამერიკის სპეცსამსახურებთან.** ამიტომ ექსტრემალურ სიტუაციაში, პრეზიდენტი იქნებოდა ის თუ როენას ბორდელის დამლაგებელი, **სალომე ზურაბიშვილი აუცილებლად შეასრულებდა და ასრულებს კიდეც იმ მითითებას, რასაც მისი ნატოელი უფროსები უბრძანებდნენ.**

შესაბამისად, როგორც კი უკრაინის ომი დაიწყო, „საქართველოს პრეზიდენტად“ წოდებულ, მაგრამ ნატოელებისთვის რეზიდენტ სალომეს ისევე, როგორც ამერიკის ელჩს საქართველოში **კელი დეგნანს,** ებრძანათ, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაეთრიათ. სწორედ ამ მიზნით იხმო ზურაბიშვილმა თავისთან **შალვა პაპუაშვილი და ირაკლი კობახიძე** და განუცხადა — **ზელენსკი მსოფლიო გმირია და თქვენ რას აპირებთო?!** 2022 წლის მარტში სწორედ ამიტომაც გადააჯდა ამერიკის ყოფილი ელჩი **კელი დეგნანი** ცოცხზე, ამერიკის საელჩოს ბუხრიდან სასწრაფოდ აფრინდა და აბასთუმანში ჩაფრინდა, სადაც **ბიძინა ივანიშვილს** შეხვდა და მთელი სამი საათის განმავლობაში ტვინი უბურღა — **საქართველო რუსეთს წელში უნდა შეუხტესო! ივანიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საშინელი ზეწოლისა და შანტაჟის მიუხედავად, საქართველო არ გაწირა და ქვეყანა ომის ქარცეცხლში არ გახვია!**

**რეზიდენტმა სალომემ,** რომელიც საქართველოს პრეზიდენტად დაგვასვეს, ვერა და ვერ დამალა საქართველოდან დევნილი **ნოე ჟორდანიას იმ სამარცხვინო სოციალ-დემოკრატიის კუზი,** რომელიც ჩვენი უბედური სამშობლოს სხეულზე ხან წიწამურთან ამოიზარდა, ხან — **ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა შორის, ხან — პარიზის „პეჟოს“ ქარხანაში, სადაც ქართველმა პოლიტემიგრანტებმა ერთმანეთი დახოცეს და ხანაც — ქვეყნიდან გატანილი ეროვნული საგანძურის ზარდახშებში,** როცა სამშობლოს, ფაქტობრივად, განძის მესამედი დაუბრუნდა, ხოლო დანარჩენი ავლადიდება, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ხალხმა შექმნა, „შარდონეს“ ღვინოებსა და პალე-როიალის ბორდელებში დახურდავდა. არადა, ამ დროს საცოდავ **ექვთიმე თაყაიშვილს** საჭმლის ფული არ ჰქონდა და შიმშილით სიკვდილისგან რომ თავი გადაერჩინა, ლევილში ერთი უდღეური თხა გაიჩინა, რომლის რძითაც იკვებებოდა. ის კი არა, **1945 წლის აპრილში, როცა პეტრე შარიამ და შალვა ამირანაშ-**

*გაგრძელება მე–2 გვერდზე*

## გენერალ–სალომეუსის ვნებანი ★




კუზმა მინინისა და დიმიტრი პოჟარსკის ძეგლი მოსკოვში, წითელ მოედანზე

**ერთი ბაჭტრიონის აჯანყება, ერთი ზეზვა გაფრინდაული, ერთი ნადირა ხოშარაული, ერთი გოგოლაური, ერთი დიმიტრი პოჟარსკი და ერთი კუზმა მინინი საქართველოსაც სჭირდება!**

# ზურაბიშვილის პოლიტიკური კუზი რომ დაგვენახა, ეს არ დაგვემართებოდა!



*დასაწყისი პირველ გვერდზე*

**ვილმა გაყიდვას გადარჩენილი ეროვნული საგანძური საფრანგეთიდან თვითმფრინავით წამოიღეს და ექვთიმე თაყაიშვილიც თან წამოიყვანეს, ამ მართლაცდა ღვთისკაცს ნორმალური ტანსაცმელიც კი არ ებადა...**

გავიდა ამდენი წელი და **სააკაშვილისა და სალომეს პოლიტიკური კუზი** ყველგან ჩანს — პარლამენტშიც და საკონსტიტუციო სასამართლოშიც, სადაც გენერალმა **ირინა იმერლიშვილმა,** ნაცმოსამართლე **გიორგი კვერენჩხილაძემ და თეიმურაზ ტუღუშმა** პირდაპირ გასაშტერებელი „დასკვნა“ დაწერეს — **პრეზიდენტმა ალმა-დალმა „უპრაგონო“ და დაუკითხავი „ტრაშუნით“ კონსტიტუცია კი დაარღვია, მაგრამ სახელმწიფო ინტერესებისთვის არ უღალატიაო!**

**ირაკლი კობახიძემ,** რომელიც ნელ-ნელა სახელმწიფო კაცად ჩამოყალიბდა, იმ სამი გაყიდული და მოღორებული მოსამართლისგან განსხვავებით სალომე ზურაბიშვილის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ფაქტი მარტივად და გასაგებად შეაფასა — **წარმოვიდგინოთ, მართვის მოწმობა რომ არ გვქონდეს და ავტომანქანის საჭეს მივუჯდეთ. მოვახდენთ თუ არა ავარიას, ამას მნიშვნელობა არა აქვს, კანონი მაინც დარღვეულიაო!**

საუბედუროდ, გენერალი **ირინა და კიდევ ორი მოსამართლე — კვერენჩხილაძე და ტუღუში,** რომლებზეც ნიკუტა გვარამიამ წინდაწინ განაცხადა — **სამი მოსამართლე გვყავსო!** — ამ ყველაფერს ან ვერ აცნობიერებენ, ანდა კარგად ხვდებიან, მაგრამ მაინც ჯორზე არიან შემჯდარი, რადგან ფარული, ლატენტური თუ ჩანერგილი ნაცები გახლავან, რომლებიც ნაცსექტის ცხრაწლიანი მმართველობის ეპოქაში, ალბათ, რაღაცით დაიმონეს, დააშინეს და დააშანტაჟეს...

**სალომე ზურაბიშვილისა** და სააკაშვილის პოლიტიკურ კუზებს საერთო არაფერი აქვს ნოვგოროდელ **კუზმა მინინთან** და ვოევოდა **დიმიტრი პოჟარსკისთან,** რომლებმაც 1610 წლიდან მოსკოვში ჩაბუდებული პოლონელები ქვეყნიდან კინწისკვრით გაყარეს და ნოვგოროდში შემოჭრილი შვედებიც ზედ მიაყოლეს!

**1818 წლიდან მოყოლებული, მოსკოვში, დღევანდელ წითელ მოედანზე, ორას წელზე მეტია, უცვლელად დგას მოქალაქე კუზმა მინინისა და ვოევოდა დიმიტრი პოჟარსკის ძეგლი, როგორც ინტერვენტებზე, მოღალატეებზე, კუდიანებსა და კუზიანებზე რუსეთის გამარჯვების სიმბოლო.**

**კუზმა მინინი,** რომელიც ნოვგოროდელი ვაჭარი იყო და სახალხო მოძრაობა დააფინანსა, დაჭრილ და ჩამუხლულ პრინც **დიმიტრი პოჟარსკის** აწვდის მახვილს, რათა ვოევოდა ფეხზე წამოდგეს და ქვეყნის მტრებს დაუნდობლად გაუსწორდეს. **საქართველოში, სამწუხაროდ, მოღალატეებს უდგამენ ძეგლებს... ამის მაგალითია ძაღლთაპირი მერაბ მამარდაშვილის ქანდაკი რუსთაველზე, ყოფილი „იმელის“ შენობის გვერდით. არადა, ამ დროს თბილისში თამარ მეფის ძეგლიც კი არ დგას!** აღარაფერს ვამბობთ **დავით და კონსტანტინე მხეიძეების, ბერი თევდორეს, მაია წყნეთელის, თინა წავკისელის, ქელე ეხვაიას** და სხვათა ძეგლებზე, რომლებიც საქართველოს ქალაქებსა და ქუჩებში არსად ჩანს...

ის კი არა, **ტუტრუცანებმა და ისტორიის გამყალბებლებმა ცხვირი მოტეხეს კავკასიონის არწივის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის ბიუსტს და გააქრეს მისი სახელობის ქუჩა.** სამაგიეროდ, თბილისში გვაქვს იმ კაცის სახელობის მოედნები და ქუჩები, რომელმაც საქართველოს პირველ პრეზიდენტს სამეგრელოს ტყეებში სდია და მერე მოკლა.

**1612 წელს რუსეთი დაუნდობლად გაუსწორდა უცხოელ ინტერვენტებს... მაშინ, იმ არეულ დროს, კუზმა მინინისა და დიმიტრი პოჟარსკის სახალხო ლაშქარმა მოსკოვში სისხლის ტბები დააყენა და ამოწყვიტა პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ მესამე ვაზას ჯარისკაცები, რომლებიც ქვეყანას უმოწყალოდ ძარცვავდნენ.**

ერთი ბახტრიონის აჯანყება, ერთი ზეზვა გაფრინდაული, ერთი ნადირა ხოშარაული, ერთი გოგოლაური, ერთი ვოევოდა დიმიტრი პოჟარსკი და ერთი მოქალაქე კუზმა მინინი საქართველოსაც სჭირდება, რათა ქვეყანა **რეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისა და გარყვნილი სააკაშვილის მსგავსი პოლიტიკური კუზიანებისგან** ერთხელ და სამუდამოდ გაიწმინდოს და გათავისუფლდეს!

***დიტო ჩუბინიძე***




**რეზიდენტმა სალომემ ვერა და ვერ დამალა საქართველოდან დევნილი ნოე ჟორდანიას იმ სამარცხვინო სოციალ-დემოკრატიის კუზი, რომელიც ჩვენი უბედური სამშობლოს სხეულზე ხან წიწამურთან ამოიზარდა, ხან — ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა შორის, ხან — პარიზის „პეჟოს“ ქარხანაში, სადაც ქართველმა პოლიტემიგრანტებმა ერთმანეთი დახოცეს!**

**გენერალ-სალომეუსის ვნებანი ★**



## „სტალინის წინაშე რთული ამოცანა იდგა...“

## სიმონ მასხარაშვილი:

# სტალინს ებრაელები დღემდე თავიანთ მფარველად მიიჩნევენ!

***პროფესორი სიმონ მასხარაშვილი ისრაელის სახელმწიფოს დაფუძნების ისტორიას იხსენებს და ამ საქმეში სტალინის როლზე საუბრობს. მეცნიერის განცხადებით, მთელი ანგლოსაქსური სამყარო — ამერიკა და ბრიტანელები არაბებთან იდეალურ ურთიერთობაში იყვნენ, რაც ისრაელის შექმნით დაინგრა:***

— ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტი სათავეს ბიბლიური აბრაამიდან იღებს, რომელსაც კანონიერი ცოლის **სარას** გარდა ჰყავდა მხევალი **აგარა,** რომლისგანაც შეეძინა **ისმაილი** და მერე ეყოლა **ისააკი.** მექასა და მედინას არაბები და ყურაიაშთა ტომი, რომელსაც **მუჰამედი** ეკუთვნოდა, თავს მიიჩნევენ ისმაილის შთამომავლებად, ხოლო ებრაელები არიან აბრაამის მეორე ვაჟის ისააკის ძის **იაკობის შთამომავლები.** თუმცა, ებრაელებისა და არაბების ეთნიკური წარმოშობა დაწვრილებით რომ გამოვიკვლიოთ, მეეჭვება, მათი დიდი ნაწილი აბრაამის შთამომავალი იყოს, რადგან ამდენი ხნის განმავლობაში მათ გენეტიკაში ბევრი რამ შეიცვალა. აი, მაგალითად, **ალჟირისა და მაროკოს არაბები არაბულის გარდა ფლობენ ბერბერულ ენასაც, რომელიც მათი უძველესი, მშობლიური ენაა და კართაგენიდან იღებს სათავეს.** ასე რომ, არაბების უდიდესი ნაწილის ეროვნული ნიშნით ჩამოყალიბება ისევე, როგორც ებრაელების, რელიგიამ განაპირობა და საბოლოოდ ყველაფერი ასე ფორმირდა — **აბრაამის შთამომავალთაგან ვინც იუდაიზმს აღიარებს, ებრაელია, ხოლო, ვინც ისლამს აღიარებს — არაბი.** სხვათაშორის, 1807 წელს, როცა დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა და მთელი ევროპა ემორჩილებოდა, ნაპოლეონმა თავისთან იხმო ევროპაში მცხოვრები ებრაელი რაბინები, რომლებიც დიდი პატივისცემით მიიღო და დაუსვა ერთადერთი შეკითხვა — **ებრაელობა რელიგია იყო თუ ეროვნება?** მაშინ ებრაელმა რაბინებმა ნაპოლეონს უპასუხეს, რომ **ეს იყო მხოლოდ რელიგია და რომ ფრანგი ებრაელი იყო ფრანგი, ხოლო გერმანელი ებრაელი — გერმანელი!** მაშინ ნაპოლეონმა არ დააყოვნა და რაბინების ეს პოზიცია მთელ ევროპას გაზეთებითა და პროკლამაციებით ამცნო.

სხვათაშორის, ჯვაროსნულ ლაშქრობებს წინ უსწრებდა ებრაელთა დევნა მთელი ევროპის მასშტაბით, ხოლო ესპანურმა ინკვიზიციამ, რომელიც საშინელი სისასტიკით გამოირჩეოდა, 1478 წლიდან 1834 წლამდე 30 ათასზე მეტი ადამიანი, უმეტესად ებრაელი, კოცონზე დაწვა, ხოლო 300 ათასზე მეტი წამებით მოკლა. **ესპანეთიდან გაქცეული ებრაელები დიდი სიხარულით შეიფარა თურქეთმა, რომლის არაერთი დიდვეზირი სწორედ გამუსლიმანებული ებრაელი იყო.** ებრაელების მასობრივად ჩადგომამ თურქეთის სულთნის სამსახურში დიდად შეუწყო ხელი ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და ეკონომიკურ ტრიუმფს.

**— საღვთო ომს, ანუ ჯიჰადს მუსლიმები სინამდვილეში ვის უცხადებდნენ?**

— ჯიჰადს მუსლიმები უცხადებდნენ მხოლოდ ებრაელებს, რადგან ისინი მათ ბრალს სდებდნენ ქრისტეს წამებაში. მოგეხსენებათ, იესო ქრისტე, ყურანის თანახმად, მიჩნეულია მესიად... გაგიკვირდებათ და, ისლამი მე-10 საუკუნემდე განიხილებოდა, როგორც ერთ-ერთი ქრისტიანული სექტა. ფიქრობენ, რომ ჯიჰადი და ღვინის აკრძალვა შემოიღო **ხალიფა ომარმა** (634-644 წ.წ.), რომელმაც აიღო იერუსალიმი და სოლომონის ტაძრის ნანგრევებზე აღმართა **ომარის მეჩეთი.** აი, აქედან იღებს სათავეს ისტორიული დაპირისპირება არაბებსა და ებრაელებს შორის.

**ებრაელების მიზანია, როგორმე დაანგრიონ ომარის მეჩეთი და აღადგინონ სოლომონის ტაძარი, რომელიც თავისი სიწმინდით მედინაში მდებარე მუჰამედის საფლავსა და მექაში არსებულ ქააბის ქვას უტოლდება. ყველა ეს ფაქტი ებრაელებსა და არაბებს შორის რაიმე დიალოგისა და კომპრომისის არსებობას გამორიცხავს.**

ერთი რამ უნდა ითქვას — **არაბებსა და ებრაელებს შორის ყველაზე ნაკლები კონფლიქტი ოსმალეთის იმპერიის დროს მოხდა!**

**— სად დაიბადა ისრაელის შექმნის იდეა, პალესტინაში?**

— ეს იდეა პალესტინაში არ დაბადებულა, შუა ევროპაში დაიბადა და უკავშირდება **სიონიზმს,** რომელიც ებრაელი რაბინების წრეში იშვა. ებრაელები ევროპაში სრული გაქრობისა და ასიმილაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ და სწორედ ამის გასანეიტრალებლად შეიქმნა სიონიზმი. აი, მაგალითად, **მარქსის მამა,** რომელიც რაბინების ოჯახიდან იყო, ლუთერანი პასტორი გახდა და აბსოლუტურად გაგერმანელდა, ხოლო გრაფმა **ბენჯამინ დიზრაელმა** ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი რომ გამხდარიყო, ანგლიკანობა მიიღო... აი, სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში ევროპაში მოღვაწე ებრაელ რაბინთა წიაღში იშვა სიონიზმი...

**— რა არის სიონიზმის არსი?**

— **სიონიზმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ებრაელი მხოლოდ ეროვნება კი არ არის, არამედ მან უნდა შექმნას სახელმწიფო, რისთვისაც მთელი მსოფლიოს ებრაელობამ პალესტინაში უნდა მოიყაროს თავი!**

პირველი მსოფლიო ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **ვუდრო ვილსონი** თურქეთის იმპერიის დაშლას არ ემხრობოდა, ხოლო დიდ ბრიტანეთს ამ საკითხში სრულიად საპირისპირო პოზიცია ჰქონდა. სწორედ ამ მიზნით, ბრიტანეთმა აამოქმედა თავისი ჯაშუში, პოლკოვნიკი **„ლოურენს არაბი“,** რომელიც, პირველ რიგში, დაუკავშირდა **ჰაშიმიტებს, ბედუინებს, ყურაიაშთა ტომის ელიტას** და ისინი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ აამხედრა. პარალელურად, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორდმა **არტურ ბალფურმა,** რომელიც სხვათაშორის, ისტორიკოსი იყო, 1917 წლის 2 ნოემბერს გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ბრიტანეთის იმპერია მხარს უჭერდა ისრაელის მიწაზე (პალესტინაში) **„ებრაელი ხალ-**

**ისტორიკოსის თვალით ★**

## „იმავე ძალამ, რომელმაც თურქეთის იმპერიას არაბები აუმხედრა, პალესტინაში ჩადო საშინელი ნაღმი და ხელი შეუწყო ისრაელის სახელმწიფოს შექმნას!“



საპირველმაისო პარადი თელ-ავივში. 1949 წელი

**ხისათვის ეროვნული კერის“ ჩამოყალიბებას.**

პალესტინაში ებრაელთა ლეგალურად დასახლების უფლებაზე 1917 წლიდან დაიწყო მოლაპარაკება დიდი ბრიტანეთის მთავრობასა და სიონისტურ ფედერაციას შორის, რომელსაც ძალიან აქტიურად წარმოადგენდა ამ ფედერაციის პრეზიდენტი, შემდგომში ისრაელის პირველი პრეზიდენტი **ხაიმ ვაიცმანი.** იმავე 1917 წლის 2 ნოემბერს, დიდი ბრიტანეთის მთავრობის სახელით, საგარეო საქმეთა მინისტრმა, **ლორდმა ბალფურმა** სიონისტური ფედერაციისათვის გასაცნობი საბოლოოდ შეთანხმებული ტექსტი გაუგზავნა ცნობილი ბანკირების, **როტშილდების** ბრიტანული შტოს წარმომადგენელს **ლორდ როტშილდს.** წერილში ვკითხულობთ:

*„ძვირფასო ლორდო როტშილდ, ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, მისი უდიდებულესობის მთავრობის სახელით გადმოგცეთ ებრაელთა სიონისტური მისწრაფებისადმი თანაგრძნობის შემდეგი დეკლარაცია, რომელიც წარედგინა და დამტკიცდა კაბინეტის მიერ: **„მისი უდიდებულესობის მთავრობა კეთილგანწყობით უყურებს პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნებას და გამოიყენებს მთელ თავის ძალისხმევას, რათა გააადვილოს ამ მიზნის მიღწევა,** იმის ნათელი გაგებით, რომ არაფერი გაკეთდება ისეთი, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს პალესტინაში არსებული არაებრაული თემების სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს, ანდა იმ უფლებებსა და პოლიტიკურ სტატუსს, რომლითაც ებრაელები სარგებლობენ რომელიმე სხვა ქვეყანაში. მადლობელი დაგრჩებით, თუკი გააცნობთ ამ დეკლარაციას სიონისტურ ფედერაციას“.*

**— რატომ იყო ბრიტანეთი ასე მოწადინებული ებრაელთა სახელმწიფოს შექმნით?**

— დიდ ბრიტანეთს ამით სურდა, მიემხრო **ამერიკის ებრაელობა,** რათა მათ ზეწოლა მოეხდინათ **პრეზიდენტ ვილსონზე** და ამერიკა კაიზერული გერმანიის წინააღმდეგ პირველ მსოფლიო ომში ჩაებათ. გარდა ამისა, ბრიტანეთი ამ „დეკლარაციით“ რუსეთის ებრაელობის გულის მოგებასაც ცდილობდა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მალე **„ბალფურის დეკლარაციას“** მხარი დაუჭირეს საფრანგეთმა და თვით გერმანიამაც კი... **„ბალფურის დეკლარაცია“** ბრიტანეთის საერთაშორისო ვალდებულებად იქცა და დიდწილად განსაზღვრა ის ფაქტი, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პალესტინა სწორედ დიდი ბრიტანეთის მმართველობის მანდატის ქვეშ გადავიდა. მოკლედ, **იმავე ძალამ, რომელმაც თურქეთის იმპერიას არაბები აუმხედრა, პალესტინაში ჩადო საშინელი ნაღმი და ხელი შეუწყო ისრაელის სახელმწიფოს შექმნას, რასაც იგივე არაბები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ!**

**— რა ტერიტორიაა პალესტინა?**

— **ისტორიული პალესტინა მოიცავს მდინარე იორდანეს ორივე ნაპირს, გოლანის მაღლობებს, მთელ იორდანიას, მთელ ისრაელსა და ღაზას სექტორს.** რაც შეეხება **ლიბანს,** მისი ძირითადი ნაწილი არ არის პალესტინა და ისტორიული ფინიკიის ტერიტორიაა, რომელიც ისრაელის სამეფოს დროსაც ცალკე იყო. 1937 წელს დიდმა ბრიტანეთმა დასავლეთ პალესტინის ტერიტორიის ნაწილზე, რომელსაც მანდატით ფლობდა, წამოაყენა **ებრაელთა ავტონომიის** შექმნის წინადადება, მაგრამ, როგორც კი არაბების სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა, მათთან იდეალური ურთიერთობის გამო ეს თემა ერთხელ და სამუდამოდ დახურა. აი, სწორედ ამ სიტუაციაში ებრაული თემით დაინტერესდა **სტალინი,** რომელსაც ებრაელები დღემდე თავიანთ მფარველად მიიჩნევენ!

**— სტალინს ებრაელები თავიანთ მფარველად რატომ მიიჩნევენ?**

— **სტალინი იყო ერთადერთი კაცი, ვინც იარაღით ებრძოდა ფაშიზმს, რომელმაც 1942-1943 წლებში ებრაელ ერს გენოციდი მოუწყო და გაზის კამერებში გაგუდა.** აქედან გამომდინარე, სტალინი ნებისმიერი ებრაელისთვის არის მფარველი! არ დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ თვით რუსეთის იმპერიაში ჩატარებული უკანასკნელი აღწერით, იქ 5 მილიონი ებრაელი ცხოვრობდა. ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ნებისმიერი ბალტიისპირელი, ქართველი ან სომეხი... მოკლედ, სტალინმა საბჭოთა ებრაელებისგან **„ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტი“** შექმნა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მეორე ფრონტის გახსნის აგიტაციის მიზნით, რასაც ემატებოდა „ლენდ-ლიზით“ გათვალისწინებული დახმარების გაზრდის მოთხოვნაც, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი **სოლომონ მიხოელსი** და პოეტი **იციკ ფეფერი** გაგზავნა. **მიხოელსმა და ფეფერმა** ამერიკის ებრაელობაში დიდი აგიტაცია გასწიეს, რომ სტალინი ვილაც ბოგანო და სისხლისმსმელი კი არა, პროგრესულად მოაზროვნე ლიდერი იყო.

არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ჯერ კიდევ 1934 წლის 7 მაისს სტალინმა ხაბაროვსკისა და ამურის მხარეში, ჩინეთის ჩრდილოეთით, შექმნა **ებრაელთა ავტონომიური ოლქი,** რომლის ცენტრიც არის **ქალაქი ბირობიჯანი.** გვახსოვდეს, რომ **დავით ბენ-გურიონით** დაწყებული, **გოლდა მეიერით** დამთავრებული, ისრაელის სახელმწიფოს მესაძირკვლენი, ძირითადად, სულ უკრაინელი ან ბელორუსი ებრაელები იყვნენ, რომელთათვისაც რუსული მშობლიური ენა გახლდათ.

მოკლედ, 1943 წლიდან სტალინმა „ებრაული თემის“ კურირება **ლავრენტი ბერიაზე** უფრო მეტად მიანდო **„სმერშს“,** ანუ სამხედრო კონტრდაზვერვას, რომელსაც 1943-1946 წლებში **ვიქტორ აბაკუმოვი** ხელმძღვანელობდა. 1946 წლის 7 მაისს **აბაკუმოვი** გადაიყვანეს საბჭოთა კავშირის უშიშროების მინისტრად, რომელმაც ამ პოსტზე ლავრენტი ბერიას უახლოესი მეგობარი, დედით ქართველი და არისტოკრატიული წარმოშობის **ვსევოლოდ მერკულოვი** შეცვალა. აშკარა იყო, რომ სტალინი დიდი პოლიტიკური ნახტომისთვის ემზადებოდა!

**— დააკონკრეტეთ!**

— სტალინის წინაშე ასეთი მოცემულობა იყო — 1917 წლიდან დიდმა ბრიტანეთმა თავად გააქტიურა „ებრაული თემა“, როცა პალესტინაში მათი ავტონომია მოითხოვა, მაგრამ მერე ეს საკითხი განზე გასწია, რადგან არაბების სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. **ებრაელების გულისთვის კი არაბების მოშლა არ ღირდა, რადგან ნავთობით უმდიდრეს რეგიონებს სწორედ არაბები ფლობდნენ, რომლებთანაც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბრიტანელებს ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ.** განსაკუთრებით აღსანიშნავია, **პრეზიდენტ რუზველტის** ახლო მეგობრობა **პრინც საუდთან...**

მოკლედ, მთელი ანგლოსაქსური სამყარო — ამერიკა და ბრიტანელები არაბებთან იდეალურ ურთიერთობაში იყვნენ... სტალინის წინაშე რთული ამოცანა იდგა — **„მაინც რა არევდა ანგლოსაქსურ-არაბულ სიამტკბილობას და რა შეასრულებდა ამ სამყაროებს შორის ე.წ. „განხეთქილების ვაშლის“ ფუნქციას?“** ცხადია, ისრაელის სახელმწიფოს შექმნა, რასაც არაბები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ! მოკლედ, **სტალინმა ისარგებლა არსებული საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციით და იმ ფონზე, როცა ებრაელი ერი იყო ფაშისტების მიერ ჩაგრული, ჯვარცმული და წამებული, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი აიძულა, მხარი დაეჭირათ ისრაელის სახელმწიფოს შექმნისთვის!** აი, ასე გამოცხადდა 1948 წლის 14 მაისს ისრაელის დამოუკიდებლობა!

**— როგორც ამბობენ, ისრაელის სახელმწიფოს შექმნის სანაცვლოდ სტალინი ასევე გაურიგდა ამერიკაში მოღვაწე ებრაელ მეცნიერებს და მათ ატომური ბომბის შექმნაში დახმარება სთხოვა!**

— ატომურ ბომბზე **კურჩატოვი, ხარიტონი** და სხვა საბჭოთა მეცნიერები ისედაც მუშაობდნენ, მაგრამ აქ ბევრ რამეს წყვეტდა დრო. კერძოდ, როდის შეიქმნებოდა საბჭოთა ატომური ბომბი. კი ბატონო, შესაძლოა, მსგავსი გარიგება სტალინსა და ებრაელ მეცნიერებს შორის მართლაც არსებობდა, მაგრამ ეს საკითხი არ გამორიცხავს იმ ბრწყინვალე გეგმას, რომლითაც სტალინმა ანგლოსაქსური სამყაროს წინააღმდეგ იმოქმედა. ამერიკის შეერთებულ შტატებს იმდენად კარგად ჰქონდა არაბებთან სიტუაცია დალაგებული, ფიქრობდა, რომ ისრაელის სახელმწიფოს შექმნის მიუხედავად, არაბებთან ურთიერთობა მაინც არ გართულდებოდა... ამიტომ ამერიკელები შეეცადნენ, ისრაელის გადაბირებას და სტალინთან გამიჯვნის სანაცვლოდ ებრაელებს კოლოსალურ სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას დაჰპირდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ებრაელები ამერიკელებს მიემხრნენ... **ამის გამო სტალინმა ისრაელთან საერთოდ გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი, რასაც მოჰყვა იორდანიის მიერ აღმოსავლეთ იერუსალიმის სრული ოკუპირება, ხოლო სირიამ და ეგვიპტემ დაიკავეს გოლანის მაღლობები და ღაზას სექტორი.** პარალელურად, იორდანიასა და ყველა არაბულ ქვეყანაში, სადაც კი ებრაელები ცხოვრობდნენ, დაიწყო მათი დევნა და ჟუჟვა. სხვათაშორის, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც 1951 წლის ივნისში სტალინმა ვიქტორ აბაკუმოვი უშიშროების მინისტრობიდან გაათავისუფლა, ხოლო მისი ხალხი დაითხოვა და ბოლოს აბაკუმოვი საერთოდ დაიჭირა, სწორედ ის გახლდათ, რომ ისრაელი, რომელიც აბაკუმოვს საკურატოროდ ჩააბარეს, მინისტრს ხელიდან გაექცა და ამერიკელების მხარეს დადგა. **სტალინი აბაკუმოვს ბრალს სდებდა — ებრაელები ამერიკელებს რომ ჩააბარე, ე.ი. მოღალატე ხარო! ვიქტორ აბაკუმოვი ხრუშჩოვის დროს, 1954 წლის 19 დეკემბერს დახვრიტეს.**





**„დავით ბენ-გურიონით დაწყებული, გოლდა მეიერით დამთავრებული, ისრაელის სახელმწიფოს მესაძირკვლენი, ძირითადად, სულ უკრაინელი ან ბელორუსი ებრაელები იყვნენ, რომელთათვისაც რუსული მშობლიური ენა გახლდათ!“**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## რამდენ ცილისწამებას ატეხენ თავს ეგრეთ წოდებული ისტორიკოსები არამხოლოდ სტალინს, არამედ მის თანამოსაგრეებსაც, რომლებიც ბოლომდე ბელადის ერთგულები დარჩნენ. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ანდრეი ვიშინსკი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში – საგარეო საქმეთა მინისტრი, მანამდე კი გენპროკურორი იყო. ის, თურმე, მენშევიკიც ყოფილა, სასამართლო პროცესებზე სისხლიანი მამხილებელიც, პოლიტიკოსიც, რომელიც მუდმივად ძაბავდა საერთაშორისო ვითარებას და უმსგავსოდ, უხეშად გამოდიოდა გაეროს ტრიბუნიდან. ნუთუ ამ ადამიანს ერთი დადებითი თვისებაც არ ჰქონდა?



ძალზე მოკლედ **ანდრეი** (ანჯეი) **ვიშინსკის** ბიოგრაფია ასეთია. დაიბადა **1883 წელს,** ეროვნებით პოლონელი, ცნობილი კარდინალის **სტეფან ვიშინსკის** ნათესავი. დაამთავრა ბაქოს კლასიკური გიმნაზია. რევოლუციურ მოძრაობაში **1902 წლიდან** ჩაება, იყო მენშევიკი. დააპატიმრეს და ბაქოს ბაილოვის ციხეში ჩასვეს, სადაც პირველად შეხვდა ასევე ტუსაღ **იოსებ ჯუღაშვილს. 1920 წელს სტალინის** წინადადებით, რომელიც აფასებდა მის პროფესიულ და საქმიან თვისებებს, ბოლშევიკებს მიემხრო. **1925-1928 წლებში** მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორია. **1931 წლიდან** ჯერ რსფსრ, შემდეგ კი — სსრკ პროკურორი. **1934-1944 წლებში** სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელმძღვანელ თანამდებობებზეა, ხოლო **1949 წლიდან** სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრია, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აკადემიკოსი (1939 წ.), სტალინური პრემიის ლაურეატი (1947 წ., იურისპრუდენციაში მთელი რიგი ფუნდამენტური ნაშრომების ავტორი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ (მეორე დღესვე, 1953 წლის 6 მარტს) მინისტრის პოსტიდან გაათავისუფლეს და გაეროში მუდმივ წარმომადგენლად გადაიყვანეს. **1954 წლის 22 ნოემბერს** ნიუ-იორკში გულის შეტევით გარდაიცვალა.

ახლა კი ვცადოთ გარკვევა, ჰქონდა თუ არა ამ პოლიტიკოსს **„დადებითი თვისებები“.** ასეთ თვისებათა რიცხვს, ალბათ, უნდა მივაკუთვნოთ ის, რომ **ვიშინსკი** ყოველმხრივ განათლებული იყო. **1913 წელს** მან წარჩინებით დაამთავრა **კიევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თავისუფლად ფლობდა ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და პოლონურ ენებს.** ნათქვამს დავამატებთ, რომ ის გამოჩენილი თეორეტიკოსი იყო, მის წიგნს **„სასამართლო მტკიცებულებათა თეორიას“,** რომელსაც **სტალინის პრემია** მიენიჭა, მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს. ამასთან, **ვიშინსკი** დიდი ორგანიზატორული ნიჭის პატრონიც გახლდათ. მოკლედ, **ი. სტალინმა** ის ტყუილად როდი გამოარჩია და ასეთ სიმაღლეზე აიყვანა. რაც შეეხება მენშევიზმში **ვიშინსკის** დადანაშაულებას, ეს სასაცილოა. მენშევიკობა ბოროტმოქმედება არ არის. ГПУ-ს თავმჯდომარე **მენჟინსკი** მენშევიკი იყო, სკპ (ბ) ცკ-ის მდივანი **ანდრეევი** აქტიური ტროცკისტი გახლდათ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, **სტალინის** უახლოეს გარემოცვაში ყოფილიყვნენ. კიდევ უფრო სასაცილოა **ვიშინსკისთვის** გაეროს ტრიბუნაზე უმსგავსო საქციელის დაბრალება. ეს საყვედური უფრო **ხრუშჩოვს** ეკუთვნის, რომელიც ამ ტრიბუნაზე ფეხსაცმელს აბრახუნებდა.

და კიდევ. მავანს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ **ვიშინსკი** ლიბერალური შეხედულებების ადამიანი იყო. პროკურორის პოსტზე მისვლისთანავე მან ლენინგრადიდან ე. წ. **„სოციალურად უცხო ელემენტების“** გასახლების გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა. **სტალინმა** მას მხარი დაუჭირა. შედეგად თითქმის **12 ათას ადამიანს გადასახლებიდან მშობლიურ ქალაქში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცა. 1936 წელს ვიშინსკიმ** მიაღწია **1932 წლის 7 აგვისტოს** მიღებული კანონის შესაბამისად გამოტანილი სასამართლო განაჩენების გადახედვას და გაუქმებას, რომელიც სოცსაკუთრების წვრილი დატაცებისათვის სჯიდა. ამით თითქმის **1 მილიონი ადამიანი** (უპირატესად გლეხები) **სრულ რეაბილიტაციას დაექვემდებარა. 1937 წელს პროკურორმა ვიშინსკიმ** მიაღწია **„მრეწველთა პარტიის საქმის“** გადახედვას, რის შედეგად ათობით ინჟინერი და ტექნიკოსი არამხოლოდ გაათავისუფლეს, არამედ ყველა ჯილდო და წოდება დაუბრუნეს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი **სტალინის** ნებართვით და მხარდაჭერით კეთდებოდა.

**ასეთია „სისხლიანი პროკურორის“ ჭეშმარიტი სახე.**

## მართლა არის თუ არა აღნიშნული ა. მიქოიანის მემუარებში, რომ 1952 წელს, პარტიის ყრილობის მუშაობაში შესვენების დროს, სტალინმა თანამოსაგრეებს უთხრა: „კომუნიზმს ვაშენებდით, მაგრამ ყაზარმა ავაშენეთ?“




ამ შეკითხვის მიღების შემდეგ ყურადღებით გადავათვალიერე **ა. მიქოიანის** მოგონებათა ორივე წიგნი („აზრები და მოგონებები“ და „ბრძოლის გზით“), მაგრამ მსგავსი ვერაფერი აღმოვაჩინე. ამავე დროს დევი სტურუას ნაშრომში **„სტალინი. ხრუშჩოვი. ბრეჟნევი“** ყურადღებას იპყრობს შემდეგი აბზაცი: **„სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში სტალინი ხშირად გესლიანად და ღვარძლით იმეორებდა: „ვერაფერს იტყვი, კარგად შევასრულეთ ლენინის ანდერძი. სოციალიზმს ვაშენებდით და ყაზარმა კი ავაშენეთ“.** იმავე ფრაზას ცოტა განსხვავებული რედაქციით იმეორებენ თავიანთ მოგონებებში **კაგანოვიჩი, მოლოტოვი** და **სტალინთან** დაახლოებული სხვა ადამიანები. ეს გამონათქვამი მართლაც **მე-19 ყრილობის** პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ, მაგრამ წარმოითქვა თუ არა ის სხდომათა შორის შესვენებისას, ძნელი სათქმელია. როგორც ჩანს, **სტალინი** მართლაც შეშფოთებული იყო ქვეყანაში შექმნილი ვითარებით. თავის უკანასკნელ ნაშრომში **„სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრკ-ში“** ის ბევრი პრობლემის გადაჭრას ცდილობდა. სხვა შრომებსა და გამოსვლებში კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა **„არაკჩეევულ რეჟიმს“** მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში, აყენებდა ლოზუნგს **„გოგოლები და შჩედრინები გვჭირდება“,** ანუ ფართოდ უხსნიდა გზას კრიტიკასა და თვითკრიტიკას. მაგრამ **„ყაზარმის“** დემოკრატიზაციის გეგმების განხორციელება **სტალინმა** ვეღარ მოასწრო. უფრო სწორად, მას ამის გაკეთებაში ხელი შეუშალეს.

## ზოგიერთ ნაშრომში სტალინისა და ტროცკის პოლიტიკას შორის ტოლობის ნიშანია დასმული. ამტკიცებენ, რომ ერთიც და მეორეც ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის მომხრე იყო. საერთაშორისო თვალსაზრისით ტროცკი „პერმანენტულ რევოლუციას“, ანუ მის ექსპორტს უჭერდა მხარს, სტალინი კი იმავე ხაზს ატარებდა და გულუხვად აფინანსებდა საზღვარგარეთის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს. გამოდის, რომ სტალინი და ტროცკი თანამოაზრეები იყვნენ?







არანაირად. **ტროცკი** ე. წ. სუპერინდუსტრიალიზაციის კონცეფციას იცავდა, რომელსაც მთელი ქვეყანა ერთ სამხედრო-სამრეწველო ბანაკად უნდა ექცია. მისი იდეის თანახმად, უნდა შექმნილიყო **„შრომითი არმიები“** და შემოეღოთ სამხედროს მსგავსი შრომითი ვალდებულება. სადამდე მიიყვანდა ეს ყველაფერი ქვეყანას, ადვილი წარმოსადგენია. **სტალინი** ამ პრობლემას სხვაგვარად უდგებოდა და ბრწყინვალედაც გადაჭრა. კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით **ტროცკი** არამხოლოდ კულაკების, არამედ საშუალო გლეხთა განკულაკების იდეას ემხრობოდა, გლეხებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფას სახიფათოდ თვლიდა და, საბოლოო ჯამში, საქმე აქაც გლეხთა **„შრომითი არმიების“** შექმნისკენ მიჰყავდა. როგორ გადაწყვიტა ეს პრობლემა **სტალინმა,** ყველამ იცის.




ახლა რევოლუციის ექსპორტზე ვისაუბროთ. მსგავსი **ტროცკისტული** პრაქტიკა მართლაც ხორციელდებოდა — რევოლუციის ექსპორტის მცდელობა **1918, 1920, 1921, 1922, 1923 წლებში გერმანიაში** მოხდა, **1923 წელს — პოლონეთში** და იმავე წელს **ბულგარეთში.** და აი, **ტროცკის** ჩამოცილების და **სტალინის** მიერ მთელი ძალაუფლების მიღების შემდეგ ასეთი მცდელობები შეწყდა. რევოლუციონერთა მხარდაჭერა **სტალინის** დროს **МОПР**-ის (რევოლუციონერთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია) საშუალებით გაგრძელდა, მაგრამ ეს იყო ფაშისტური და დიქტატორული რეჟიმებისაგან თავისი რწმენისათვის დატანჯულთა აშკარა, პატიოსანი მხარდაჭერა. პარტიებისა და მოძრაობების დაფინანსებას კი **სტალინის** დროს ადგილი არ ჰქონია.

პარტიების დაფინანსების მძლავრი ნაკადი **ხრუშჩოვის** დროს წამოვიდა. **ლუმუმბა** — სოციალისტი, **ბენ ბელა** — სოციალისტი, **ნასერი** — ნახევრად ფაშისტი, მაგრამ საბჭოთა კავშირის გმირი და ა. შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ტროცკისტული კურსი ხრუშჩოვმა აიტაცა და გააგრძელა.** სხვათაშორის, ეს საშინაო პოლიტიკასაც შეეხო, გლეხებს საკარმიდამო ნაკვეთების ჩამორთმევა დაუწყეს. ტყუილად კი არ იყო **ნიკიტა სერგის ძე 20-იან წლებში მართლმორწმუნე ტროცკისტი.**

გენერალისიმუსი
2023 წლის 23 ოქტომბერი, №60 (228)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# მოგელანდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



## „კაკაშა“ და შავნოდარას მურიანები






შავნოდარას საგამოძიებო გუნდმა, სადაც სუ ბნელი დედაკაცები არიან შეკრებილნი, ახალი სკანდალი გააძრო — **ხალხნო და ჯამაათნო-ვო, დედოფლისწყაროელმა ზურაბ გონაშვილმა** („კაკაშამ“) **თავისივე რაიონელ გიორგი ბექაურს** („მურიას“) **რეზინის ხელკეტით სცემაო.**

რათა სცემაო?

რათა და... როგორც **„მურია“** იძახის, როცა **„კაკაშას“** უჭირდა, ფული ვასესხე, ეხლა მე მიჭირს და არ მიბრუნებს, მოვთხოვე და მცემაო.

შავნოდარას დედაკაცი თანხას არ ასახელებს, რამე სერიოზული რო იყოს, დაასახელებდა კი არა, ქოშებს უკუღმა ჰყრიდა!

☺

**ზურაბ გონაშვილი ამტკიცებს** — არ მიცემია, თითიც არ დამიკარებიაო.

**გიორგი ბექაური ამტკიცებს** — მცემა, მა რა იყო-ვო?

**შავნოდარას ბნელი ქალი იფიცება** — სცემა, თითიც დაუკარებია და რეზინის ხელკეტიც მოუქნევნიაო.

**დედოფლისწყაროელები იცინიან** — არ არსებობს, **„კაკაშას“** ისე არასდროს გასჭირვებია, **„მურიანისგან“** ფული ესესხნაო... მაგის გაჭირვება მარტო ის იყო, „ნაცებმა“ ციხეში რომ გამოამწყვდიეს და ნერვიულობაზე დედა მოუკვდაო.

ჰო... დედოფლისწყაროელები იმასაც იძახიან — **„მურია“ იგეთი უვარგისია, ყოველ დილასაღამოს არი საცემიო!**

რათა, რას აშავებს-მეთქი?

**რას აშავებს და სუ შარზეა, სუ იღრინება, ჩვენი ღრმა რწმენით, სახლიდან ცოლშვილიც კი გეექცაო.**

☺

ერთი რა მაგის პასუხია და... **ეს შავნოდარას ბნელი ქალი კვირაში 5 დღე დედოფლისწყაროში რო დაბოდიალობს, არ შეიძლება, ჭუტაანებმა ბინა მაინც უქირავონ?** ჩადი, ჩამოდი, ჩადი, ჩამოდი, ჩადი, ჩამოდი — როგორრია?

ჩავა ეს **„რაზვალგასასწორებელი“ ქალი** დედოფლისწყაროში, მიადგება ბაზარს, გამოჩნდება „კაკაშა“ და ეგრევე დააყრიან კითხვებს, — **ეგ მანქანა როგორ იყიდე, ფული საიდანო?** თან ყოველი წინადადების ბოლოს ხაზს უსვამენ — **აგი პრემიერ-მინისტრის ბიძაა, ნაღდად ირაკლი ღარიბაშვილი მისცემდა და ბექაურის ცემაც მაგან დაუკვეთა ბერას სტილშიო.**

☺

ამჟამად დედოფლისწყაროში ბევრი კარგი რაღაცა კეთდება — გზები, ღობეები... არ დაიჯერებთ, ყველა მინჯღრეულ ღობეს შლიან და ახალს აკეთებენ, სუ ერთნაირსა და მოხდენილს. მოსახლეობა არაფერს იხდის, ეს პატარა ქალაქი ისეთი კოპწია გახდა, ნორმალურ ადამიანს აუცილებლად უნდა მოეწონოს.

სხვათაშორის, **ამავე სიუჟეტში ერთი გამხდარი, კაკლის საბერტყივით კაცი გამაიყვანეს და პრემიერის ოჯახზე აუგი ათქმევინეს.** ვიცანი, გურგენას ბიჭია სოფელ ჯუგაანიდან... თავისი სახლ-კარი მიატოვა, აბალახა, აანარეკლა, დედოფლისწყაროში ჩასიძევდა, ბაზრის კარებთან თოხისა და ბარის ტარებსა ჰყიდის, მაგისი ხმის გამცემი არავინ არი, პურის ფულსა შოულობს, მაგრამ, როგორც ჩანს, მამამისი გურგენა არ ასვენებს საიქიოდან, გადმოუგდია ენა და ყბედობს — აქ ხალხსა სჩაგრავენო.

ავოიეეეეეეე!

ვისა სჩაგრავენ, გურგენიჩ, შე საკუთარი სახლ-კარის ამაოხრებელო?!

☺

არა, ნუ... წავლენ, წამოვლენ, მიადგებიან ამ „კაკაშას“, ლამის კაცი ტელევარსკვლავად აქციეს, ისიც შეუტევს ხოლმე — **წადით, თქვენიო!**

სხვა რაღა უნდა თქვას? სხვა რაღა უნდა მოიმოქმედოს? როგორც კი გარეთ ცხვირს გამოჰყოფს, ეგრევე **მიკროფონიანი ქალი** აეტუზება ხოლმე. ნოდარას მიერ მივლინებული ბნელი ქალი სხვას ვერაფერს ხედავს, ვერაფერს ამჩნევს. არ გეგონოთ, ვინმეს ვამართლებდე, უბრალოდ, იქაური ვარ და რაც ხდება, საკუთარი თვალით ვხედავ!

☺

ეგ არი!

„მურიაზე“ კიდე მართლა იძახიან — **ეგ იგეთი გოთვერანია, სახეზე აწერია — „მოდით და მირტყითო“.**

**ისე, ადამიანი რო შავნოდარასთან იჩივლებს, საცემია, მა რა ჩემი ფეხებია?**

ჰო, მეორე სურათზე როა, ეგ არი, ეგა!

## იდენტიფიკაცია



არა, ხომ კარგად ხედავთ, რანაირი **დაუნდობელი სახე,** გამომეტყველება და მზერა აქვს?

ხომ დარწმუნებული ხართ, რასაც ბრალად სდებენ, ჩაიდენდა და მეტსაც იკადრებდა?

მე პირადად 40 წელიწადია, პროფესიის წყალობით, ადამიანებს ვაკვირდები და ამ მხრივ არაფერი გამომეპარება — **ეს არის ყველაფრის მკადრებლის სახე. თუმცა, მარტო მე კი არა, ამას თქვენც გრძნობთ, თვით ყველაფრის მკადრებელი „ნაცებიც“ გრძნობენ და ვერც ექომაგებიან.**

☺

ჰოდა, ამით იმის თქმა მინდა, რომ... **ვინც დღეს ცდილობს, ქვეყანა არიოს, ვინც ჩამპალ ოპოზიციას მოუწოდებს, ქუჩაში გამოვიდეს, ვინც ევროპა-ამერიკებში დაბოდიალობს და მავნებლობს, სწორედ იმას ხედავთ ამ სურათზე.**

დიახ, **მეგისა ქარდავა** არის სახე ყველა მოღალატისა და სულწაწყმედილისა!

☺

ჰო, სარკეში ჩაიხედეთ, **მეგისიანებო,** და ეგრევე იცნობთ თქვენს ბითურ გოგრას.



## არმაზის ბილინგვა, ანუ დაყუდებული ხანძთელი და მიყუდებული სალომე

სანამ **არმაზ ახვლედიანი** ილლიაში „პაპკას“ ამოიჩრიდა და პარლამენტში **სალომე ბაბოს** მხარდასაჭერად წავიდოდა, **გრიგოლ ხანძთელის** ცხოვრების ერთი მცირე მონაკვეთი წაიკითხა, მეტი ვერ მოასწრო და... როგორც თვითონ ამბობს, ეს მონაკვეთიც კი საკმარისი აღმოჩნდა, სამშობლოს უბედობაზე ჩაფიქრებულიყო. ეგ კი არა, თვალთაგან მლაშე ცრემლებიც გადმოეყარა.

☺

მეგობრებო, მე ის კი არ გამიკვირდა, **არმაზ ახვლედიანმა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის** მცირე მონაკვეთი მოწიფულობის ასაკში რომ წაიკითხა (შეეძლო, საერთოდ არც წაეკითხა, ისედაც ბევრი იცის), **მე ის უფრო მაინტერესებს, რა საერთო ნახა მან სალომე ბაბოსა და გრიგოლ ხანძთელს შორის?** რა, **მადამ პლეზიდანი** კლარჯეთში მოღვაწეობდა, რომელიმე ტაძარი ააშენა, აშოტ კურაპალატის დაქალი იყო თუ საბაწმინდის ტიპიკონი გადაწერა?

არა, შეიძლება **სალომე ბაბომაც ხანძთელივით** 102 წელიწადი იცოცხლოს, მის გადატკეცილ ლოყებს რომ ვუყურებ, ალბათ, ეგრეც იქნება, მაგრამ ეგ არ არის საკმარისი, მის დანახვაზე, **ხანძთელი** გაგახსენდეს.

☺

**აი, ვცდილობ, როგორმე ვიპოვო ერთი მსგავსება მაინც სალომე ბაბოსა და ხანძთელს შორის, თითქოს ვიპოვე კიდევაც, მაგრამ არ ვიცი, რამდენად დამაჯერებელია...** ვინაიდან, **ხანძთელი** განმარტოებით ცხოვრობდა, მას „დაყუდებულს“ ეძახდნენ, ასე რომ, ამიერიდან ჩვენც შეგვიძლია, **მადამ პლეზიდანს** „აუდებული“, ან „მიუდებული“ ვუწოდოთ!

## კახა და მიკროფონიანი ჭუჭულა

ჭუტლექსამ ეგრევე კორესპონდენტი გამოყო — სასწრაფოდ **კალაძეს** მიადექ და გაარკვიე, მართლა უპირებს თუ არა ზელენსკი დასანქცირებასო.

ესეც, ეს **მიკროფონიანი ჭუჭულა** მიადგა იმ იმედით, რომ თბილისის მერი დახვდებოდა მომტირალი წყლისა პირსა, თუმცა, პირზე კატა ეცა, როცა მომტირალი კი არა, მომცინარი იხილა.

☺

**ჭუჭულა კორესპონდენტისა და კახა კალაძის დიალოგი:**

**— ბატონო კახა, ნაციონალურ მოძრაობაში ამბობენ, რომ უკრაინა სავარაუდოდ აპირებს თქვენ დასანქცირებას. ეს ჩემი აზრი არ არის...**

— ნუ მანერვიულებთ ხოლმე, რააა, ძალიან გთხოვთ... იმდენი მაქვს სანერვიულო...

**— თქვენი ნერვიულობა ჩემი მიზანი არ არის, ბატონო კახა.**

— ვიცი, რომ თქვენ ჩემზე ძალიან განიცდით და ძალიან ნერვიულობთ, მინდა, დაგამშვიდოთ, არ ინერვიულოთ, მე თავად არ ვნერვიულობ სანქციებთან დაკავშირებით. ვიცი, ისედაც ბევრია ქვეყანაში სანერვიულო, შეიძლება თქვენც გაქვთ სანერვიულო, ამიტომ გთხოვთ, ჩემზე არ იფიქროთ, საკუთარ თავს როგორმე მივხედავ.




**— ბატონო კახა, ნაციონალურ მოძრაობაში ამბობენ, რომ უკრაინა აპირებს, დაასანქციროს კახა კალაძე და ის იქნება ერთ-ერთი პირველი... ბატონო კახა, ამბობენ, რომ თქვენ გაქვთ რუსეთთან კავშირები და უკრაინაში გაქვთ ქონებები. არ არის გამორიცხული, თქვენ იყოთ პირველი, ვისაც „ქართულ ოცნებაში“ დაასანქცირებენ. ეს განცხადება ლევან ხაბეიშვილმა გააკეთა.**

— არ ინერვიულოთ-მეთქი, ხომ გთხოვეთ? ღმერთმა მაგაზე მეტი სანერვიულო არ მომცეს არც მე, არც ჩემს ოჯახს, მეტი რა პასუხი გინდათ?

**— ელოდებით თუ არა დასანქცირებას?**

— საერთოდ არ მაინტერესებს-მეთქი, კაცო... არის სხვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტები ქვეყანაში, როგორი იქნება ხვალინდელი დღე... ხედავთ, რა ხდება მსოფლიოში?

**— ძალიან კარგად.**

— ნახეთ, ამხელა უბედურება ხდება ყველგან... ამიტომ ჩვენი მთავარი საზრუნავი არის ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება, **კახა კალაძეს** დაასანქცირებენ თუ არა, მაგაზე საერთოდ არ ვფიქრობ და არც მაინტერესებს, თქვენც ნუ ინერვიულებთ მაგაზე.

☺

**ჭუჭულა კორესპონდენტი** ისევ შეეცადა, იგივე შეკითხვა არაერთხელ გაემეორებინა, მაგრამ აღარ დააცადეს. სხვა შეკითხვა ვერ მოიფიქრა, რაც ჭუტლექსამ და შავმა ნოდარამ ჩაუდეს თავში. **თან, როგორც ჩანს, ტვინში გადახვევის ფუნქცია აქვს ჩამონტაჟებული: მორჩება — გადაახვევს, მორჩება — გადაახვევს, მორჩება — გადაახვევს, გეგონება, ავტოსადგურზე 80-იან წლებში ნაყიდი კასეტა იყოს...**

☺

ისე, ჩემზე რომ იყოს, ამ მონაკვეთს **ქართული ჟურნალისტიკის სახელმძღვანელოში შევიტანდი და სტუდენტებს ვასწავლიდი, როგორი არ უნდა იყოს ჟურნალისტი. კურკუმალას მიერ გავრცელებულ ჭორზე რომ ასეთ სკანდალს ააგორებ, თითით უნდა იყო საჩვენებელი, აბა, როგორ?!**

☺

ისე, მართალიც რომ იყოს, სულ არ ჰკიდია **კალაძეს** უკრაინული სანქცია? თუ ზელენსკი ამას გააკეთებს, ისევ თვითონ გაიბანძებს ისედაც გაბანძებულ თავს. **აბა, ბიჭო, თუ დაასანქცირეს, კალაძეს რაღა ეშველება? ერთი ეგ არი, გივია თარგამაძესავით „უგოლნიკებს“ ველარ შემოიტანს და კობა ხაბაზივით კიდე „ანალგინს“.**

*დღეს იმ მამებზე უნდა მოგითხროთ, რომლებმაც თამამად იცხოვრეს, საიდანაც სვამდნენ, იმავე ჭაში ჩააფურთხეს და შემდეგ ესტაფეტა შვილებს გადააბარეს. ჩვენს სინამდვილეში ასეთები ბევრნი არიან, მაგრამ ამჟამად განსაკუთრებით აქტიურობენ ნაცვლიშვილები და ხოშტარიები.*

# ჰოი, მამანო!







ქუთაისის ყოფილი მერისა და შემდგომში ქუთაისის ავტოქარხნის დირექტორის ამირან ნაცვლიშვილის „ბედკრული“ ისტორია დღეს აღარავის გაახსენდებოდა, რომ არა მისი ქალიშვილის **ანა ნაცვლიშვილის** ამაზრზენი აქტიურობა საქართველოს პარლამენტში. ალბათ, ჩემსავით თქვენც ხშირად დაფიქრებულხართ, რატომ უნდა გაბოროტდე ყმაწვილი ქალი ისე, რომ ჯერ საკუთარი მამის მწამებელთა მხარეს გადახვიდე, მერე კი იმ ხელისუფლებას უტრიალო ცხვირწინ კოტიტა თითები, რომელმაც ქვეყანაში წამება, ყაჩაღობა, გაუპატიურება და სააკაშვილის მიერ ჩანერგილი ათასი სისაძაგლე მოსპო? **ანა ნაცვლიშვილი** მუდმივად იყენებს საპარლამენტო ტრიბუნას იმისათვის, რათა შეურაცხყოს უმრავლესობის წევრები, „ქართული ოცნების“ პარტიული ხელმძღვანელები, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. იგი მუდმივად აპელირებს ქართველი ხალხის სახელით.

**უკაცრავად და რა გაუკეთებია ანა ნაცვლიშვილს გარდა იმისა, რომ ამ დღეებში სათვალე გაუკეთებია?**

არადა, ისეთი გონორი აქვს, გეგონება, მასთან სამარადჟამო ვალში ვართ. მთავრობა და მისი მეთაური კორუმპირებულია, თანაც რუსული, თანაც მოღალატე და პუტინის მონაო... წარმოგიდგენიათ? **თავის დროზე რუსეთის მიერ შეფარებული და დაპურებული ოჯახის შვილი სხვებს ამუნათებს, პუტინის მონები ხართ და რუსულ საქმეს აკეთებთო.** თავად კორუმპირებული მამის შვილი ირაკლი ღარიბაშვილზე იძახის, კორუმპირებულიაო; სასამართლოს მიერ **ოფიციალურად აღიარებული თაღლითების პარტიაში** „მოღვაწე“ უტიფრად აცხადებს — ხელისუფლებაში სულ თაღლითები და მკვლელები არიან, შოვის ტრაგედია მაგათ კისერზეაო... იქნებ ვინმეს დაავიწყდა, რას აკეთებდა **მამუკა ხაზარაძე** თავისი ბანკის საშუალებით სააკაშვილის ზეობის ხანაში? როგორ დაატარებდნენ ღამის 3 საათზე ადამიანებს ნოტარიუსებთან და ავტომატების ქვეშ როგორ აფორმებინებდნენ ქონებას? ან როგორ დასდევდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის მდივანი მამუკა ხაზარაძე მერაბ კოსტავას სკამის გადაჭრილი ფეხით? **კი მაგრამ, უზნეოთა პარტიაში ჩაბუდებულ დედაკაცს რა აქვს სხვაზე სალაპარაკო?!**

უკაცრავად, კალამი გამექცა, არადა, აქამომდე **ამირან ნაცვლიშვილის** „თავგადასავალი“ უნდა გამეცნო თქვენთვის: როგორც ავი ენები ამბობენ, მან ქუთაისის ისტორიულ ავტოქარხანას ასეთივე ისტორიული ანდერძი აუგო — სულ ნაწილ-ნაწილ დაშალა და თურქეთში გააჯართა. მართალია, თავის დროზე „ასავალ-დასავალისთვის“ გამოგზავნილ წერილში ამტკიცებს, ტყუილად მადანაშაულებთ, რა ჯართი, რი ატმი კურკა, უპატიოსნესი ადამიანი გახლავართ, თანაც ციდან ჩამოფრენილიო, მაგრამ ფაქტია, ქუთაისის ავტომშენებელი ქარხანა ბუნებაში აღარ არსებობს! მართლაც სად წავიდა ძვირადღირებული დაზგა-დანადგარები და ტექნიკა? თავისით გაქრა? თუ ვინმემ შეჭამა, თქვას, ვინ, როგორ და რანაირად!

2002 წლის დეკემბერში ბიზნესმენი **ამირან ნაცვლიშვილი** ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს და ოთხი დღის თავზე გაათავისუფლეს. **ყურადღება მიაქციეთ — იმ პერიოდის ყველა გამოცემა წერდა, რომ გაიტაცეს ბიზნესმენი და არა ჩინოვნიკი.** თუ მას ავტოქარხანა ჯართში არ ჩაუბარებია, რანაირად გარდაიქმნა ბიზნესმენად? მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია — ბოროტმოქმედებს შეეშალათ, სხვა ამირანის ნაცვლად ეს ამირანი გაუტაცებიათ და, როგორც კი მიმხვდარან, რომ შეშლიათ, ეგრევე გაუთავისუფლებიათ.

**გჯერათ?**

მე ამ შემთხვევაში ვუშვებ მხოლოდ ერთ ვერსიას: **ბოროტმოქმედებს კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანის გატაცება უნდოდათ და ქუთაისის ავტოქარხანაზე მიჯაჭვული ამირანი გაიტაცეს!** თუმცა, გამტაცებლებმა მომენტი მაინც არ გაუშვეს ხელიდან და ამ ამირანს ფული მაინც გადაახდევინეს (ეს ჩემი აზრია), სხვანაირად ოთხ დღეში არ გამოუშვებდნენ და, რასაკვირველია, ვერც გატაცებული იტყოდა, ფული გადავიხადეო. მაშინ კანონი სხვანაირად დასჯიდა.

**ამირან „წამებულის“** თავგადასავალი ამით არ მთავრდება... როგორც კი მიშა სააკაშვილი და მისი ხროვა მოვიდა ხელისუფლებაში, ეგრევე სტაცეს ხელი ბატონ ნაცვლიშვილს და „ვირის აბანოში“ შეაგდეს. მაპატიეთ, აქ ლირიკულად კიდევ ერთხელ უნდა გადავუხვიო:

**დავიჯერო, დეპუტატ ანა ნაცვლიშვილს მამა არ უყვება, როგორი იყო მიხეილ სააკაშვილის „ვირის აბანო“? როგორ შეიძლება, უყვებოდეს, ეს კი მხარს ისევ მწამებლებს უჭერდეს?**

ჩემი აზრით, შეიძლება, **ყმაწვილქალმა ანამ** ისიც თქვას — მე ნაცი არ გახლავართ, „ლელოში“ მხოლოდ პატრიოტულ ვალდებულებას ვიხდიო, მაგრამ მაგას ვინა ჭამს?

მას შემდეგ, რაც **ნაცვლიშვილს** ტელეკამერების წინ ბრალდებად დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვა წარუდგინეს და ციხეში მკვლელების გვერდით ჩასვეს, ეგრევე გაუფორმეს საპროცესო, მიატანინეს ათასები თუ მილიონები და გაათავისუფლეს. თუმცა, ამ ქვეყანაში ვეღარ გაჩერდა თუ არ გააჩერეს, ეგ დაზუსტებით აღარ ვიცით, ყოველ შემთხვევაში, ოჯახთან ერთად თავი „დედა რუსეთს“ შეაფარა. კი მაგრამ, როცა შენ თვითონ რუსეთმა შეგიფარა და ხელსაყრელ დროს ისევ სამშობლოში დაგაბრუნა, რა ნამუსით აგინებ შენსავე გადამრჩენელს? უმადურობა ხომ უდიდესი ცოდვაა? თუ შენ მიერ გამოზრდილ შვილს სჭირდება პოლიტიკურად, რომ სხვას დასწამოს რუსეთუმეობა და პუტინის მონობა?

ახლა კი იმის შესახებ, რატომ შეიძლება იყოს **ნაცვლიშვილების ოჯახი** გაბრაზებული ამ ხელისუფლებაზე: 2005 წელს **ამირან ნაცვლიშვილმა** და მისმა მეუღლემ **რუსუდან ტოგონიძემ** რუსი ადვოკატების დახმარებით საქართველოს წინააღმდეგ სარჩელი შეადგინეს და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართეს. გავიდა წლები — არცა ხმა, არცა ძახილი... 2014 წელს კი, როცა ხელისუფლებაში უკვე „ქართული ოცნება“ დამკვიდრდა, სტრასბურგის სასამართლომ მათი საქმე განიხილა და არ დაიჯერებთ, პროცესი წააგეს. წაგებაც არის და წაგებაც, **სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ამირან ნაცვლიშვილის მიმართ არც კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და არც მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი დარღვეულა, არც მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, არც პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი და არც კონვენციის 34-ე მუხლი.** ფაქტობრივად სტრასბურგის სასამართლომ **ამირან ნაცვლიშვილსა და მის ოჯახს** პირდაპირ უთხრა — ტყუიხართ, თქვენ წინააღმდეგ არაფერი დარღვეულა, რაც იყო, სწორად იყო, ცოტა მეტის ღირსებიც კი იყავითო!

მაშ, რატომ უნდა გაბრაზებულიყვნენ ნაცვლიშვილები? იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ინტერესებს, ეს ხელისუფლება იცავდა და, ფაქტობრივად, „ქართულმა ოცნებამ“ მოუგო პროცესი. **როგორც ჩანს, ეს ფაქტი საკმარისი აღმოჩნდა ყმაწვილქალ ანასათვის, რათა საბოლოოდ გაბოროტებულიყო და ქვების სროლა დაეწყო.** თუმცა, არ გამოვრიცხავთ სხვა მიზეზებსაც — აქ უნდა აღინიშნოს, რომ იგი იყო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი, შემდეგ — გიორგი მარგველაშვილის საპარლამენტო მდივანი, საკონსტიტუციო კომისიის წევრი და ახლა კი გახლავთ დეპუტატი „ლელოდან“, რომელიც ზემოდან იმზირება და ერთობ აკანკალებული ხმით ჭკუას არიგებს ყველას, **მამუკა ხაზარაძის გარდა!** რაც შეეხება ანას განათლებას, მას მოვლილი აქვს დასავლეთისა და აღმოსავლეთ „ევროპების“ თითქმის ყველა სასწავლებელი თუ საექსპერტო დაწესებულება. მართალია, ყველა სასწავლებელი რომ დაესრულებინა, ერთი სიცოცხლე არ ეყოფოდა, მაგრამ ბიოგრაფიაში ხომ უწერია? მთავარი ეს არი! ბოლოს კი, როგორც ჩანს, იმნაირი „რაზგონი“ ჰქონდა აღებული, 2007-2008 წლებში სტაჟირება გაიარა **სამხრეთ აფრიკაში,** კვაზულუ-ნატალის უნივერსიტეტის სამართლის კლინიკაში. დიახ, **სამართლის კლინიკაში** და... აშკარად ეტყობა კიდევაც, რომ სწორედ მაგ დროს **გააფრაკძა და შემდეგ გააფრიკინა,** თორემ რასაც ეგ კადრულობს ბნედადაცემული ტონით, ნორმალური ადამიანი არ და ვერ იკადრებს!

## 1 აქა ამბავი ზნედაცემული ნაცვლიშვილებისა

## კვირგვინოსნები

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



რამდენიმე დღის წინათ თქვენ **ზარზეიმით გახსენით ცოცხალი ადამიანის მემორიალური ოთახი,** დააწყვეთ მისი ნივთები და ჰოი, საოცრებავ, **ნახმარი ბოტასებიც მიაბრძანეთ იქ და დააბრძანეთ.** სააკაშვილის ნახმარი ბოტასის გარდა, სხვა შეთავაზება არ გაქვთ საზოგადოებისთვის?

„რეზონანსი“

**სანდრო რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



**ჯაფარიძე-ხოშტარიას** ინიციატივა შეიძლება, ახსნა იმით, რომ **მოსყიდულები არიან, უნდათ ოპოზიცია დააზიანონ,** ან სრულიად სულელები არიან, ან ვერ ხვდებიან, რას აკეთებენ.

ოპოზიცია, რომელიც **შურისძიებით აპირებს არჩევნებზე გასვლას,** წააგებს არჩევნებს.

„პირველი არხი“

**დავით ქიქინაძე**
*„ტრიბუნის“ თავმჯდომარე*



საქართველოს **პარლამენტი ქარვასლად არის გადაქცეული.** საერთოდ, **ქართული პოლიტიკა ერთი დიდი იყიდე-გაყიდეა.** რაც შეეხება ჩვენს კონსტიტუციას, ზუსტად ისე იკითხება, როგორი ავტორიც ჰყავს. **საიდანაც უნდათ, იქიდან მიაბამენ ყურს.**

„ახალი თაობა“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



პოლონეთის საპარლამენტო არჩევნებში **31.6 პროცენტი მიიღო პარტიამ,** რომლის ლიდერი სამი წლის წინ გამოდიოდა ინიციატივით, **შექმნილიყო ცალკე ტაძრები, რომელთა „მრევლი“ მხოლოდ ლგბტ თემის წარმომადგენლები იქნებოდნენ.**

„იმედინიუსი“

# მარად მქაფვანო!



## მამა – გოგი ხოშტარია



## შვილი – ელენე ხოშტარია

• **გოგი ხოშტარიას** განსაკუთრებული წარდგინება არ სჭირდება — **ზვიად გამსახურდიას მთავრობაში იყო საგარეო საქმეთა მინისტრი და ახლა საიქიოდან იღებს სოლიკო ვირსალაძის ჰონორარს, ოღონდ რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან.** პრინციპში, რაღა დროს სოლიკო და მისი ჰონორარია, მაგრამ, რაკი **გოგია პაპა ვერ ითმენს, ათასობით დოლარს სხვა რაღაცაში მიხდიანო,** დაარქვეს **სოლიკოს ჰონორარი!**

გოგიას ქალიშვილს **(თუმცა, ვერ გაიგებთ, ქალიშვილია თუ ვაჟიშვილი)**, **ჰელენ (ლიაკა) ხოშტარიასაც** იცნობთ, განსაკუთრებული წარდგინება არც მას სჭირდება — მით უფრო, როცა მისი ბიოგრაფია პირდაპირ რუსეთით იწყება: **„დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტი საერთაშორისო უსაფრთხოების განხრით. 2002 წელს იყო სტაჟიორი ადამიანის უფლებების „მოსკოვის ჰელსინკის გრუპის“ და რუსეთის ფედერაციაში აკრედიტებულ საქართველოს საელჩოში“.**

ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ადამიანს, რომელსაც ბიოგრაფიაში უწერია „მოსკოვის ჰელსინკის გრუპი“, ის რანაირად ებრძვის რუსეთს? **„გრუპი“-ს წევრიო, ხალხო, იმდენიც არ იცის, რომ „გრუპი“ არის „ჯგუფი“.** თუმცა, საიდან უნდა იცოდეს ჰელენმა ამდენი ქართული, როცა მთელი თავისი ქალწულობა მოსკოვებში გაატარა? რაც შეეხება **მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტს,** საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საერთოდ მოკვეთეს სახელმწიფო სამსახურებიდან, როგორც ჯაშუშები! **ჰელენმა ორჯერ ისწავლა „კაგებეს“ ე.წ. ინსტიტუტში, ერთხელ როგორც ჩვეულებრივმა სტუდენტმა, მეორედ — როგორც ასპირანტმა.** მიხეილ სააკაშვილის ზეობის ხანაში არაერთი სამსახური გამოიცვალა, ბოლოს დეპუტატიც იყო, მაგრამ 2022 წელს, როგორც ყველაზე მაგარი გამცდენი, პარლამენტიდან „დააპაშოლეს“ და შექმნა **სახალხო პარტია „დროა“**. ჰელენის ბიოგრაფია არ არის საინტერესო, იგი ბანალური და არაფრისმთქმელია — წაიკითხავთ და მხოლოდ იმ დასკვნას გამოიტანთ, რომ **აშკარად ჩანერგილი ელემენტი გახლავთ ქართულ პოლიტიკაში.** რამდენადაც ჰელენის ბიოგრაფიაა უინტერესო, იმდენად მამამისის **გოგი ხოშტარიას** წარსულია ბობოქარი და საინტერესო... უფრო სწორად — ვირეშმაკური და საინტერესო.

მოსახლეობაში გავრცელებული ხმების თანახმად, **ხოშტარიების ოჯახი** არის **მოღალატეთა დინასტიური კასტა.** მთელი ცხოვრება **რუსული „კაგებეს“** სასარგებლოდ მუშაობდნენ, დღეს კი **„ფესბეს“** დავალებებს ასრულებენ. როგორც **სანდრო ბრეგაძე** ამტკიცებს, მისთვის პირადად ზვიად გამსახურდიას აქვს ნათქვამი, რომ **გოგი ხოშტარია** ჩანერგეს მის გარემოცვაში, რათა შემდგომში „კაგებეს“ გამოეყენებინა ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ.

დაინიშნა თუ არა საგარეო საქმეთა მინისტრად, **გოგი ხოშტარია** ეგრევე დაუპირისპირდა ზვიად გამსახურდიას და თავი მხოლოდ იმით გამოიჩინა, რომ უცხოეთიდან დაიწყო ჭინჭებისა და „აჟურული კოლგოტკების“ ჩამოტანა შავ ბაზარზე გასაყიდად. **ფაქტობრივად, გოგი ხოშტარია იყო არა საგარეო საქმეთა მინისტრი, არამედ ქორვაჭარი** (ასე უწოდებდნენ სოციალიზმის პერიოდში გადამყიდველებს).

იმავე **სანდრო ბრეგაძის** თქმით, **უზენაეს საბჭოში ჰელენის მამას ეძახდნენ „შტერ გოგიას“.**

როგორც კი ზვიად გამსახურდიამ შტერი გოგია მთავრობიდან „დააპაშოლა“, ის ეგრევე გავარდა **თენგიზ კიტოვანთან, ჯაბა იოსელიანთან და თენგიზ სიგუასთან.** აი, სწორედ იმ დროიდან ერიცხება საბანკო ანგარიშზე რუსული სპეცსამსახურებიდან რუბლები და დოლარები.

როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, ასეთია აგენტურული ქსელების ხელწერა — **თანხები აგენტებამდე მიდის არა პირდაპირ, არამედ კულტურული დაწესებულებებისა და სხვადასხვა ფონდების გავლით.** სწორედ ასეთ კულტურულ დაწესებულებას წარმოადგენს **მარიინსკის ოპერისა და ბალეტის თეატრი პეტერბურგში.**

როგორც უკვე აღვნიშნე, **გოგი ხოშტარია** ფულს იღებს როგორც წინაპრის ჰონორარს, თუმცა, სოლიკო ვირსალაძე არ არის მისი პირდაპირი ნათესავი, უფრო მეტიც, მთელი კაცობრიობა თითქმის ორი წელიწადი პანდემიის პირობებში ცხოვრობდა, როცა არ მუშაობდა არცერთი კულტურული დაწესებულება (მით უფრო, რუსეთში), მაგრამ **გოგი ხოშტარია** მაინც იღებდა საიქიოდან გამოგზავნილ ე.წ. ჰონორარს. მარიინსკის თეატრის ხელმძღვანელი არის ცნობილი დირიჟორი **ვალერი გერგიევი,** წარმოშობით ოსი. **მან 2008 წლის 22 აგვისტოს, როდესაც რუსეთ-საქართველოს ომი არ იყო დასრულებული, გამართა კონცერტი და მიუძღვნა საქართველოზე გამარჯვებას, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას.** გერგიევი რომ პუტინის ფავორიტია, ყველამ იცის და **როცა ე.წ. ჰონორარს პუტინის ფავორიტი გირიცხავს,** შენ ვინ გამოდიხარ — პუტინის ფავორიტის ხელქვეითი, ხომ? **მე პირადად შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ამჟამად ჯამაგირს გოგია ხოშტარიას უხდიან, შეიძლება ადრე უხდიდნენ, მაგრამ ახლა ის უკვე დაუძლურებულია და ამ ფულს ჰელენს აძლევენ „ჩერეზ“ მამიკო.**

ამას წინებზე **ჰელენ ხოშტარიამ** განაცხადა — ვუყურებ მამაჩემის ცხოვრებას და არ შემიძლია, რუსეთს არ ვებრძოლოო. ამით რის თქმას ცდილობს ჰელენი, ამის გარკვევა მკითხველისთვის მიმინდვია!

რამდენიმე დღის წინათ **გოგი ხოშტარია** ტელევიზორში **სალომე ზურაბიშვილის** დამცველად გამოიყვანეს, მისი შეურაცხყოფა საქართველოს შეურაცხყოფააო. კი მაგრამ, **1991 წლის მიწურულს ზვიად გამსახურდიას ტყვიები რომ დაუშინა, ეს არ იყო საქართველოს შეურაცხყოფა?** სროლაც არის და სროლაც, იგი პირდაპირ აცხადებდა — **გამსახურდია არ უნდა გაეშვათ, ბუნკერში უნდა გამოეწვათო!**

ახლა ისეთი ადამიანის ნაამბობს გაგახსენებთ, რომელიც პირწავარდნილი ნაციონალი და მიხეილ სააკაშვილის მყვარებელი გახლავთ. მიუხედავად ამისა, ბარაქალა ინდიანას შტატის უნივერსიტეტის პროფესორ **დოდონა კიზირიას,** რომ **გოგი ხოშტარიასთან** დაკავშირებული ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი არ დამალა:

*„1992 წლის 7 თუ 8 იანვარია. ვარ ძველი ტელევიზიის შენობაში ხელში ძველი დიქტოფონით. მალე უნდა დავბრუნდე ამერიკაში და ვჩქარობ. უკვე მქონდა ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან, თენგიზ კიტოვანთან, ნემო ბურჭულაძესთან, თენგიზ სიგუასთან და კარგა ბლომად სხვასთან. ყველაზე ძვირფასი და უნიკალური მაინც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას ინტერვიუა, რომელიც პირველ იანვარს ჩავიწერე, მაგრამ ამ წუთში ვარ ტელევიზიის შენობის მესამე სართულის კიბეებზე და ვხედავ **გოგი ხოშტარიას,** ერთ დროს პრეზიდენტ გამსახურდიას ახლო თანამებრძოლს. ამ დროს პირველი სართულიდან ზემოთ ამოდის კინორეჟისორი **გიორგი შენგელაია,** როგორც ყოველთვის, მოღუშული და დაბღვერილი. იმის ჩაწერაც გავიფიქრე, მაგრამ მისი უჟმური ხასიათის გამო დიდი იმედი არ მქონდა, რომ დამთანხმდებოდა. — რა ქენი, ბიჭო, ცოცხალი როგორ გაუშვი?! — უყვირის **გოგი ხოშტარია** ზემოდან გიორგი შენგელაიას.*

*უკან გავბრუნდი. ვიგრძენი, რომ სახეში ვერ შევხედავდი, ვერ დაველაპარაკებოდი. ახლა კი ვნანობ, რომ ეს სისუსტე გამოვიჩინე, მაგრამ ყუმბარასავით ამიფეთქდა ყურში სიტყვები: **„ცოცხალი როგორ გაუშვი“?!***

აი, ეს არის ამონარიდი თვითმხილველის წერილიდან, რომელიც სამუდამო დაღს ასვამს **ხოშტარიების ოჯახს. დოდონა კიზირია** არ ტყუის, მე თვითონ ვმუშაობდი იმ დროს ტელე-რადიოკომიტეტში და საკუთარი თვალით ვხედავდი, რას კადრულობდნენ ქვეყნისა და ერის მოღალატეები. მაშინ პროცესებში ვიყავი ჩართული და არ მეშინოდა, დღევანდელი გადასახედიდან კი, როცა მათი სახეები მახსენდება, შიში მიპყრობს.

**სულ ვფიქრობდი, როცა იქნება, ესენი ველარ შეძლებენ ქვეყნის არევას, დაბერდებიან და ფარ-ხმალს დაყრიან-მეთქი, თურმე, ვცდებოდი, თვითონ კი მიიხრწნენ და ფარ-ხმალიც გაუვარდათ ხელიდან, მაგრამ ნაშიერები გამოზარდეს უარესები, ყველაფრის მკადრებლები, ყველაფერზე ხელის მომწერნი!**

კიდევ კარგი, ახლა სხვა დროა... კიდევ კარგი, სახელმწიფო ფეხზე დგას და ამათი წკავწკავი დიდად არაფერს ცვლის, თორემ თავზე დაიმხობდნენ ყველაფერს.

ჰმ... **ვუყურებ მამაჩემს და არ შემიძლია, რუსებს არ ვებრძოლოო.** გეგონება, გოგია ხოშტარია რუსეთისაგან წამებული რაინდი იყოს და დისიდენტური წარსული ჰქონდეს, გეგონება, **ლევან გოთუას** მსგავსად, გულაგები ჰქონდეს გამოვლილი!

***გელა ზედელაშვილი***

## 2 აქა ამბავი ზნედაცემული ხოშტარიებისა

### კვირგვინოსნები



**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

„მაუწყებლობის შესახებ კანონში“ ცვლილებებს, **სიძულვილის ენის აკრძალვასთან დაკავშირებით,** ხალხი დიდი ხანია, ითხოვს. დღეს ქართულ მედიაში არსებულ **სიძულვილის ენას, ცილისწამებას, დეზინფორმაციასა და კიდევ ბევრ სხვას,** რაც „სიტყვის თავისუფლებას“ არის ამოფარებული, არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასთან.

„იმედინიუსი“



**ლაშა ტუღუში**
*„ლიბერალური აკადემია — თბილისის“ დირექტორი*

მედიის მუშაობის საკითხზე ცვლილებები **სახიფათო პროცესია** — ეს შეიძლება, **გილიოტინა აღმოჩნდეს** და მის უკან იდგეს მიუღებელი მედიასაშუალებების წინააღმდეგ სადამსჯელო ნაბიჯების ინტერესი.

„პალიტრანიუსი“



**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის წევრი*

**ბიძინა ივანიშვილის** შეცდომა იყო **მარგველაშვილისა და ზურაბიშვილის** შერჩევაც. ივანიშვილს ეგონა, რომ **ამ ადამიანებს მართლა პლასტილინივით, რა ფორმასაც უნდოდა, იმ ფორმას მისცემდა,** მაგრამ ბოდიში, ეს ადამიანები არ არიან პლასტილინის.

„ახალი თაობა“



**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*

„ქართული ოცნება“ ეცდება, რომ **მთავარი ოპონენტი, მთავარი ოპოზიციური ძალა** ისევ ნაციონალური მოძრაობა იყოს.

„ახალი თაობა“



# იგორ კვესელავა: შევარდნაძემ იცოდა, კრემლში საქართველოს პრეზიდენტად შარტავას კანდიდატურას რომ განიხილავდნენ და ჟიული იმიტომაც გაწირა!

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №11-45*

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА***

***აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოში სამი კონკურენტი ჰყავდა — ასლან აბაშიძე, ჟიული შარტავა და ვახტანგ გოგუაძე. ასლანი მას ხელიდან გაუსხლტა და აჭარიდან არ გამოდიოდა, ვახტანგ გოგუაძე გააგდო და მოიკვეთა, ხოლო ჟიული შარტავა — სასაკლაოზე გაგზავნა და ასე მოინელა:***

— ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ შევარდნაძის მიერ ფულითა და სხვა მატერიალური სიკეთეებით გადაბირებული ე.წ. „ელიტური ინტელიგენციის“ გამოკვეთილი სახე და ლიდერი იყო ცნობილი კინორეჟისორი **ელდარ შენგელაია.** ჩვენ უკვე არაერთგზის ვთქვით, რომ ელდარის ძმა, კინორეჟისორი **გიორგი შენგელაია და ბუბა კიკაბიძე გიორგი ხოშტარიამ** ავტომატების კაკანით დაადევნა **ზვიად გამსახურდიას,** როცა პრეზიდენტმა 1992 წლის 6 იანვარს თბილისი დატოვა. **გიორგი შენგელაია და ბუბა კიკაბიძე** ამ ქვეყნიდან ისე წავიდნენ, არცერთს არაფერი მოუნანიებია, როგორც ჩანს, მონანიებას არც **ელდარ შენგელაია** აპირებს, რადგან ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ზვიად გამსახურდიას შესახებ დასმულმა შეკითხვამ ისე გააღიზიანა, რომ ჟურნალისტს დაემუქრა და პირდაპირ განუცხადა:

> *„თქვენ ახალგაზრდები ხართ და თქვენ ვიღაც ძალიან ცუდ გზაზე გკრავთ ხელს, გამოდითო! სადაც ზვიადი გავუშვით, იქ გაგიშვებთ თქვენც... გამოდით ქუჩაში... „გამოვალთ ქუჩაში!“ — რომ ყვირით, გამოდით ქუჩაში, გვაშინებთ?“*

ეს არის იმის ფაქტობრივი აღიარება, რომ ზვიად გამსახურდიას თავი კი არ მოუკლავს, არამედ მოკლეს! აღარაფერს ვამბობთ **ნოდარ ნათაძის** ერთ მოგონებაზე, სადაც ის სწორედ **ელდარ შენგელაიას** შესახებ ლაპარაკობს და აცხადებს:

> *„ერთმა ხორციან-სულიანად რუსეთის სამსახურში მდგომმა კაცმა, შემდგომში პარლამენტის წევრმა, მითხრა, 1991-92 წლების დატრიალების წინ გურამ მამულია ელდარ შენგელაიასთან ერთად რუსეთის პარლამენტარებს ევედრებოდა, საქართველოს „ყურადღება“ მიაქციეთ, ანუ გამსახურდიას დამხობაში მიიღეთ მონაწილეობა!“*

სხვათაშორის, შემთხვევით არც ის მომხდარა, როცა ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ დღეებში აწ განსვენებულმა **გიგა ლორთქიფანიძემ** სწორედ ელდარ შენგელაიას ჰკითხა მრავალმნიშვნელოვნად და რიტორიკულად: *„მერამდენე სისხლიან პოლიტიკურ პროცესში უნდა მიიღო მონაწილეობა?“*

მოგეხსენებათ, მაშინ **ელდარ შენგელაია** სააკაშვილის მხარეს დადგა, ხოლო **გიგა ლორთქიფანიძე** ისევ შევარდნაძის ბანაკში დარჩა. მოკლედ, ედუარდ შევარდნაძეს ეს ხალხი მოსყიდული ჰყავდა და ძალიან კარგად იცოდა, რომ ამ ე.წ. „ელიტის“ მისამხრობად საჭირო იყო მხოლოდ და მხოლოდ ფული.

**— გასაგებია, რომ საქართველოში ფულმა ბევრი რამ გადაწყვიტა, მაგრამ საინტერესოა, ეს ფული შევარდნაძემ თავისი ჯიბიდან დახარჯა თუ სხვებიც დაეხმარნენ?**

— შევარდნაძემ მოსკოვში პარტია რომ შექმნა **„მოძრაობა დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოსთვის“,** რომლის სათავეებთანაც **ვალერი ქვარაცხელია, ლანა ღოღობერიძე, ავთანდილ მარგიანი, ავთანდილ იმნაძე, თამაზ დუმბაძე, დავით ბერძენიშვილი** და სხვები იდგნენ, აი, სწორედ იმ პარტიისთვის როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში დიდძალი ფული იკრიბებოდა და მოსკოვში იგზავნებოდა... გაგახსენებთ საქართველოში შექმნილ ორგანიზაცია **„შ“**-ს, რომლის ფორმირებაც შევარდნაძემ **ვახტანგ გოგუაძეს** დაავალა. სხვათაშორის, **ვახტანგ გოგუაძე** მოგვიანებით შევარდნაძეს დაუპირისპირდა. ის მანამდეც ცდილობდა დამოუკიდებელი კავშირები დაემყარებინა რუსეთის უმაღლეს სამხედრო-პოლიტიკურ ელიტასთან, რაც ნაწილობრივ მოახერხა კიდეც. შესაძლოა, ბევრმა ამის შესახებ არაფერი იცის, მაგრამ კრემლში **გოგუაძის** პერსონა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე განიხილებოდა, მაგრამ ის ერთადერთი კანდიდატი არ ყოფილა და საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ჰყავდა...

**— ფულის თემას მივუბრუნდეთ! რა თანხა შეაგროვა შევარდნაძემ ე.წ. ქართული „ელიტური ინტელიგენციის“ მისამხრობად და მოსაღორებლად?**

— ეს იმ დროისათვის დიდი ფული იყო — საერთო ჯამში, დაახლოებით, **5 მილიარდ დოლარზეა** ლაპარაკი!

**— ეს საიდან მტკიცდება?**

— ეს მტკიცდება შევარდნაძის განცხადებიდან, რომელიც მას 1992 წლის 7 მარტამდე, ანუ საქართველოში ჩამოსვლამდე წამოცდა. მაშინ შევარდნაძემ თქვა, რომ მზად იყო, საქართველოში 5 მილიარდი დოლარი ჩამოეტანა და ქვეყანა აეყვავებინა. **ეს არ გახლდათ რუსული ფული, არამედ იმ შეხვედრაზე აკრებილი ფული იყო, რომლის შესახებაც თქვენს სადოქტორო დისერტაციაში დაწვრილებით ისაუბრეთ და რომელიც 1991 წლის ოქტომბერში გერმანიის ერთ პატარა ქალაქში გაიმართა.** ამ შეხვედრაზე, რომლის სტუმართა სიაც ერთ-ერთ ქართველ ემიგრანტს **ჩარლზ ჩხოტუას** ჰქონდა, შევარდნაძეს უკვე ადღეგრძელებდნენ, როგორც „საქართველოს პრეზიდენტს“... ეს იყო ერთგვარი ლოჟის შეკრება, სადაც მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანებმა საქართველოში ეროვნული ხელისუფლების დასამხობად ფული შეკრიბეს და შევარდნაძეს მისცეს.

ჩემი ინფორმაციით, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ შევარდნაძემ ეს ფული დააბრუნა საქართველოს გაყიდვისა და გაუბედურების ხარჯზე. არადა, ის 5 მილიარდი დოლარი საქართველოს მართლაც ააყვავებდა, მაგრამ შევარდნაძემ ეს უზარმაზარი ფინანსური რესურსი გამოიყენა ქართველი ერის დასაქცევად და დასამონებლად.

რკონში კიტოვანის ბანდას და თბილისის ზღვაზე მოკალათებულ კრიმინალებს, რომლებიც



ჟიული შარტავა და ედუარდ შევარდნაძე



ასლან აბაშიძე

## „ასლანი შევარდნაძეს ახლოს არ ეკარებოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ ჟიული შარტავას ბედი შესაძლოა, სანატრელი გახდომოდა!“

### კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



არ გამოვრიცხავ, **ეს იყოს რუსეთის ჩატარებული ოპერაცია, რაც ნათელი გახდა ისრაელის დაზვერვისთვის** და შეიძლება, ისრაელმა თავისი თამაშიც წამოიწყო, რათა **ჰქონოდა საბაბი „ჰამასის“ საბოლოო გასანადგურებლად.** ქუჩაში ვერ დამდგარხარ, **თანამგზავრიდან გაკონტროლებენ და დაგიჭერო, ამხელა ოპერაცია გამოეპარათ?** მე მაინც მგონია, რომ **სხვისი დაგეგმილი ოპერაცია, როგორც პროვოკაცია, ისე გამოიყენა ისრაელის მხარემ, რათა ხელები გახსნოდა.**

„კვირის პალიტრა“

**პაატა გიგაური**
*სამხედრო ისტორიის მკვლევარი*



**ბირთვული იარაღის გამოყენება,** რომელსაც მთლიანი ქალაქის ან ქვეყნის განადგურება შეუძლია, **დედამიწაზე სიცოცხლის დასასრულს ნიშნავს,** რაც რუსეთს არ აწყობს. ტაქტიკურ იარაღსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებს, თუ უკრაინის ფრონტზე რუსული არმია ჩამოშლას დაიწყებს.

„კვირის პალიტრა“

**ლევან ხაჭაპურიძე**
*პოლიტიკური დევნილი*



**სააკაშვილმა** ომამდე სამი კვირით ადრე **აბსოლუტურად განაიარაღა ხეობა.** ჩამოიყვანა თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ბატალიონები და მისი წევრები შეუშვა სასაკლაოზე. **თუ მას განზრახული არ ჰქონდა სამაჩაბლოს ჩაბარება, სამაჩაბლოელები რატომ არ გვაომა?** მე რატომ დამატოვებინა ხეობა? რა იცოდა ქუთაისელმა, სენაკელმა, სამტრედიელმა თუ თელაველმა ცხინვალის ქუჩები? **ომის წაგების შემდეგ ნაცები და რუსი გენერლები ერთად ქეიფობდნენ გორში** და ახლა რუსებს ლანძღავენ ეს ქვეყნისა და ხალხის მტრები.

„ალია“

მერე რუსთაველზე ჩამოვიდნენ და თბილისი გადაწვეს, სწორედ ედუარდ შევარდნაძე აფინანსებდა. ე.წ. „ინტელიგენცია" შევარდნაძეს სწორედ ფულითა და სხვა მატერიალური სიკეთეებით, ასევე ნებადართული კორუფციით ისე ჰყავდა დამონებული, ზვიად გამსახურდიას რეაბილიტაციას არასოდეს ემხრობოდა და არც დღეს ემხრობა.

ამ თვალსაზრისით სიმპტომატურია ჯერ კიდევ 2001 წლის 29 ივნისს გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში"** გამოქვეყნებული **ჭაბუა ამირეჯიბის, ემზარ კვიტაიშვილის, გურამ ბენაშვილის, თემურ გოცაძის, მანანა გიგინეიშვილის, ნოდარ ლომოურისა და თამაზ კვაჭანტირაძის** მიმართვა შევარდნაძისადმი, სადაც ისინი პირდაპირ ითხოვდნენ: *„...არ დაუშვათ ზვიად გამსახურდიას რეაბილიტაცია!"*

სწორედ დიდძალი ფულისა და უცხოეთში არსებული კავშირების წყალობით, ედუარდ შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას არამარტო გაურკვეველი წარმოშობის პოლიტიკური ორგანიზაციები, არამედ გაურკვეველი წარმოშობის ადამიანები მიუქსია. ერთ-ერთი ასეთი გაურკვეველი წარმოშობის პიროვნება გახლდათ პროფესორი **ნოდარ ლომოური,** რომლის „საგმირო საქმეების" შესახებაც ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ, ხოლო მეორე იყო ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი **ვალერიან ადვაძე,** რომელიც „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირს" წარმოადგენდა.

**— ვალერიან ადვაძეც გენეტიკური დივერსანტი იყო?**

— **ვალერიან ადვაძე** ქართველი არ იყო და მისი მეუღლეც სომხური წარმოშობის გახლდათ. მე მას კარგად ვიცნობდი და, მინდა გითხრათ, რომ შევარდნაძემ ადვაძე საქართველოს დაქცევაში შეტანილი წვლილისთვის გულუხვად დააჯილდოვა — რუსეთში საქართველოს ელჩადაც დანიშნა და მოსკოვში ბინაც მისცა!

ყველამ კარგად დაიმახსოვროს: **ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლაში შევარდნაძე ეყრდნობოდა როგორც თავის ხელისბიჭებს, რომლებიც ფულით ჰყავდა ნაყიდი, ასევე ქართული გვარების მქონე არაქართველებს!** ვალერიან ადვაძეც ისევე, როგორც **იზა ორჯონიკიძე,** ერთ-ერთი მათგანი იყო, რომელსაც შევარდნაძე დაეყრდნო და ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების დრამატიზების მიზნით, ერის გასახლეჩად და საზოგადოების დასაპირისპირებლად პირდაპირ „შემოაგდო" ტერმინები — **„სუნიანი ნახირი", „მეგრელები", „პროვინციული ფაშიზმი", „ჩამოთრეულები"** და ა.შ.

შევარდნაძის კარზე ატუზული სარგებელმაძიებელი თბილისური „ინტელიგენცია" მაშინ აცხადებდა:

> *„სოფლელები უნდა დაუბრუნდნენ სოფელს, საქართველოს ბედი თბილისმა და თბილისელებმა უნდა გადაწყვიტონ!"*

მე-20 საუკუნის მიწურულს საქართველოს დედაქალაქში აი, ასეთი აღვირახსნილი და სამარცხვინო განცხადებები ისმოდა მაშინ, როცა მე-20 საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1910 წელს, თბილისში მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტი თუ იყო ქართველი! ხოლო **1921 წლის აღწერით, თბილისში 375 ათასი კაცი ცხოვრობდა, აქედან 140 ათასი იყო სომეხი, ხოლო 37 ათასი — ქართველი!** თბილისი გაქართულდა ლავრენტი ბერიას დროს, როცა სამეგრელოდან, იმერეთიდან, კახეთიდან, რაჭიდან, გურიიდან, აჭარიდან ქართველები ჩამოვიდნენ და თბილისში დაფუძნდნენ. არც ილია, არც აკაკი, არც ვაჟა, არც გალაკტიონი, არც კონსტანტინე გამსახურდია, არც მიხეილ ჯავახიშვილი, არც აკაკი ხორავა თბილისელები არ ყოფილან! ერთადერთი თბილისელი პოეტი იყო **იოსებ გრიშაშვილი** და სხვა არავინ! აი, ამ ფონზე ე.წ. „ინტელიგენციისა" და „ელიტის" მიერ ზემოხსენებული განცხადებების გაკეთება ემსახურებოდა ერის დაყოფას და ვითარების ესკალაციას. 1993 წლის 5 სექტემბერს, მაშინ, როცა ზვიად გამსახურდია საქართველოდან განდევნილი იყო და აფხაზეთი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, სიღნაღში, მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე, **აკაკი ბაქრაძე** საქართველოში დატრიალებულ უბედურებას და კანონიერი ხელისუფლების დამხობას „რევოლუციას" უწოდებდა და სააქტო დარბაზის სცენიდან აცხადებდა:

> *„ყველა რევოლუცია იწყება უსისხლოდ და სისხლი შემდეგ იღვრება. ასე იყო საფრანგეთში და ასე მოხდა რუსეთშიც... ზვიადი საქართველოში უსისხლოდ ვერ დაბრუნდება!"*





## *აკაკი ბაქრაძე:*
# ზვიადი საქართველოში უსისხლოდ ვერ დაბრუნდება!



## *ელდარ შენგელაია:*
# სადაც ზვიადი გაავუშვით, იქ გაგიშვებთ თქვენც!

**— ზემოთ ახსენეთ, რომ შევარდნაძეს საქართველოში სერიოზული კონკურენტები ჰყავდა!**

— აფხაზეთის ომის დროს რუსეთის ხელისუფლებაში, გენერალიტეტის ზეწოლით, ნელნელა მომწიფდა აზრი, რომ შევარდნაძე შეეცვალათ. ამ მიზნით განიხილებოდა სამი კანდიდატურა — **ასლან აბაშიძე, ჟიული შარტავა და ვახტანგ გოგუაძე.** შევარდნაძემ ამის შესახებ შეიტყო თუ არა, პირველი, ვისაც წირვა გამოუყვანა, სწორედ ჟიული შარტავა გახლდათ, რომელიც ამ მიზნით გაიტყუა აფხაზეთში 1993 წლის ივლისში. მე ვიცნობდი ბატონ ჟიულის, ჩემი სიძე მისი უახლოესი მეგობარი გახლდათ და როცა ის შევარდნაძემ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ მიიწვია, ამის გამო სამეგობრო წრეში დიდი სხა-ბაასი გაიმართა. **ჩემი სიძე და სხვა უახლოესი მეგობრები ჟიულის ურჩევდნენ, სოხუმში არ წასულიყო, რადგან შევარდნაძეს აფხაზეთი გაყიდული ჰქონდა.** მახსოვს, ჟიული შარტავამ სოხუმში წასასვლელად ასეთი არგუმენტი მოიტანა — **რა ვქნა, ედუარდმა მთხოვა, ერთი კვირით მჭირდებიო და უარი როგორ ვუთხრაო?!**

**— თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ შევარდნაძემ ჟიული შარტავა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ ერთი კვირით დანიშნა?**

— ყოველ შემთხვევაში, **ჟიული შარტავამ** ჩემს სიძეს სწორედ ასე უთხრა — **ერთი კვირით მთხოვაო! შევარდნაძემ იცოდა, კრემლში საქართველოს პრეზიდენტად ჟიულის კანდიდატურას რომ განიხილავდნენ და შარტავა იმიტომაც გაწირა!**

ამ საქმეს ლობირებდა ჟიულის დიდი ხნის მეგობარი და საბჭოთა კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი **ბორის პასტუხოვი.** შევარდნაძემ ამის შესახებ შეიტყო...

**ამას დაემატა ისიც, რომ უშიშროებამ „დაიჭირა" ჟიული შარტავას მეგრული საუბარი გროზნოში მყოფ ზვიად გამსახურდიასთან, სადაც იგი საქართველოს პირველ პრეზიდენტს შევარდნაძის მზაკვრული ჩანაფიქრის შესახებ მოახსენებდა.**

პარალელურად შევარდნაძეს იმავე უშიშროებამ მიუტანა და მაგიდაზე დაუდო ჟიული შარტავას საუბარი **ბორის პასტუხოვთან,** სადაც ის შევარდნაძეს უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებდა, როგორც მოღალატეს... მოკლედ, ჟიული შარტავას წინააღმდეგ შევარდნაძეს მასალები მიაწოდეს, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ, შევარდნაძის რჩევით, **თამაზ ნადარეიშვილმა** გული აიტკივა და გერმანიაში სამკურნალოდ გაემგზავრა, ხოლო ჟიული მის ადგილზე გაამწესეს და სოხუმში სასაკლაოზე გაგზავნეს!

ცნობისათვის: **როცა შევარდნაძე მოსკოვში იყო, ჟიულის არ ლებულობდა და ტელეფონიც კი გამოცვალა, რათა შარტავას მისთვის არ დაერეკა. ვინც ჟიულის მოსკოვში დაეხმარა, დიპლომატიურ აკადემიაში ჩააბარებინა და სამსახური დააწყებინა, გენადი კოლბინი და ბორის პასტუხოვი იყვნენ.**

**— რაც შეეხებათ ასლან აბაშიძესა და ვახტანგ გოგუაძეს?**

— **გოგუაძე,** როგორც კონკურენტი, შევარდნაძემ სამსახურდან გააგდო და სამუდამოდ მოიძულა, ხოლო **ასლანი** შევარდნაძეს გაუსხლტა და მთელი 11 წლის განმავლობაში აჭარას ისე მართავდა, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს! ასლანი შევარდნაძეს ახლოს არ ეკარებოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ ჟიული შარტავას ბედი შესაძლოა, სანატრელი გახდომოდა!

*ესაუბრა*
**დიტო ჩუბინიძე**
**გაგრძელება იქნება**

## კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



პირველი ქვეყანა, რომელმაც **შეიფარა სააკაშვილის ხელისუფლების რიგი მაღალჩინოსნები,** მათ შორის, **ადეიშვილი, კოდუა, უდესიანი,** უნგრეთი იყო. როცა მათგან ითხოვდნენ, ეს პირები გადმოეცათ, **უნგრეთი მტკიცე უარს ამბობდა.**

„კვირის პალიტრა"

**თენგიზ ფხალაძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



**ალიევის** თბილისში ვიზიტი ადასტურებს, რომ **რუსეთის გარეშეც შეგვიძლია** შესანიშნავი ურთიერთობები გვქონდეს კავკასიაში.

„კვირის პალიტრა"

**ირაკლი კილაძე**
*ისრაელში კლინიკა „ასუტას" ქიმიო-ონკოლოგი*



ერთ-ერთი **ტერორისტის შვილი მყავს ნამკურნალევი,** ჩვენს კლინიკაში გავუკეთეთ ოპერაცია, ამჟამადაც **სამი დაჭრილი ტერორისტი ისრაელის კლინიკებში მკურნალობს,** მართალია, ეს ფაქტი მოსახლეობას ძალიან აღიზიანებს, მაგრამ ჩვენც მათ ხომ არ დავემსგავსებით?! ჩვენ, განსაკუთრებით ექიმები, **ადამიანებად უნდა დავრჩეთ.**

„კვირის პალიტრა"

**ირაკლი ჩიქოვანი**
*პარლამენტარი*



დიახ, ნატო არის **კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია** და დიახ, ჩვენც ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, ვიყოთ ამ **კოლექტიური ქოლგის ქვეშ.**

„იმედინიუსი"

დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №41–45



# „საქართველოში შაქრიანი დიაბეტი ეპიდემიის ხასიათს ატარებს!“




## კახა საბახტარიშვილი:

# თუ დილით შაქარი მაღალი გვაქვს, ძმარი დავლიოთ!

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი ძმრის სასწაულმოქმედი თვისებების შესახებ კიდევ ერთხელ გვესაუბრება და აცხადებს, რომ როგორც ღვინის, ისე ვაშლის ძმარი შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ და საპროფილაქტიკოდ შეუცვლელი პროდუქტია:***

— როგორც წესი, დილით, უზმოზე, ჯანმრთელ ადამიანებს სისხლში შაქრის დონე ან დაბალი აქვთ, ან — ნორმის ფარგლებში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მთელი ღამის განმავლობაში ადამიანთა უმრავლესობას სძინავს, საკვებს არ ღებულობს და, შესაბამისად, საჭმელში შემავალი გლუკოზა, ანუ შაქარი სისხლში ვერანაირად ვერ ხვდება. თუმცა, ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა უზმოზე შაქარი მაღალია. ბუნებრივად დაისმის კითხვა — **საიდან გაჩნდა სისხლში დამატებითი შაქარი, რომელმაც საერთო სურათზე იმოქმედა და გლუკოზისა და ინსულინის დონე ასწია?** პასუხი ერთადერთია — **ასეთ ადამიანებს დიაბეტი, პრედიაბეტი ან ინსულინრეზისტენტობა აქვთ!** მთელი ღამის განმავლობაში, როცა ადამიანს სძინავს, სისხლში გლუკოზა ჩნდება გლუკონეოგენეზის პროცესის შედეგად. გლუკონეოგენეზი არის სიტუაცია, როდესაც სისხლში შაქრის მატება გამოწვეულია არა საკვების მიღებით, არამედ ღვიძლში მიმდინარე პროცესებით. კერძოდ, **დიაბეტის, პრედიაბეტისა და ინსულინრეზისტენტობის დროს ღვიძლი ორგანიზმში არსებულ ცილებს, ცხიმებსა და კეტონებს გლუკოზად გარდაქმნის. რადგანაც მაღალი შაქარი ორგანიზმისთვის პრობლემაა, ბუნებრივია, ადამიანი ასეთ დროს შაქრის დამწევ ქიმიურ მედიკამენტს ღებულობს, მაგრამ, როგორც წინა ინტერვიუში აღვნიშნეთ, ამით პრობლემა არ იხსნება და ერთი პრობლემა მეორეთი იცვლება.**

მართალია, მედიკამენტოზური მკურნალობის შედეგად შაქარი ნორმის ფარგლებში მოდის, მაგრამ სისხლში არსებული ზედმეტი შაქარი ღვიძლში ცხიმის სახით გროვდება და მის გაცხიმოვნებას იწვევს.

**— თუ უზმოზე შაქარი მაღალია და ქიმიური პრეპარატების მიღება არ გვინდა, ანდა ასეთი წამალი ხელთ არ გვაქვს, შაქარი როგორ უნდა დავწიოთ?**

### – თუ დილით შაქარი მაღალი გვაქვს, ძმარი დავლიოთ! ღვინისა და ვაშლის ძმარი შაქარს მალე დაარეგულირებს...

**300 გრამ წყალში უნდა ჩავასხათ 1 სუფრის კოვზი ძმარი და დავლიოთ! უკეთესი იქნება, თუ ამ პროცედურას ძილის წინაც ჩავატარებთ.**

ამით ჩვენ მოვახდენთ ერთგვარ პრევენციას და დილით შაქარი აღარ გვექნება.

**ძილის წინ ძმარი მხოლოდ იმათ უნდა დალიონ, ვისაც შაქარი აქვს, თორემ პრევენციისა და პროფილაქტიკის მიზნით, რათა შაქარი არ დაგვემართოს, ზემოხსენებული პროცედურის ჩატარება მხოლოდ დღის განმავლობაში არის ნებადართული, როცა საკვებს ვღებულობთ.** წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჯანმრთელი ადამიანი ძილის წინ ან უზმოზე ძმრის მიღებას დაიწყებს, შესაძლოა, ამით **ჰიპოგლიკემია** გამოიწვიოს, რა დროსაც სისხლში შაქრის დონე მკვეთრად ეცემა. ეს მდგომარეობა კი ჯანმრთელობისთვის სახიფათოა.



*„რადგან საქართველოში ზეითუნის ზეთისა და ვაშლის ძმრის მოხმარების კულტურა დაბალია, შესაბამისად, ჩვენი საკვებიც მაღალგლიკემიურია, რაც დიაბეტის გამომწვევი ძირითადი მიზეზია!“*

ამრიგად, ძმარში შემავალი ძმარმჟავა ძლიერი ანტიგლიკემიურობით გამოირჩევა — **დაბლა სწევს შაქარს, თრგუნავს ინსულინის გამომუშავებას და მთლიანად ხსნის ან ამცირებს ინსულინრეზისტენტობას!** როგორც წესი, ყოველი ჭამის შემდეგ სისხლში შაქრის დონე მატულობს. ძმარი ბლოკავს ნახშირწყლების დამშლელ ფერმენტს, რის შედეგადაც ნახშირწყლები არ აითვისება და ორგანიზმიდან გამოდის. რაც მთავარია, ძმარი ბლოკავს ზემოთ აღნიშნულ გლუკონეოგენეზს.

**—შაქრის დასარეგულირებლად ვაშლის ძმარი უფრო ეფექტურია თუ ღვინის?**

— სისხლში შაქრის დონის დასარეგულირებლად **ვაშლის ძმარი** უფრო ეფექტურია. საქართველოში შაქრიანი დიაბეტი მოდებულია და, შეიძლება ითქვას, ეპიდემიის ხასიათს ატარებს! რეზისტენტობისა თუ პრედიაბეტის სახით, საქართველოში ე.წ. შაქარი ათიდან თითქმის რვა ადამიანს აღენიშნება. არადა, ამ დროს, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, სადაც ნახშირწყლებით მდიდარ საკვებსა და ხილს ყოველდღიურად და უხვად მოიხმარენ, მსგავსი მასშტაბით დიაბეტი გავრცელებული არ არის. ამის მიზეზი ერთადერთია — **ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში ვერ ნახავთ სუფრას, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ ვაშლის ძმარი და ზეითუნის ზეთი არ იყოს. ამ ორ ძალიან სასარგებლო პროდუქტს ხმელთაშუაზღვისპირელები თითქმის ყველა საკვებს უხვად უმატებენ.**

ზეითუნის ზეთი ორგანიზმისთვის აუცილებელი ცხიმოვანი მჟავის — **„ომეგა-3“**-ის საბადოა, რაც თავისთავად შაქარს დაბლა სწევს. თუ ამას ძმარსაც დავუმატებთ, მაშინ საკვების გლიკემიური ინდექსი მკვეთრად დაბლა დაიწევს. ასე, მაგალითად, **ბრინჯს, რომელიც დიდი ოდენობით სახამებელს, ანუ შაქარს შეიცავს, ძმარს თუ მოვასხამთ, მისი გლიკემიური ინდექსი 35 პროცენტით შემცირდება, მოხარშული კარტოფილის — 43 პროცენტით, პურის — 50 პროცენტით.**

საკვებ პროდუქტებში გლიკემიური ინდექსის შემცირება იმას ნიშნავს, რომ მისი მოხმარების შედეგად სისხლში შაქარი ნაკლებად აიწევს. **რადგან საქართველოში ზეითუნის ზეთისა და ვაშლის ძმრის მოხმარების კულტურა დაბალია, შესაბამისად, ჩვენი საკვებიც მაღალგლიკემიურია, რაც დიაბეტის გამომწვევი ძირითადი მიზეზია!**

**— ცნობილია, რომ დიაბეტის განვითარებში დიდ როლს ასრულებს ჭარბი წონა. ვაშლის ძმარი წონის კლებას ხელს უწყობს?**

— **ძმარი წონას დაბლა სწევს!** იაპონიაში სულ ახლახან ექსპერიმენტი ჩაატარეს — 170 კაცს ყოველდღე ასმევდნენ წყალში გაზავებულ ვაშლის ძმარს. სამი თვის შემდეგ შედეგები გასაოცარი იყო — ღვიძლში ზედმეტი ცხიმების რაოდენობამ მკვეთრად იკლო, ღვიძლის ფუნქციები საგრძნობლად გაუმჯობესდა, მუცლის ვიცერალური ქონი სერიოზულად შემცირდა და, რაც მთავარია, ე.წ. ცუდი ქოლესტერინის დონემ დაიწია! ყოველივე ზემოთქმულის მიზეზი ის იყო, რომ **ძმარი ხელს უწყობს ცხიმების დაშლას, ამცირებს სისხლში ინსულინის რაოდენობას, რის გამოც იზრდება ზრდის ჰორმონი, რაც წონის კლებას განაპირობებს.**

გარდა ამისა, ადამიანები, რომლებიც ძმრიან წყალს სისტემატურად სვამენ, სავსე არიან ენერგიით, რაც იმით აიხსნება, რომ ძმრის შემადგენელი ძირითადი ნაწილი ძმარმჟავაა, რომელიც ორგანიზმში აცეტონად და ბეტაჰიდროქსიბუტირატად იშლება. ესენი კეტონები, ანუ ცხიმების დაშლის პროდუქტებია, რომელსაც ორგანიზმი ენერგიის წყაროდ იყენებს. **ძმარი ბიბლიაში ოთხჯერ არის მოხსენიებული. ღარიბი პალესტინელები პურს ძმარში აწობდნენ და ისე მიირთმევდნენ.** მეცნიერულად ამ ხერხს ორი ეფექტი აქვს — პურის მაღალგლიკემიური ინდექსი ნახევრდება და ორგანიზმს ენერგია ეძლევა. **რომაელები ლაშქრობის დროს წყალგარეულ,**



**„ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში ვერ ნახავთ სუფრას, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ ვაშლის ძმარი და ზეითუნის ზეთი არ იყოს. ამ ორ ძალიან სასარგებლო პროდუქტს ხმელთაშუაზღვისპირელები თითქმის ყველა საკვებს უხვად უმატებენ!“**



# „ძმარი ბიბლიაში ოთხჯერ არის მოხსენიებული. ღარიბი პალესტინელები პურს ძმარში აწობდნენ და ისე მიირთმევდნენ!“

მჟავე ღვინოს, ანუ იმავე ძმარს სვამდნენ, რათა ენერგია მოემატებოდათ და წყურვილის შეგრძნებაც დაეხშოთ! ვისაც წნევა აწუხებს ან სტრესს ხშირად განიცდის, მისთვის ძმარი მისწრებაა!

...ში შემავალი ფენოლური ნაერთები — **კატექინები და კოფეინის მჟავა** სწორედ იმ ბეტა ამილოიდური ფოლაქების სინთეზს ამუხრუჭებენ, რაც ალცჰაიმერის დაავადების გამოხატულებაა.

**— ორგანიზმის იმუნიტეტისთვის ძმარი რამდენად სასარგებლოა?**

— საერთოდ, იმუნიტეტის დაქვეითებისას — გრიპის, კოვიდის, ადენო თუ რინო-ვირუსების დროს პაციენტებს იმუნიტეტის ასამაღლებლად ურჩევენ C ვიტამინის ტაბლეტების მიღებას. სინამდვილეში სინთეზურ C ვიტამინს ნამდვილ C ვიტამინთან საერთო ძალიან მცირე რამ აქვს. სინთეზური C ვიტამინი ეს არის ასკორბინის მჟავას პლუს სიმინდის სახამებელი. არც ასკორბინის მჟავასა და არც სიმინდის სახამებელში C ვიტამინი არ არის. ნამდვილი C ვიტამინი არის ლიმონში, წიწაკაში... ძმარი თავისი ეფექტით ხელოვნური C ვიტამინის აბებს ბევრად აღემატება. **გაციებით მიმდინარე დაავადების ან კოვიდის დროს სისხლი ტუტიანდება, ხოლო ძმარი, ვაშლის იქნება თუ ღვინის,** ამ ტუტიანობას ანეიტრალებს. საერთოდ,

**მიმაჩნია, რომ წყალში გარეული ძმარი 60 წელს გადაცილებულმა ყველა ადამიანმა უნდა მიიღოს, რადგან ასაკთან ერთად ორგანიზმი ტუტიანობისკენ იხრება. მაღალი ტუტიანობის დროს კი კალციუმი არ აითვისება და მარილების სახით გროვდება.**

სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ ასაკში სახსრები თითქმის ყველას აწუხებს. **ორგანიზმს სჭირდება გარკვეული სიმჟავე, რათა ყველაზე აუცილებელი მიკროელემენტები — კალციუმი, მაგნიუმი და რკინა აითვისოს!** იგივე ეხება A, B12, K და D ვიტამინსაც. ვაშლისა და ღვინის ძმარი ყველა ამ ელემენტის ათვისებას ხელს უწყობს...

**— დღის განმავლობაში რა რაოდენობით ძმრის მიღება შეიძლება?**

— მაქსიმალური დოზა **2 სუფრის კოვზია** და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მას დღეში ორჯერ მაინც მივიღებთ! **ძმარი აუცილებლად უნდა გაიხსნას 250-300 გრამ წყალში...** ძმრის ეფექტი გაიზრდება, თუ 1 ჩაის კოვზ ლიმონის წვენს დავუმატებთ. ვისაც კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული აქვს, ძმარი არ უნდა დალიოს!

ერთი რამ გვახსოვდეს: **ორგანიზმში ნებისმიერი ბიოქიმიური პროცესის საბოლოო პროდუქტი ძმარმჟავაა!** ამ აღმოჩენისთვის, რომელსაც **„კრებსის ციკლი“** ეწოდება, დიდი გერმანელი მეცნიერი **ჰანს ადოლფ კრებსი** 1953 წელს ნობელის პრემიით დააჯილდოვეს.

# „ვისაც კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული აქვს, ძმარი არ უნდა დალიოს!“

**— დააკონკრეტეთ როგორ მოქმედებს ძმარი მაღალ წნევასა და სტრესზე?**

— სტრესის დროს თირკმელზედა ჯირკვალი გამოყოფს ჰორმონ **კორტიზოლს,** რაც, თავის მხრივ, მაღალ წნევას განაპირობებს. კორტიზოლის გამოყოფის შედეგად ორგანიზმის მჟავა-ტუტე წონასწორობა ტუტიანობისკენ, ანუ ალკალოზისკენ იხრება. ალკალოზის დროს კი კალიუმი იკარგება... კალიუმის ნაკლოვანება და დაკარგვა, თავის მხრივ, იწვევს წნევის მატებას, არითმიას, სისუსტეს და დაღლილობას. კალიუმის დაკარგვას სწორედ ძმარი აჩერებს... ამიტომ, **როცა ძლიერ სტრესს მივიღებთ, მაშინვე დავლიოთ ძმრიანი წყალი...**

ძმარი ძლიერი ანტისიმსივნური თვისებებითაც გამოირჩევა. უკანასკნელ პერიოდში ონკოლოგიაში ვაშლის ძმარს ხშირად იყენებენ და სიმსივნურ ქსოვილში პირდაპირ ინიექციის სახით შეჰყავთ. **კვლევებით დასტურდება, რომ ძმარში შემავალი ძმარმჟავა და ანტიოქსიდანტები სიმსივნურ უჯრედებზე დამთრგუნველად მოქმედებენ.** ძმრის გამოყენებამ ალცჰაიმერის დაავადების მკურნალობისას საინტერესო შედეგები გამოავლინა. ამას იმით ვხსნი, რომ ალცჰაიმერის დაავადებას და თავის ტვინში ბეტა ამილოიდური ფოლაქების გაჩენას ბევრი განიხილავს მესამე ტიპის დიაბეტის გამოვლინებად. ამის შესახებ ჩვენ ადრეულ საგაზეთო ინტერვიუში გვისაუბრია. ძმარ...

**გვახსოვდეს – რადგან ძმარმჟავა სხვადასხვა მიზეზის გამო ყოველთვის გვაკლია, ამიტომ ძმარი სისტემატურად უნდა მივიღოთ!**

ესაუბრა

***დიტო ჩუბინიძე***




**„ორგანიზმში ნებისმიერი ბიოქიმიური პროცესის საბოლოო პროდუქტი ძმარმჟავაა! ამ აღმოჩენისთვის, რომელსაც „კრებსის ციკლი“ ეწოდება, დიდი გერმანელი მეცნიერი ჰანს ადოლფ კრებსი 1953 წელს ნობელის პრემიით დააჯილდოვეს!“**









## საეკლესიო კალენდარი

**✝ 23 ოქტომბერი. ორშაბათი.** მოწამეთა ევლამპისა და დისა მისისა ევლამპიასი; მოწამისა თეოტექნისა; ღირსისა ბასიანე მონაზონისა; ღირსისა თეოფილე აღმსარებელისა; ღირსისა ამბროსი ოპტელისა.

**✝ 24 ოქტომბერი. სამშაბათი. მოციქულისა ფილიპესი, ერთისა შვიდთა დიაკონთაგანისა;** ღირსისა თეოფანესი, ნიკეის ეპისკოპოსისა და აღმსარებელისა და გამომეტყველისა, კანონთგამომთქმელისა; მოწამეთა ზინაიდასი და დისა მისისა ფილონილასი.

**✝ 25 ოქტომბერი. ოთხშაბათი.** მოწამეთა: პრობოსისა, ტრაქოსისა და ანდრონიკესი; ღირსისა კოზმა წმიდაქალაქელისა, მაიუმელი ეპისკოპოსისა და კანონთგამომთქმელისა; მოწამისა დომნიკასი; მარტინე მოწყალისა, ტურელი ეპისკოპოსისა; **დღესასწაული იერუსალიმის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა.**

**✝ 26 ოქტომბერი. ხუთშაბათი. ხსენება VII მსოფლიო კრების წმიდათა მამათა; დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;** ღირსისა ანტონისა, ჭყონდიდელი მიტროპოლიტისა და მოწაფისა მისისა იაკობ ხუცესმონაზონისა; მოწამეთა: კარპესი, თიატირელი ეპისკოპოსისა, პაპილე დიაკონისა, დისა მისისა აგათონიკასი და აგათოდორესი; მოწამისა ფლორენტისა; მოწამისა ბენიამინ დიაკონისა; ღირსისა ნიკიტა აღმსარებელისა; დიდმოწამისა ზლატასი.

**✝ 27 ოქტომბერი. პარასკევი.** მოწამეთა: ნაზარისა, გერვასისა, პროტასისა და კელსისა; ღირსისა პარასკევა სერბელისა; მოწამისა სილვანესი, ღაზელი ხუცისა.

**✝ 28 ოქტომბერი. შაბათი. ღირსისა ექვთიმე ახლისა, თესალონიკელისა;** ღირსმოწამისა ლუკიანესი, ანტიოქიელი ხუცისა; საბინესი, კატანელი ეპისკოპოსისა; ათანასე აღმსარებელისა, კოვროვსკელი ეპისკოპოსისა.

**✝ 29 ოქტომბერი. კვირა. მოწამისა ლონგინოზ ასისთავისა, რომელი იყო წინაშე ჯვარისა უფლისა; ღირსისა ზენონ იყალთოელისა, ცამეტ ასურელ მამათაგანისა.**



***რით დასრულდება სამი ომი — უკრაინაში, ახლო აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში? რა ბედი ეწევა საქართველოს? შეძლებს თუ არა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას?***



**არნო ხიდირბეგიშვილი**

# ამერიკას სურდა, საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტი“ გაეხსნა და თავად გამოჰკრა ხელი „მეორე ფრონტს“ ისრაელში!

საქართველოში ებრაელები ყოველთვის დამსახურებულად ითვლებოდნენ ყველაზე **ჭკვიან ერად**, ისინი მშვიდობიანად ხარობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობენ და მხოლოდ აღთქმულ მიწაზე, სადაც ჯვარს აცვეს მაცხოვარი, ომობენ (**„ისრაელი“** ივრითზე ნიშნავს **„ღმერთთან მეომარს)**.

**ამერიკამ მოახერხა ჭკვიანი ებრაელების მოტყუება, რათა გამოეყენებინა ისრაელი როგორც პლაცდარმი ნავთობით მდიდარ აღმოსავლეთში, გამოეყენებინა ისრაელის არმია ურჩი სახელმწიფოების, განსაკუთრებით — რუსეთის მოკავშირე სირიისა და ირანის წინააღმდეგ.** ამერიკამ ასევე მოახერხა **ქართველების მოტყუება,** რათა მისი გეოსტრატეგიული მდებარეობა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ პლაცდარმად გამოეყენებინა. **ზუსტად ასევე ამერიკამ მოახერხა სომხების მოტყუებაც, რათა საქართველოს მსგავსად გაეძევებინა რუსული სამხედრო ბაზები** და გამოეყენებინა სომხეთის ტერიტორია პლაცდარმად ირანის წინააღმდეგ. **ამერიკამ იოლად მოატყუა უკრაინელებიც — მისცა იარაღი და რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა.** მაგრამ რაკიღა შეერთებულმა შტატებმა შექმნა ასოცირებული ტრიო **„უკრაინა-მოლდოვა-საქართველო“,** ომი გათვალისწინებულია **მოლდოვაშიც** და **საქართველოშიც.** მოლდოველების მოტყუება რთული არ გახლდათ, მაგრამ ქართველებთან ეს მცდელობა უკვე მეორედ ჩაეშალათ.

ასე რომ, **ებრაელთა ჭკუის მიუხედავად, მათი მოტყუებაც მოხერხდა უნიფიცირებული ფორმულით „იპოვე მოღალატე“.** დიახ, ისრაელში ამერიკამ იპოვა **ნეთანიაჰუ** — ჭკვიან ებრაელებს პრემიერ-მინისტრად კორუმპირებული ჩინოვნიკი ჰყავთ, რომელიც რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს; საქართველოში იპოვეს **სააკაშვილი,** სომხეთში — **ფაშინიანი,** უკრაინაში — **ზელენსკი,** მოლდოვაში — **სანდუ.**

საქართველოს ახალ ხელისუფლებაში ამერიკამ ვერ იპოვა **სამშობლოს გასაყიდად მზადმყოფი მოღალატე,** ამიტომ ის შეეცდება ხელისუფლების შეცვლას ოპოზიციით, რომელიც მთლიანად მოღალატეებისა და მარიონეტებისგან შედგება.

რადიკალურმა ოპოზიციამ არაერთხელ სცადა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების განხორციელება, მაგრამ ამაოდ — ელექტორატი მცირეა და პასიური, ლიდერები — დისკრედიტებული და არაადეკვატური, **ქართველ ხალხს კი სურს რუსეთთან მეგობრობა და გულზე არ ეხატება ევროკავშირი, ნატო თუ აშშ!** დღეს მოღალატე ოპოზიციამ დაიწყო პროვოკაციული ჭორების გავრცელება — თითქოსდა **„ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი, მის მიერვე უწინ შექმნილი პრორუსული „ქართული ოცნების“ საპირწონედ, ქმნის „მესამე ძალას“ — პროევროპულს პრეზიდენტ ზურაბიშვილისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის გახარიას ხელმძღვანელობით“.** მტკიცებულებად დასახელებულია ის ფაქტი, რომ **უზრდელი სალომე** მილიარდერს ერთი სიტყვითაც არ შეხებია.

**ზურაბიშვილის** ტანდემი **გახარიასთან** შეიძლება შედგეს თუნდაც იმიტომ, რომ **არაპოპულარულ ზურაბიშვილს** არ გააჩნია საკუთარი პარტია და **რადიკალური ოპოზიციის ლიდერშიპში საგზურად შესაძლოა, სააკაშვილის შეწყალება გამოადგეს,** ხოლო, როცა ეს **„ხეროი“** გათავისუფლდება, პოლიტიკურ ბრძოლას საქართველოში „მეორე სუნთქვა“ გაეხსნება! ამდენად, თუ მოღალატეები მოახერხებენ თუნდაც კოალიციური მთავრობის შექმნას, მისი პირველი საპროგრამო დოკუმენტი იქნება **„დეკრეტი რუსეთისათვის ომის გამოცხადების შესახებ“.**

სომხეთში ომი არ იქნება — **ყარაბაღის ჩაბარების შემდეგ ფაშინიანმა ხელი მოაწერა სიუნიქის ოლქის დათმობასაც, სადაც ზანგეზურის დერეფანი გაივლის. დიახ, სომხეთი დღეს 2008 წლის საქართველოა!**



**„არათუ რიგითი ჯარისკაცები, თვით პენტაგონის უმაღლესი ჩინოსანნიც კი შიშით ადევნებენ თვალს ამერიკის დემენციით შეპყრობილ უმაღლეს მთავარსარდალს, რათა მორიგი წაბორძიკების შემთხვევაში ხელიდან არ გაუვარდეს ბირთვული ჩემოდანი!“**

ომები უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში ჩაქრება, როცა ამერიკული იარაღისა და ფულის მიწოდება შეწყდება ან როცა რუსეთი სერიოზულ სარაკეტო დარტყმებს განახორციელებს. **ამერიკა შეწყვეტს შეიარაღებისა და ფინანსური დახმარების მიწოდებას, როდესაც ამერიკელი ხალხი ქუჩაში გამოვა — როგორც მაშინ, პოლიციელის მიერ გაგუდული აფროამერიკელის გამო.** ისიც გავიხსენოთ, რომ **დონალდ ტრამპი** აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი გახდა მთელი მსოფლიოდან ამერიკელი ჯარისკაცების გაყვანისა და აშშ-ის ბიუჯეტის დაზოგვის ლოზუნგით, ასევე რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების დაპირებით. **საპროტესტო მიტინგები აშშ-სა და საფრანგეთში, ესპანეთსა და საბერძნეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში მთავრობებს აიძულებს კაპიტულაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასავლეთს ტერაქტების ტალღა წალეკავს!** 4 ათასი ამერიკელი საზღვაო ქვეითი და 5 ავიამზიდი, საუკეთესო შემთხვევაში, უკან დაიხევენ ერთი გასროლის გარეშე. **ისრაელი კი იძულებული იქნება, აღიაროს პალესტინის სახელმწიფო თავისი დედაქალაქით აღმოსავლეთ იერუსალიმში,** რომლის ქრისტიანული სალოცავები ეკუთვნის არა

## კვირგვინოსნები

**ბენიამინ ნეთანიაჰუ**
*ისრაელის პრემიერ-მინისტრი*



**ჩვენ ვაპირებთ გამარჯვებას მთელი ძალით.**

„პირველი არხი“

**ჯეიმს კლევერლი**
*დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



წარმოუდგენლად რთული გარემოებების მიუხედავად, **მე ისრაელის სამხედროებს მოვუწოდე დისციპლინის, პროფესიონალიზმისა და თავშეკავებისკენ.**

„პირველი არხი“

**ლაშა ჟვანია**
*საქართველოს ელჩი ისრაელში*



**კავშირზე ვართ ჩვენს მოქალაქეებთან,** რომლებიც რეგისტრირებული არიან საელჩოში და ტელეფონის ნომრები გვაქვს. **პრაქტიკულად, ყველა მათგანი ჩვენი კონტროლის ქვეშაა.** დაგვიდასტურეს, რომ ნაწილი, რომლებიც ბინებში ცხოვრობენ და უვლიან მოხუცს ან ოჯახებში მუშაობენ, მათ შესაძლებლობა აქვთ, თავშესაფარი ჰქონდეთ. **ნაწილი, რომელთა ოჯახის წევრების ევაკუაცია განხორციელდება, ისინიც გაჰყვებიან ოჯახის წევრებს.** ღაზის სექტორის გარშემო შვიდკილომეტრიანი ზოლი მთლიანად ევაკუირებულია და ჩვენ ამ შვიდკილომეტრიან ზოლში **საქართველოს მოქალაქეები** დღეისათვის არ გვყავს.

„პირველი არხი

**ირაკლი გოგავა**
*ანალიტიკოსი*



ამ ეტაპზე **ჩვენთვის არცერთი ბანაკის წევრობა არ შეიძლება,** რომელიმე ბანაკში თუ აღმოვჩნდებით, მოწინააღმდეგე მხარე დაგვჩაგრავს, ასე რომ, **გონივრულ პოლიტიკას ალტერნატივა არ აქვს.** „პირველი არხი“

**ოლაფ შოლცი**
*გერმანიის კანცლერი*



ღრმად ვარ აღშფოთებული 7 ოქტომბრის შემდეგ **მთელ მსოფლიოში** და, სამწუხაროდ, **გერმანიაშიც** ანტისემიტური აგიტაციის გამო.

„პირველი არხი“

ისრაელსა და პალესტინას, არამედ მთელი მსოფლიოს მორწმუნეებს.

**დღეს ყველაზე ჭკვიანები ებრაელები კი არა, ნატოს წევრი თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანია, რომელიც მიემხრო ერთმორწმუნეებს და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ალიევი, რომელმაც გამოიყენა თურქეთის, ანუ ნატოს პოტენციალი და გამოავლინა შესაშური დიპლომატია რუსეთთან, რის შედეგადაც აზერბაიჯანმა აღიდგინა ტერიტორიული მთლიანობა და სარგებლობაში მიიღებს სომხეთის ტერიტორიის ნაწილსაც.**

ვინღა დარჩა? როგორც ჩანს, სულელებში პირველობას არავის უთმობს **პრეზიდენტი ბაიდენი,** რომელიც დღითიდღე ზრდის რუსეთისა და პუტინის ავტორიტეტს იმ აღმოსავლეთში, რომლის დათრგუნვაც განუზრახავს.

სულელებში ისინიც გადიან, **ვინც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია აკრძალა, რომლის მრევლსაც ქვეყნის მორწმუნეთა უმეტესობა შეადგენს;** უფრო მეტიც, ვინც აპირებს, **კიევ-პეჩორის ლავრის** სიწმინდენი ევროპის მუზეუმებში მიმოფანტოს! აკი, ეკლესიებში უკვე დაიწყო რბევა და ანგარიშსწორება ღვთისმსახურთა წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ

ბერ-მონაზვნით, 18 სასულიერო სასწავლებლით, 12 551 ღვთისმსახურითა და 114 ეპისკოპოსით. ამის შემდეგ როგორ გინდა ირწმუნო, რომ უკრაინაში ფაშიზმი არ აღორძინებულა? არადა, **ნაცისტურ-ტერორისტული „კიევის სახელმწიფოს“** რღვევა გარდუვალია, თუ უკრაინელები ოდნავ მაინც შეაშველებენ ხელს საკუთარ თავს და ქვეყნიდან გაქცევის ნაცვლად **(ბოლო ხანებში 43-მილიონიანი უკრაინა 20 მილიონმა მცხოვრებმა დატოვა),** თუნდაც წინააღმდეგობის პარტიზანულ მოძრაობას დაიწყებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, **არ არის გამორიცხული, რუსეთმა სულ სხვა ტიპის რაკეტები აამოქმედოს და გადავიდეს ისრაელის მსგავს ტაქტიკაზე, რაც სარაკეტო დარტყმებით ტერიტორიის სრულ გაწმენდას ნიშნავს სახმელეთო ოპერაციების დასაწყებად.** ამას რუსეთს სწორედ ის **შეერთებული შტატები** აიძულებს, რომელიც უკრაინას უკვე 300 კილომეტრის სიშორის ბალისტიკურ რაკეტებს აწვდის „ATACMS“-ის ოჯახიდან.

**დროსა და სივრცეში დაკარგული ბებრუცუნა ბაიდენი** დღეს ისტორიის ყველაზე საზარელი ჩიხისაკენ მიაქანებს ამერიკას — ერთდროულად ერკინება რუსეთსა და აღმოსავლეთს



გუსტავ დორე. „ანგელოზთან მებრძოლი იაკობი“. 1855

## მოკავშირე 31 ქვეყანას?

მაგრამ საქმე არამხოლოდ ამერიკაშია — **ვინ აღმოჩნდება ის გონიერი არსება, რომელიც არც უკრაინის უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას დაჰყვება და ქვეყნის გადარჩენილ ნაწილს მაინც იხსნის ზელენსკის სიგიჟეებისაგან?** ან ვინ იქნება ის პირი, ვინც უმაღლეს მთავარსარდალ **ნეთანიაჰუს** ბრძანებას უკუაგდებს და გადაარჩენს ისრაელს, თუკი ომში ირანი და პალესტინის სხვა მომხრეებიც ჩაერთვებიან?

ერთი რამ კი ამთავითვე ცხადია:

**საქართველოში არავინ შეასრულებს უმაღლეს მთავარსარდლად წოდებული სალომე ზურაბიშვილის აკვიატებულ მოწოდებებს რუსეთის არმიაზე თავდასხმის მოთხოვნით და სხვა უაზრო გათვლებით.** აი, რატომ ესწრაფოდა ამერიკის შეერთებული შტატები **რუსეთისათვის საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნის ბოროტ იდეას,** რის სანაცვლოდაც თავად მიიღო **„მეორე ფრონტი“** ისრაელში! და კიდევ იმიტომ, რომ საქართველოში მათ არ მიეცათ საშუალება, უკრაინის მსგავსად, დაეწიხლათ მართლმადიდებელი ეკლესია, რასაც უკვე 20 წელია, ცდილობენ საქართველოს მოღალატენი — **რადიკალური ოპოზიციის, სამოქალაქო სექტორისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციათა ლიბერალ-თახსირნი!**

# მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დახურვის შემდეგ როგორ გინდა ირწმუნო, რომ უკრაინაში ფაშიზმი არ აღორძინებულა?

**კანონპროექტი რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დაკავშირებული რელიგიური ორგანიზაციების აკრძალვის შესახებ** რადას დეპუტატებმა ჯერ მხოლოდ პირველი მოსმენით მიიღეს.

**სტატისტიკა ჯიუტია:** მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია 53 ეპარქიას აერთიანებს — 262 მონასტრით, 4620

**(მიუხედავად გამარჯვების სრული უპერსპექტივობისა).** უფრო მეტიც, **უაზრო ომებითა და უნიჭო სამხედრო მეთაურთა ქმედებებით დემორალიზებული ამერიკული არმია დღეს არნახულად სუსტია და არათუ რიგითი ჯარისკაცები, თვით პენტაგონის უმაღლესი ჩინოსანნიც კი შიშით ადევნებენ თვალს ამერიკის დემენციით შეპყრობილ უმაღლეს მთავარსარდალს,** რათა მორიგი წაბორძიკების შემთხვევაში ხელიდან არ გაუვარდეს ბირთვული ჩემოდანი!

**მოიპოვებიან კი ისეთები, ვინც არ შეასრულებს ბაიდენის აკვიატებულ ბრძანებებს და გადაარჩენენ ამერიკას, რომელიც წარუმატებლობის შემთხვევაში, საბედისწერო უფსკრულისაკენ გაიყოლებს ნატოს**











„ისრაელში ამერიკამ იპოვა **ნეთანიაჰუ** — ჭკვიან ებრაელებს პრემიერ-მინისტრად კორუმპირებული ჩინოვნიკი ჰყავთ, რომელიც რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს; საქართველოში იპოვეს **სააკაშვილი,** სომხეთში — **ფაშინიანი,** უკრაინაში — **ზელენსკი,** მოლდოვაში — **სანდუ**!“

## კვირგვინოსნები

**ვლადიმირ პუტინი**
*რუსეთის პრეზიდენტი*



საქართველოსთან ყველაფერი დაიწყო **საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ,** შიდა პრობლემები ძალის გამოყენებით და სამხრეთ ოსეთზე თავდასხმებით მოეგვარებინა.

„ინტერპრესნიუსი“

**დიმიტრი მედვედევი**
*რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*



ნატოს ქვეყნებში **იდიოტების რიცხვი იზრდება...** ეს იდიოტები აქტიურად გვიბიძგებენ **მესამე მსოფლიო ომისკენ.**

„რეზონანსი“

**დევი ჭანკოტაძე**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, პარლამენტარი*



როგორც კი **ოკუპანტის სამხედრო ხომალდი ოჩამჩირეში შევა,** ჩათვალეთ, ომში ვართ გაბმული — **სიტუაცია ძალიან მძიმეა, არავის ვაშინებ, მაგრამ ომის წინ ვდგავართ!**

„ამბები. გე“

**მრეტა ნინევა**
*პარლამენტარი*



**სერგი კაპანაძე** ევროკავშირს მგზნებარედ მოუწოდებს, რომ **კანდიდატის სტატუსის წინაპირობად სააკაშვილის პრობლემის გადაწყვეტა დააყენონ** — ეს არის ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ.

„იმედინიუსი“

**მალხაზ დოლიძე**
*საქართველოს პურის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე*



როდესაც სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა, დაისვა კითხვა — **რა ნიშნულამდე შეგვეძლო პურზე ფასის დაჭერა** და ჩვენ, კალკულაციიდან გამომდინარე, **52 ლარი დავუსახელეთ ერთი ტომარა ფქვილზე.** თუ ღირებულება ამ მაჩვენებელს ასცდება, მაშინ ცვლილებაზე დავფიქრდებით.

„რეზონანსი“




# შევარდნაძის საიდუმლო

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო! ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ორი ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი! ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება!***

ამიტომ „ასავალ-დასავალი“ იწყებს პუბლიკაციათა სერიას ედუარდ შევარდნაძის მემუარების — **„ფიქრები წარსულსა და მომავალზე“** — განსახილველად და გასაანალიზებლად!

**თუ საფუძვლიანად გავიაზრებთ, რა მოხდა გუშინ, ვინძლო, ისიც გავიგოთ, რა ხდება დღეს და რა გველის ხვალ...**

შევარდნაძის მემუარები მართლაც უსაინტერესოესი მასალა რომ არის საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის გასაანალიზებლად და შესაბამისი დასკვნების გამოსატანად, ამას წიგნის შესავალ სიტყვაში თავად შევარდნაძის ვაჟიშვილი **პაატაც** ხაზგასმით აღნიშნავს: **ეს მეტად მნიშვნელოვანი წიგნია, რადგან მისი გათვალისწინების გარეშე საბჭოთა კავშირის ბოლოო პერიოდისა და მე-20 საუკუნის ისტორიის აღქმა ამომწურავი არ იქნება, ვერ აღდგება მოვლენათა ჭეშმარიტი არსიო!**

ედუარდ შევარდნაძე თავის მემუარებში წინათქმის შესავალ სიტყვაშიც ამბობს, რომ მემუარების დაწერა 2003 წლის „ვარდების რევოლუციისას“ მისი ცნობილი გადადგომის შემდეგ დაიწყო, რათა შეეფასებინა წარსული და მომავალი თაობებისთვის გაეკვალა გზა!

რა თქმა უნდა, ეს ბანალური სიტყვებია, რადგან, როგორც ყველასთვის ცნობილია, მემუარებს იმისთვის წერენ, რომ ისტორიაში მათთვის სასურველი სიმართლით მოხვდნენ და შევარდნაძე წინააღმდეგობრივი ფიგურა რომ იყო და მის ხანგრძლივ პოლიტიკურ კარიერას უამრავი შუქ-ჩრდილი რომ ახლდა, ამას თვითონაც აღიარებს:

> ***„ჩემი ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში ის, რაც თქვენი ყურადღების ღირსად მივიჩნიე, აქ არის. შეგიძლიათ თავისუფლად განმსაჯოთ — შეუბრალებლად, უკომპრომისოდ.*** *თუმცა, ჩემზე მკაცრად მაინც ვერავინ განმსჯის.* ***ვიცი, მქონდა შეცდომები; ვიცი, ზოგთან არ ვიყავი მართალი; ვიცი, ბევრსაც გული ვატკინე და თუ შეძლებენ, იქნებ მომიტევონ... მეც დავივიწყე ყოველი წყენა, არც ბოღმა მიმყვება ვინმესი და არც არავისი შემშურებია, თუნდაც იმიტომ, რომ შემეძლო, დასახული მიზნებისთვის თავად მიმეღწია. ყოველთვის ვცდილობდი, ღვთისგან ბოძებული ნიჭი და უნარი სრულად გამომევლინა და მეკეთებინა ის, რაც შემეძლო და რისთვისაც მოვედი ამქვეყნად. ვფიქრობ, ბევრი რამ კარგიც მიკეთებია და არამხოლოდ საქართველოსთვის“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრები წარსულსა და მომავალზე“, გვ.16).*

შევარდნაძე რომ ძალიან წინააღმდეგობრივი ისტორიული ფიგურაა, ამ ციტატიდანაც კარგად ჩანს: ის კი ამბობს, ყველა წყენა დავივიწყეო, მაგრამ მემუარებში არაერთხელ შევხვდებით მის ღია გულისტკივილს, თუნდაც მისი აღზრდილი „რეფორმატორების“ მიმართ, სახელმწიფო გადატრიალება რომ მოუწყვეს!

აკი, შევარდნაძის მემუარებიც სწორედ იმ „ვარდების რევოლუციის“ შეფასებით იწყება, საქართველოს და თავად მემუარისტის მომავალი ბედიც რომ განსაზღვრა!

მაშ, ასე: შევარდნაძის მემუარები იწყება ერთობ დამაინტრიგებელი სათაურის მქონე ქვეთავით — **„საბოლოო გადადგომა. ნოემბერი 2003“,** სადაც მემუარისტი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს უახლესი ისტორიის იმ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, საბოლოო გადადგომამდე, ანუ „ვარდების რევოლუციამდე“ რომ მიიყვანა!

ეს ქვეთავი იწყება რეფრენით — შევარდნაძის ისტორიული პასუხით ჟურნალისტის ცნობილ კითხვაზე, საქართველოს პრეზიდენტის რანგში უკანასკნელი რომ იყო:

> ***„ბატონო პრეზიდენტო, ახლა სად მიდიხართ?***
> ***— სახლში...“*** *(იქვე, გვ. 18).*

რა თქმა უნდა, ეს უბრალო სენტიმენტი არ არის, რეფრენად რომ დაურთავ მემუარებს — **ეს სწორედ ის წყენაა, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით!**

დიახ, შევარდნაძეს ეს **ერთსიტყვიანი ისტორიული პასუხი** მაშინ ბევრ რამეს გამოხატავდა: წყენასაც, ტკივილსაც, დაუფასებლობის ხაზგასმასაც, გაღიზიანებასაც და, თუ გნებავთ, ნიშნის მოგებასაც, მე კი გამიშვით სახლში, მაგრამ ახლა საკუთარ ტყავზე იწვნევთ, რასაც ჩემი სახლში გაშვებისა და „ჩამოწერის“ გამო მოიმკითო!

**შემდეგ შევარდნაძე ასე აგრძელებს თხრობას:**

> ***„ისე მოხდა, რომ საქართველოს პირველ პირად საკმაოდ დიდხანს მომიწია ყოფნა — 1972 წლიდან 2003 წლამდე, იმ შვიდი წლის გამოკლებით, როდესაც მოსკოვში გადავედი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად.*** *ამ წლების განმავლობაში რამდენჯერმე მომიხდა საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებათა გადაფასება. შესაბამისად იცვლებოდა საზოგადოებრივი სტერეოტიპებიც ჩემი პოლიტიკური ფიგურის მიმართ.* ***მიუხედავად ამისა, მუდამ ვცდილობდი და, თითქოს, ვახერხებდი კიდეც, საერთო ენა გამომენახა ჩემს ხალხთან. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვი ჩემი მმართველობის ბოლო პერიოდზე, როცა მე, როგორც პოლიტიკოსმა, გაუცხოება ვიგრძენი ჩემსა და საზოგადოების ერთ ნაწილს შორის. სწორედ ამ პერიოდში გამძაფრდა და გამოაშკარავდა დაპირისპირება პოლიტიკოსთა იმ ნაწილთან, რომელმაც ჩემივე ხელშეწყობით დაიმკვიდრა ადგილი ხელისუფლებაში“*** *(იქვე, გვ. 18).*

როგორც ხედავთ, **შევარდნაძე ისევ ძალლის ნაკბენივით იხსენებს მის გამოზრდილ პოლიტიკოსთა ნამოქმედარს,** „უძღები შვილებივით“ რომ მოექცნენ „პოლიტიკურ მამას“!

და ეს ძალიან ბუნებრივია და არც არის გასაკვირი: შევარდნაძე ხომ მთელი თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში იყო ჩართული და კაცს, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა, რომ მთელი მსოფლიო შეცვალა და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი იყო, ვერანაირად ვერ მოინელებდა ასე ადვილად **„სახლში, პენსიაზე გაშვებას!“**

თან იმათგან, ვისაც თავად გაუკვალა გზა ხელისუფლებისკენ!

შემდეგ შევარდნაძე იხსენებს, როგორ ამოიყვანა ჭაობიდან საქართველო თავისი **„მეორედ მოსვლის“ შემდეგ:**

> ***„როდესაც 1992 წელს სამშობლოში დავბრუნდი, საქართველო სრულ იზოლაციაში იყო, იმ დროისთვის მხოლოდ უკრაინამ აღიარა იგი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ქვეყანა ქაოსში იყო ჩაფლული, ეკონომიკა დანგრეული; მძვინვარებდა სამოქალაქო ომი, „საძმოთა“ თარეში, ძარცვა და განუკითხაობა. ავად თუ კარგად, საქართველო გამოვიყვანე ამ მდგომარეობიდან, მაგრამ გავიდა დრო და ხალხისთვის ყოველივე ეს ნაკლებად საინტერესო გახდა. ეს არც არის გასაკვირი: კოლექტიურ მეხსიერებას თან სდევს დავიწყების ელემენტები“*** *(იქვე, გვ. 18).*

ისევ აშკარა წყენა ქართველი ხალხის მიმართ: **დაავიწყდათ საიდან, როგორი ჭაობიდან ამოვათრიეო!**

რა თქმა უნდა, ეჭვგარეშეა და ძალიან მიკერძოებული უნდა იყო, ობიექტურად არ აღიარო, რომ შევარდნაძემ მართლაც უდიდესი ძალისხმევით შეძლო საქართველოს მეტ-ნაკლები, ელემენტარული სახელმწიფოებრიობის შეკოწიწება, მაგრამ...

ჯერ ერთი, **მემუარისტი შეგნებულად ცრუობს, მე რომ ნაპუტჩარ საქართველოში დავბრუნდი, საქართველო მხოლოდ უკრაინას ჰყავდა ნაღიარებიო!**

**1992 წლის 6 იანვრისთვის, როდესაც პრეზიდენტმა გამსახურდიამ დატოვა სამშობლო, საქართველო 30-მდე სახელმწიფოს ჰყავდა ნაღიარები დამოუკიდებელ სახელმწიფოდ: მაგალითად, შეერთებულმა შტატებმა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ 1991 წლის 26 დეკემბერს ცნო, თბილისის ცენტრში პუტჩი რომ მძვინვარებდა და პრეზიდენტის სასახლეს რუსთაველის გამზირზე გამოგორებული „ჰაუბიცებიდან“ ჭურვებს ესროდნენ პირდაპირი დამიზნებით!**

მეორეც, ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ **პრეზიდენტ გამსახურდიას** უდიდესი ძალისხმევით, საბჭოთა კავშირის მიერ სრულ ფინანსურ-ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცეული საქართველოს 1991 წლის ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა და არავითარი ეკონომიკური კრიზისი საქართველოში არ იყო!

დაბოლოს, **ყველა ის უბედურება, რაც საქართველოს სისხლი-**




ედუარდ შევარდნაძე და ნუგზარ საჯაია

## ნუგზარ საჯაიას ლიკვიდაციის სპეც-ოპერაცია შევარდნაძის დასამხობად!



# 1992 წლის 7 მარტს მოსკოვიდან თბილისის აეროპორტში ჩამოფრენილმა შევარდნაძემ, გენერალ ეპიტაშვილთან ხელკავით რომ იდგა, პირდაპირ თქვა ტელეკამერების წინაშე: დიდი მადლობა ქართველ ინტელიგენციას, იარაღი რომ აიღო ხელში დიქტატურის წინააღმდეგო!

**ანმა სამხედრო გადატრიალებამ დამართა, რბილად რომ ითქვას, ძალიან მიამიტი უნდა იყო, თავად შევარდნაძის დიდი მონაწილეობის გარეშე წარმოიდგინო!**

აკი, **1992 წლის 7 მარტს** მოსკოვიდან თბილისის აეროპორტში ჩამოფრენილმა შევარდნაძემ, **გენერალ ეპიტაშვილთან** ხელკავით რომ იდგა, პირდაპირ თქვა ტელეკამერების წინაშე: **დიდი მადლობა ქართველ ინტელიგენციას, იარაღი რომ აიღო ხელში დიქტატურის წინააღმდეგო.**

ეს სწორედ იმ ინტელიგენციაზეა საუბარი, მოსკოვში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გადამდგარ შევარდნაძეს ხშირ-ხშირად რომ სტუმრობდა.

**ამის შემდეგ შევარდნაძე უშუალოდ „ვარდების რევოლუციის“ შეფასებაზე გადადის:**

> ***„ნოემბრის მოვლენებს წინ უძღოდა ოპოზიციის მიერ კარგად დაგეგმილ მოქმედებათა მთელი რიგი. სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო აპარატი არ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე. მეტიც, ჩემი ნდობით აღჭურვილი მაღალი რანგის ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე მზად იყო, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ოპოზიციასთან გარიგებაზე წასულიყო, რაც შემდგომში გაცხადდა კიდეც.***
>
> ***მოკლედ, თამაშდებოდა „იუგოსლავიური სცენარი“ სპეციფიკური ქართული ელემენტებით, შესაბამისი რეჟისურით და ინსპირირებით“*** *(იქვე, გვ. 18).*

ანუ შევარდნაძე ღიად აღიარებს, რომ **სააკაშვილ-ჟვანიასთან** გარიგებულმა მისი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა გაყიდეს!

შევარდნაძე ასევე პირდაპირ ამბობს, რომ „ვარდების რევოლუციაში“ **რუსული რეაქციული ძალები** იყვნენ ჩართულები:

> ***„ოპოზიციის სამზადისი საკმაოდ ღრმა და საფუძვლიანი გახლდათ. ასევე ნუ დავივიწყებთ ზოგიერთ რუსულ და ამერიკულ ორგანიზაციას, რომლებიც საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართული ამ პროცესებში. რუსეთის რეაქციულ წრეებში ბევრს ეამებოდა ჩემი პოლიტიკური მარცხი, რადგან შევარდნაძე მათთვის გაიგივებული იყო საბჭოთა კავშირის „ვერაგ“ დამანგრეველთა ჯგუფთან და კიდევ მრავალ სხვა „უბედურებასთან“, „დერჟავას“ რომ დაატყდა თავს“*** *(იქვე, გვ. 19).*

რა თქმა უნდა, შევარდნაძე იქვე ახსენებს **სოროსის ფონდსაც,** თუმცა, კატეგორიულად უარყოფს, რომ „ვარდების რევოლუციაში“ ამერიკის იმდროინდელი პრეზიდენტი **ჯორჯ ბუშის** მთავრობა იყო ჩართული — **სოროსი თავად ბუშსაც ებრძოდაო!**

და შევარდნაძე აკეთებს ერთ სენსაციურ აღიარებას, რამაც, მისი აზრით, განაპირობა კიდეც „ვარდების რევოლუცია“:

> ***„ახლა, როდესაც უკან ვიყურები და ვფიქრობ იმ ფაქტორებზე, რომლებმაც შესაძლებელი გახადა 2003 წლის ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალება, მახსენდება უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია — ბრწყინვალე პიროვნება, საქმის შესანიშნავი მცოდნე, პროფესიონალი, ჩემი თანამოაზრე და მეგობარი, უაღრესად პატიოსანი და უღალატო კაცი, რომელიც წარმატებით კურირებდა ძალოვან სტრუქტურებს... მაგრამ 2002 წლის გაზაფხულზე მან თავი მოიკლა. დარწმუნებული ვარ, ის შეგნებულად მიიყვანეს აქამდე და ამაში ძალიან სერიოზული ძალები იყვნენ ჩართულები — არ გამოვრიცხავ გარეშე ძალასაც. ასეა თუ ისე, დღევანდელი გადასახედიდან, სრულიად აშკარაა, რომ ნუგზარ საჯაიას წასვლის შემდეგ თანდათანობით ვკარგავდი კონტროლს ჩემივე უახლოეს გარემოცვაზე და ჩემ ირგვლივ მეთოდურმა დეზინფორმაციამ იმძლავრა, რამაც 2003 წლის ნოემბრისთვის პიკს მიაღწია“*** *(იქვე, გვ. 22).*

მოკლედ, შევარდნაძე პირდაპირ ამბობს, რომ მისი ხელისუფლების უშიშროების საბჭოს მდივნის ლიკვიდაციისთვის უსერიოზულესი სპეცოპერაცია ჩატარდა და ეს იყო მომავალი სახელმწიფო გადატრიალების მოსამზადებელი პრელუდია!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***



***2023 წლის 17 ოქტომბერს თელ-ავივში, ბენ-გურიონის სახელობის აეროპორტში, საქართველოს უახლესი ისტორიის 15 წლის წინანდელი ტრაგიკომიკური ფაქტი განმეორდა!***




გერმანიის კანცლერი **ოლაფ შოლცი,** რომელიც იმ დღეს ისრაელის პრემიერ-მინისტრ **ბენიამინ ნეთანიაჰუს** შეხვდა, ის-ის იყო ბერლინში გასამგზავრებლად დაცვასთან და დელეგაციის წევრებთან ერთად სამთავრობო თვითმფრინავში ავიდა, როცა მოულოდნელად „ჰამასმა“ ღაზის სექტორიდან რაკეტები გამოისროლა, რის გამოც ებრაელთა „რკინის გუმბათის“ სირენები ჩაირთო და აეროპორტში რია-რია ატყდა.

**ჰერ ოლაფი** უსაფრთხოების სამსახურმა თვითმფრინავიდან სასწრაფოდ ალაფივით ჩამოიღო და ისრაელის ცხელ ასფალტზე დააწვინა. **კანცლერს გვერდით მიუწვნენ თარჯიმნები, კლერკები, ხელქვეითები და დელეგაციის შემადგენლობაში მყოფი დანარჩენი „პარტაიგენოსები“...** ამის შემდეგ, **შოლცი** თავის მანქანიანად აეროპორტის ბუნკერში გადაიყვანეს, სადაც კარგა ხანს დააყოვნეს და როდესაც სირენების ხმა შეწყდა, გერმანიისკენ გამოაფრინეს!

ბუნებრივია, ამ ყველაფერმა გაგვახსენა ავადსახსენებელი **2008 წლის აგვისტოს ომი,** როცა ამერიკელების დავალებით, **გარყვნილმა სააკაშვილმა და მისმა კრიმინალურმა ბანდამ** ცხინვალში ომი გააჩაღა და ქვეყანა უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა. საქვეყნოდ ცნობილია, რომ მაშინ, 10 აგვისტოს, სააკაშვილი გაძლიერებული დაცვის, ნაზირ-ვეზირების, უცხოელი ჟურნალისტების, პორნომსახიობებისა და ხარჭების თანხლებით გორში ჩავიდა.

დიდი სტალინის პატარა გორში, რომელიც მთელმა მსოფლიომ კაცობრიობის უდიდეს ომში სწორედ ბელადის ტრიუმფალური გამარჯვების წყალობით გაიცნო, იმ დღეს შესანიშნავი დარი იდგა, მაგრამ ხელისუფლებას მშვიდობიანი ქართველობისთვის განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდა — სააკაშვილის მინისტრები, ხარჭები, ზონდერები თუ ცოლები ერთმანეთს წითელ ხიდზე ჯორებივით ახტებოდნენ; ნაძირალა **კახა ლომაია, ერეკლე კოდუა** და გენერალი **ბორისოვი** მცხეთის ბუნგალოებში ქეიფობდნენ, ხოლო ე.წ. „გენერალ“ **გიგი კალანდაძეს** 23 ქართული ტანკი საწვავით სავსე ავზებითა და სპეცტექნიკით ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჰქონდა ჩაბარებული რუსებისათვის. უფრო მეტიც, რუსების, ოსებისა და აფსუების დროშები უკვე ფრიალებდა სააკაშვილის მიერ სახელდებულ „ზემო აფხაზეთსა“ და ქსნის ხეობაში — ახალგორის რაიონში, რომლებიც გასროლის გარეშე ჩააბარეს და როგორც ერთი, ისე მეორე კუთხიდან სამარცხვინოდ გამოიქცნენ!

აი, ამ ფონზე,

## 2008 წლის 10 აგვისტოს, მთელმა მსოფლიომ ნახა ჩასვრილი და გორში მინაზე მფორთხავი

## სააკაშვილი, რომელსაც დაცვა თავზე დაახტა და გადაეფარა...

ეს მართლაცდა მძორი ამის შემდეგ ციმციმ ჩააგდეს შავი ფერის „ჰამერში“ და იქაურობას მოაშორეს... ხოლო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ბერნარ კუშნერი** ვაჟკაცურად ადგილზე დარჩა და მერე გორში სტალინის სახლ-მუზეუმიც დაათვალიერა. უცხოელი ჟურნალისტების შეკითხვას — **„თქვენ არ შეგეშინდათ?“** — ფრანგმა სტუმარმა ღირსეული პასუხი გასცა — **„მე აქ საფრანგეთს წარმოვადგენ!“**

**კუშნერის** ეს სიტყვები საოცარ გენეტიკურ ნათესაობას ამჟღავნებს **ნაპოლეონის** ცნობილ ფრაზასთან — **„შეხედეთ, როგორ იღუპებიან საფრანგეთის მარშლები!“**

აწ განსვენებული **თამაზ წივწივაძის** შეფასებით, **2008 წლის 10 აგვისტოს სააკაშვილი რუსის თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე კი არ შეშინდა, არამედ რუსების თვითმფრინავის საქართველოდან გატყუებას შეეცადა და იმიტომ გაიქცა...**

**ოლაფ შოლცზე** ვერ ვიტყვით, რომ სააკაშვილის მსგავსად შეშინდა და სამთელქვეყნოდ თავი მოიჭრა. ფაქტია, რომ გერმანიის კანცლერი, რომელიც უკვე თვითმფრინავში იჯდა, უსაფრთხოების სამსახურმა ძირს ჩამოიყვანა, ასფალტზე დააწვინა და მერე აეროპორტის ბუნკერში გადაიყვანა, სადაც კარგა ხანს დააყოვნეს...

მთელი ამ ისტორიის ტრაგიკომედია იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე ევროპის თითქმის ყველა ლიდერი სააკაშვილია. დიახ, როგორც სააკაშვილი „ჩაგვიდეს“, ამერიკელებმა ისე „ჩაუდეს“ ფრანგებს **მაკრონი,** გერმანელებს — **შოლცი,** უკრაინელებს — **ზელენსკი,** ხოლო ბრიტანელებს — **რიში სუნაკი...** არცერთი ეს ლიდერი თავის ქვეყანას არ მართავს... ევროპას სინამდვილეში მართავენ ამერიკის „კომისრები“ და „ცერეუს“ ნომრიანი აგენტები — **„იუსაიდი“, ურსულა ფონ დერ ლაიენი, ჟოზეფ ბორელი, შარლ მიშელი, დონალდ ტუსკი, ფოტიგა, კუილიუსი, გიჟიმანტას პავილიონისი, ვიოლა ფონ ბერინგი, რასა იუკნევიჩიანე და ა.შ.**



## მოკლედ, ასეა თუ ისე, ლატენტურად ოლაფ შოლციც სააკაშვილია!

მთელ იმ ამბავში, რომელიც 2023 წლის 17 ოქტომბერს გერმანიის კანცლერს თელ-ავივის აეროპორტში გადახდა, არის კიდევ ერთი ტრაგიკომიკური მომენტი: **ჰიტლერი და გებელსი, რომლებმაც ოსვენციმის, შპანდაუს, დაჰაუსა და სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში დაახლოებით 6 მილიონ ებრაელს ამოხადეს სული, ალბათ, ჯოჯოხეთში დაიწყებენ მესამე მსოფლიო ომს, როცა შეიტყობენ, რომ გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი „ჰამასის“ რაკეტებს ისრაელის აეროპორტში ემალებოდა!**

***დიტო ჩუბინიძე***

# დაფრთხნენ საბრალონი!



## მიხეილ ცაგარელი:

# რა უნდა გვახსოვდეს მზისა და მთვარის დაბნელების დღეებში

***— მთვარის დაბნელება ადამიანებზე რა ზემოქმედებას ახდენს? ამ დროს რისგან უნდა შევიკავოთ თავი, რას უნდა ვერიდოთ, რაზე უნდა ვთქვათ უარი ანდა ვის მართებს განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა? როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ დაბნელებების პერიოდი დადებითად აისახოს ჩვენს ცხოვრებაზე?***
***— ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— 29 ოქტომბერს, კვირას, სავსემთვარეობასთან ერთად (პიკი — 00.24 საათზე) ველოდებით მთვარის დაბნელებას (პიკი — 00.25 საათზე). ზოგადად, რა ზეგავლენას მოახდენს იგი ადამიანებზე და მოვლენებზე. რისი გათვალისწინება გვმართებს?**

— **მთვარე ეზოთერიკულად ჩვენი ემოციური სამყაროს სიმბოლოს წარმოადგენს, ამიტომ ამ პერიოდში მაღალი იქნება არაკონტროლირებადი ემოციების ალბათობა. თუ მზის დაბნელების შემთხვევაში** ადრე დაგროვილი ემოციები ამოდის გულის სიღრმიდან და ხშირად უადგილოდ ზედმეტი ინტენსიურობით და აგრესიულობით გამოიხატება, **მთვარის დაბნელების დროს დროებით საკუთარ ემოციებთან კონტაქტი იკარგება, ამიტომ ზოგიერთი ადამიანი ხდება ზედმეტად რაციონალური, უხეში, მკაცრი, ხოლო ზოგი უჩვეულოდ სენტიმენტალური, მგრძნობიარე, ყველაფერი სწყინს და უმიზეზოდ იბუტება.** უნდა აღინიშნოს, რომ მთვარის დაბნელების დროს ჩადენილი საქციელის მიზეზის პოვნა მეტად ძნელია, რამეთუ მანამდე საკმაოდ კარგად იყო დაფარული. გარდა ამისა, დაბნელების გამო დამძიმებული მთვარის ენერგია განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს ადამიანების ფიზიკურ მდგომარეობაზე, განწყობასა და შეგრძნებებზე. შესაბამისად, შესაძლოა, უეცრად ძველი დაავადება აღმოცენდეს, ახალი უჩვეულო სიმპტომები გამოვლინდეს, რომელთა დიაგნოსტირება გართულდება. **მთვარის დაბნელების პერიოდში განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური და ნერვული აშლილობის მქონე ადამიანებს.**

ნიშანდობლივია ისიც, რომ **მთვარე უფრო ძლიერად მოქმედებს ურთიერთდამოკიდებულებაზე, ვიდრე მზე, ამიტომ ამ პერიოდში, შესაძლოა, თვალი აგეხილოთ ვარშემო მყოფთა საქციელის ჭეშმარიტ მოტივებსა და გამოვლინებებზე.** აუცილებელია, გვახსოვდეს ისიც, რომ **მთვარის დაბნელებისას, განსხვავებით მზის დაბნელებისგან, ინტუიცია ითიშება და ვერ მოქმედებს, ამიტომ სასურველია, თავი შევიკავოთ ნებისმიერი დასკვნებისგან და გადაწყვეტილებების მიღებისგან.** ასეთ დღეებში არ არის რეკომენდებული სამედიცინო პროცედურების ჩატარება ანდა ექიმთან კონსულტაცია, რადგან, შესაძლოა, არასწორი დიაგნოზი დაისვას და მკურნალობაც მცდარი გზითა და მეთოდებით წარიმართოს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **მთვარის დაბნელების** პერიოდში ადამიანის გემოვნებაც მნიშვნელოვნად იცვლება, რის გამოც ამ დროს განხორციელებული ცვლილებები რამდენიმე დღეში საპირისპირო არასახარბიელო რეაქციას გამოიწვევს.

**— ამის გათვალისწინებით, მთვარის დაბნელების დღეებში რას უნდა მოვერიდოთ და რაზე უნდა ვთქვათ უარი?**

— ამ დროს სასურველია, უარი თქვათ ნებისმიერი სახის შენაძენზე, მით უფრო, რომ, შესაძლოა, ისეთი რამ შევიძინოთ, რაც არც კი გვჭირდება. შესაბამისად, ფული უსარგებლო ნივთებზე რომ არ გავფლანგოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ **მთვარის დაბნელების დღეებში ადამიანი კარგავს კავშირს საკუთარ ჭეშმარიტ სურვილებთან.** ამასთან ერთად, ამ პერიოდში უნდა მოერიდოთ ყველანაირ სტრესს, გადაღლას, მძიმე ფიზიკურ სამუშაოს თუ ვარჯიშს, დაძაბულობას, რადგან ამ დროს ჩვენი შესაძლებლობებისა და დატვირთვის გათვლა გაძნელებულია, ასევე ამ დროს არ ღირს ურთიერთობის გარკვევაც.

**— რა არის საჭირო იმისათვის, რომ მთვარის დაბნელების დღეები ჩვენს ცხოვრებაზე დადებითად აისახოს?**

— ამ დროს სწორი მიდგომის შემთხვევაში, შესაძლოა, ქვეცნობიერთან მუშაობა და იმ ხარვეზების გამოსწორება, რომელიც ცხოვრებას გვირთულებს. **ეს დღეები მშვენიერია იმისთვის, რომ ჩვენი სხეული, გარემო, სახლი ენერგეტიკულად დასუფთავდეს, გამოილოცოს, იკურთხოს.** ასევე შესაძლებელია, ტექნიკური ხელსაწყო, ტესტი ან კითხვარები გამოიყენოთ, რათა გაიგოთ, რომელი არასწორი აზრი, შეხედულება იმალება თქვენს ქვეცნობიერში, რაც განვითარებაში ხელს გიშლით. შეეცადეთ, გაარკვიოთ, ყველაზე მეტად რისი გეშინიათ, რა გძულთ, რა გძაბავთ. შემდგომ კი გააანალიზებთ, რათა პირველსაწყისი მიზეზი იპოვოთ და გათავისუფლდეთ მისგან. **გარდა ამისა, ეს პერიოდი კარგია მავნე ჩვევისაგან გასათავისუფლებლად. განსაკუთრებით ამისათვის სასიკეთოა დაბნელებებს შორის შუალედი პერიოდი.** ამ შემთხვევაში შეეცადეთ, **მთვარის დაბნელების** პიკის შემდგომ ფაზაში აზრთა კონცენტრირება მოახდინოთ თქვენს მავნე ჩვევაზე და წარმოიდგინოთ, თითქოს დაბნელების ჩრდილთან ერთად თქვენგან ის მაცდურიც მიდის, რომელიც გაიძულებთ, ხელი შეუწყოთ საკუთარ სისუსტეებს. **მთვარის** სრული გამოსახულების დანახვისას კი იგრძნობთ, როგორ განიწმინდეთ და რაოდენ დიდი ძალა გაგიჩნდათ იმისათვის, რომ ყველა თქვენი ნაკლოვანებანი დაძლიოთ.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 23 – 29 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი (21.03-20.04)**
**ახალი პერსპექტივები მიგიზიდავთ, თუმცა, თავდაუზოგავი შრომა აუცილებელი იქნება. ჯანმრთელობის მდგრადობისთვის კარგი იქნება დროდადრო დასვენება და გამოძინება. ფულის იმპულსურად ხარჯვას მოერიდეთ. არსებული სასიყვარულო კავშირი კი ტრანსფორმაციას საჭიროებს. მოგზაურობა-გადაადგილებები განწყობას გაგიუმჯობესებთ.**

**კურო (21.04-20.05)**
**პარტნიორებთან ერთად დაწყებული საქმე თქვენს კეთილდღეობას უზრუნველყოფს. მიუხედავად ამისა, ფინანსების უკეთესად გამოყენებისთვის წინასწარ ყველაფერი უნდა დაგეგმოთ, ენერგია მოგემატებათ და ჯანმრთელობაც გამოგისწორდებათ. ურთიერთობისას ადვილად აიცილებთ უსიამოვნებებს, თუ მეგობრების რჩევებს გაითვალისწინებთ.**

**ტყუპი (21.05-22.06)**
**ახალი იდეები თქვენს გონებას მთლიანად დაიკავებენ, მაგრამ მათი განხორციელება ჯერჯერობით ვერ მოხერხდება. ნებისმიერ საკითხს ადვილად აუღებთ ალღოს და ყველა საქმეს სწრაფად დაასრულებთ. გადაადგილებების რიცხვი და საინტერესო ადამიანებთან შეხვედრების რაოდენობა იმატებს. დროა, დაფიქრდეთ პირადი ურთიერთობის გაოფიციალურობაზე ანდა ხარისხობრივად შეცვლაზე.**

**კირჩხიბი (23.06-22.07)**
**ენერგია ზრდას დაიწყებს, რაც გადაადგილებებსა და ახალი კავშირების დამყარებაზე პოზიტიურად აისახება. კარგი იქნება ცოდნის გაღრმავებაც. შესაძლოა, მეგობრებისა და ნათესავების მეშვეობით ახალი პროფესიული კავშირები დაამყაროთ, რაც დამატებით მოგებას მოგიტანთ. სახლში თავს საუკეთესოდ იგრძნობთ და სითბოთი აივსებით, ოღონდ შვილებს მეტი ყურადღება მიაქციეთ.**

**ლომი (23.07-23.08)**
**ეს კვირა ბევრი კონტაქტით იქნება გამორჩეული, ასევე მოსალოდნელია ხანმოკლე მოგზაურობები და ახალი ნაცნობობა. კარგი პერიოდია ჯანმრთელობის გასაკაჟებლად და გარეგნობის შესაცვლელად. ბევრ ადამიანს მოხიბლავთ გონებამახვილობის, იუმორისა და დიპლომატიურობის გამოვლენით. ნუ გადაიღლებით და ფიზიკურ დატვირთვასაც მოერიდეთ, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ.**

**ქალწული (24.08-23.09)**
**ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით და წარმატებაც არ დაიგვიანებს. ეს კვირა ახალი სპეციალობის ასათვისებლად და ახალი კავშირების დასამყარებლად გამოიყენეთ. შეყვარებულთან უთანხმოებას სხვა კუთხით შეხედეთ და ეცადეთ, ახლებური მიდგომით გამოასწოროთ სიტუაცია. ეს დრო მშვენიერი იქნება ახლო მანძილზე მოგზაურობისთვის და ახალი ნაცნობობისთვის.**

## 23 – 29 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი (24.09-22.10)**
**ახლობელთა ცხოვრებაში მონაწილეობისას ბევრ დროს საინტერესო ადამიანთა წრეში გაატარებთ. რთული საკითხების გადაწყვეტას მოერიდეთ და საყვარელ ადამიანს და ახლობლებს უფრო მეტად მიენდეთ. მეუღლესა და ოჯახის წევრებზე ძალისმიერ ზემოქმედებას ნუ შეეცდებით. ეცადეთ, ასაკით უმცროსებთან და ბავშვებთან მეტი დრო გაატაროთ. კარგი პერიოდია დასასვენებლად გამგზავრებისთვის, ჯანმრთელობის მოწესრიგებისა და ძალთა აღდგენისთვის.**

**ღრიანკალი (23.10-22.11)**
**ფსიქოსომატური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. ხიბლი, სასიცოცხლო პოტენციალი და პოპულარობაც მოიმატებს, კომფორტისა და უზრუნველყოფილი ცხოვრების მოთხოვნილებაც გაიზრდება. თქვენი შემოსავლის წყაროს ნურავის გაუმხელთ. ზომიერი გართობა შინაგანი წონასწორობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ. მოგზაურობაც საინტერესო გამოდგება.**

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**
**ახალი კავშირები სოციალურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს. უცხოელებთან ან სხვა ქალაქის მცხოვრებლებთან თანამშრომლობისას შესაძლებელია კარიერული აღმასვლა. ძველი ნაცნობ-მეგობრების იმედი ნუ გექნებათ. ახლობლები საჩუქრებით გაახარეთ და ამით თქვენც დიდ სიამოვნებას შეიგძნობთ. უცხო პირებთან ალკოჰოლის მიღებასა და კამათს მოერიდეთ, რადგან მაღალია უსიამოვნებების ალბათობა.**

**თხის რქა (22.12-19.01)**
**ამბიციურობა მოგემატებათ. განწყობა და ფიზიკური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ და მოქმედების სურვილიც მოგეძალებათ. შესაძლოა, თქვენი სოციალური სტატუსი შეიცვალოს. კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად, ნიჭის დემონსტრირებისთვის, ძველ მეგობრებთან კონტაქტებისთვის. ცოლქმრული და სასიყვარულო ურთიერთობა სიამოვნებას მოგგვრით, სადაც ბევრი სიურპრიზიც გელით. შესაძლოა, ნათესავებისგან ან მშობლებისგან დახმარება მიიღოთ.**

**მერწყული (20.01-18.02)**
**საქმეთა რეალიზება გაგიადვილდებათ პარტნიორთა დახმარებით. კარგი პერიოდია გადაადგილებებისა და ახალი კავშირების დასამყარებლად, ოღონდ ემოციები გააკონტროლეთ. ექსტრემალურ გართობას ერიდეთ და ნურაფერში გარისკავთ. სასიყვარულო ურთიერთობა შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის სტიმული გახდება. საქმეში წარმატება კი დამოკიდებული იქნება კონტაქტურობასა და გულღია კეთილგანწყობილ ურთიერთობაზე.**

**თევზები (19.02-20.03)**
**ენერგოპოტენციალი მოგემატებათ და თავს სანაქებოდ იგრძნობთ. შემოსავლის დამატებითი წყარო ინდივიდუალურ საქმიანობას დაუკავშირდება. ამ პერიოდში დიდია ოჯახში სიახლის ალბათობა. ეცადეთ, ფინანსებზე ნაკლებად იფიქროთ და წვრილმანებზეც არ იწუწუნოთ. შორეული მოგზაურობა თქვენს სტიქიაში გაგრძნობინებთ თავს და შესაძლოა, ემიგრაციაზეც დაფიქრდეთ. კარგი დროა უძრავი ქონების შესაძენადაც.**



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 23,25,26 და 28 ოქტომბერი

**29 ოქტომბერი — სავსემთვარეობა, პიკი – 00.24 საათზე, მთვარის დაბნელება, პიკი – 00.25 საათზე.**

## 23 ოქტომბერი, ორშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (20.22) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.22 საათზე, ჩადის 18.08 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 15.38 საათზე, ჩადის 24 ოქტომბერს 00.16 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 17.10 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.04 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მზის გადანაცვლება ღრიანკალის ზოდიაქოში ადამიანებში გაამახვილებს შეუპოვრობას, ორგანიზებულობას, ნებისყოფას, ინტუიციას, ბრძოლისუნარიანობას და ასევე ზედმეტ პირდაპირობას, წყენას, უკომპრომისობას, შურსაც. დღეს მოერიდეთ ნერვიულობას, ფორიაქს, ზედმეტ ლაპარაკს. ოჯახს მეტი დრო დაუთმეთ და ყოფითი პრობლემები მშვიდობიანად გადაწყვიტეთ. კარგი დღეა შეხვედრის ან მოქმედების დასაგეგმად, ელექტრო, აირ და კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად, სარემონტო-სამღებრო სამუშაოებისთვის, სველი წესით დალაგებისთვის, საზოგადოებრივი და რეფორმისტული საქმიანობისთვის. არ არის სასურველი სულსწრაფობა, ემოციურობა, ყველაფრის გაპროტესტება. დღეს დაშვებული შეცდომა ბუმერანგივით დაგიბრუნდებათ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრინი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

## 24 ოქტომბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.23 საათზე, ჩადის 18.07 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.35) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 16.08 საათზე, ჩადის 25 ოქტომბერს 01.34 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 17.21 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 12.23 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ყველაფერი აკეთეთ აუჩქარებლად. ემოციები აკონტროლეთ, რათა არაადეკვატურობა არ გამოავლინოთ, ამავდროულად, ძველ გეგმებს ნუ მიეჯაჭვებით, საქმეთა მსვლელობაც აკონტროლეთ და საჭირო ზომები დროულად მიიღეთ. დღეს შეიძლება ახდეს ადრე ჩაფიქრებული პოზიტიური სურვილი, სიცოცხლისუნარიანობა იმატებს. კარგი დღეა ქველმოქმედებისთვის, იურიდიული საქმიანობისთვის, შემოქმედებისთვის. არ არის სასურველი საიდუმლოს გამხელა, ახალი საქმის დაწყება, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, სესხის აღება ან გაცემა, ალკოჰოლის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, თვალები, ტერფები. **ქვები:** გიშერი, მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 25 ოქტომბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.24 საათზე, ჩადის 18.06 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 16.34 საათზე, ჩადის 26 ოქტომბერს 02.52 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 17.28 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სამყარო შეამოწმებს თქვენი მიზნების მართებულობას. სასიკეთოა ინტენსიური შრომა. ამავდროულად, ეცადეთ, თქვენი ძალა და შესაძლებლობანი სწორად შეაფასოთ. კარგი დღეა იურიდიული საქმიანობისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისთვის, შემოქმედებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, ქორწინებისთვის, კონტრაქტის დასადებად, სპონსორის საძიებლად. არ არის სასურველი ყვირილი და ჩხუბი, ახალი საქმის დაწყება, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, სესხის აღება ან გაცემა, ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება, საიდუმლოს გამხელა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 26 ოქტომბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.25 საათზე, ჩადის 18.04 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (14.04) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 16.58 საათზე, ჩადის 27 ოქტომბერს 04.09 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 17.35 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.39 საათიდან 14.04 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ეფექტური იქნება ყელის, თირკმლების, შარდსასქესო სისტემის მკურნალობა. სასიკეთოა ლოცვა და მედიტაცია. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, ქველმოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, ქორწინებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, შემოქმედებისთვის. დღის მე-2 ნახევარში ხელი შეეწყობა ხელმძღვანელთან ურთიერთობას, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შეძენას, სპორტულ ღონისძიებებს. არ არის სასურველი სესხის აღება-გაცემა, ალკოჰოლური სასმელების მიღება, ანალიზების ჩაბარება. დღის მე-2 ნახევარში მოერიდეთ საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, ხელშეკრულების დადებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები, ლიმფური სისტემა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, მარჯანი. **საღამოს** — ლალი, იაგუნდი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 27 ოქტომბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.26 საათზე, ჩადის 18.03 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 17.21 საათზე, ჩადის 28 ოქტომბერს 05.25 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 17.42 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მოერიდეთ რთული საქმის კეთებას, პროვოკაციებს. მშობლების რჩევა ყურად იღეთ. წესები დაიცავით, თქვენი ცხოვრება გაიაზრეთ. დღეს და ხვალ იკრძალება ალკოჰოლის მიღება. შუადღის შემდეგ ენერგიის სიმცირეს შეიგრძნობთ. ყავის, შოკოლადის მიღებაც არ ღირს. თვალებს ნუ გადაღლით. კარგი დღეა მსუბუქი ვარჯიშებისთვის, ტანსაცმლისა და სპორტული ნივთების შესაძენად. სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინეთ მგზავრობისას, საქმიანობისას. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, ხელშეკრულების დადება, კაპიტალდაბანდება, სტომატოლოგიური პროცედურები, კამათი, იმპულსურობა, აგრესიულობის გამოვლენა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, გიშერი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 28 ოქტომბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.28 საათზე, ჩადის 18.01 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.40) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 17.46 საათზე, ჩადის 29 ოქტომბერს 06.41 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 17.50 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.20 საათიდან 15.40 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა.** დღეს და ხვალ მძიმე, რთული ენერგიების დღეებია. ემოციები აკონტროლეთ. მაღალია კონფლიქტების, ტრავმების, ავარიების, ცდუნებებისა და შეცდომების ალბათობა. არ არის სასურველი ხალხის მასაში ყოფნა, ალკოჰოლის, ცივი და გაზიანი სასმლის მიღება, აგრესიულ ადამიანებთან კონტაქტი, სარისკო ქმედებანი, მნიშვნელოვანი საქმის შესრულება ან გადაწყვეტილების მიღება, საქმის გარჩევა. სასიკეთოა ლოცვა და ყველას დალოცვა. დღე მშვიდად გაატარეთ. ოპტიმისტურად განეწყვეთ. ზედმეტ საკვებსაც ნუ მიიღებთ. კარგი დღეა ბუნებასთან და ახლობლებთან კონტაქტისთვის, შემოქმედებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, გიშერი. **ნეიტრალური დღეა** ყველა ზოდიაქოს ნიშნისთვის, გარდა ვერძისა.

## 29 ოქტომბერი, კვირა

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.29 საათზე, ჩადის 18.00 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 18.13 საათზე, ჩადის 30 ოქტომბერს 07.58 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 18.01 საათზე. **სავსემთვარეობაა,** პიკი — 00.24 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა. **მთვარის დაბნელებაა,** პიკი — 00.25 საათზე). **დღეს სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელებაა.** ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ნურაფერს დაგეგმავთ, სასიკეთოა ბუნების წიაღში ყოფნა, ვარჯიში, მოძრაობა. არ არის სასურველი შორეული მოგზაურობა და მგზავრობა, მნიშვნელოვანი საქმის კეთება ან გადაწყვეტილებების მიღება, განკითხვა, გაკიცხვა, გაბრაზება, აგრესიის გამოვლენა, ხელშეკრულების დადება, სარისკო ქმედებანი. მაღალია ცდუნებების, შეცდომების, ტრავმების, ავარიების ალბათობა. შეინარჩუნეთ პოზიტიური განწყობა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, სამკურნალო მცენარის ნაყოფის შესაგროვებლად, კულტურულ-გასართობი (ზომიერი) ღონისძიებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, ქრიზოპრაზი, მალაქიტი, გიშერი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის.

# «ტონზილინმა» ასეულობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა!

***ჩირქოვანი ნუშურა ჯირკვლები, რომელსაც „გლანდებსაც“ უწოდებენ, ბავშვის მშობლებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. არასათანადო მკურნალობას გართულებები შეიძლება მოჰყვეს:***

**ყურის ანთება: ოტიტი; რევმატიზმი; სახსრების შეძენილი ანთება: პოლიართრიტი; გულის შეძენილი მანკი; თირკმლის ანთება: ნეფრიტი.**




მკურნალობის მეთოდად განსაკუთრებულ შემთხვევებში, ძირითადად, **ანტიბიოტიკები** გამოიყენება, თუმცა, მათ **გვერდითი მოვლენებიც** გააჩნია: თრგუნავენ ქრონიკული ტონზილიტის დროს ბავშვის ისედაც დასუსტებულ იმუნიტეტს და პროცესი ქრონიკულ ფორმაში გადაჰყავთ. საკმარისია გაცივება, რაიმე ვირუსი ან ბაქტერია ბავშვს შეხვდეს, ანთებითი პროცესი კვლავ იფეთქებს. თითქმის ყველა მშობელმა იცის, რომ ქრონიკული ტონზილიტი დიდხანს თუ გაგრძელდა, ის რევმატიზმით შესაძლოა გართულდეს, საბოლოოდ ასეთ „გლანდებს“ ოპერაციულად აშორებენ და ჩვენთან ეს წესი დღესაც მიღებულია.

**ოპერაცია საკითხის არასწორი გადაწყვეტაა!** უნდა ვიცოდეთ: ბავშვი, როდესაც დაიბადება, მისი იმუნური სისტემა, ძირითადად, სწორედ ე.წ. „გლანდებია“. ის არის ის პირველი ბარიერი, ფილტრი, რომელიც ხელს უშლის ბავშვის ორგანიზმში ვირუსების, ბაქტერიებისა და მავნე ნივთიერებების მოხვედრას. **სრულყოფილი იმუნური დაცვა ბავშვს 8-10 წლის ასაკში უყალიბდება.** „გლანდებს“ თანდათანობით ანაცვლებს იმუნური სისტემების სხვა ორგანოები: **ძვლის ტვინი, ელენთა, ღვიძლი და ა.შ.** მთავარი ამოცანაა, ბავშვის „გლანდები“ 8-10 წლის ასაკის **მიღწევამდე ოპერაციულად ამოკვეთას გადავარჩინოთ.**

არის ერთი პრობლემაც: როდესაც ბავშვს იმუნიტეტის მთავარ ორგანოს — გლანდს — მოაცილებენ, ორგანიზმი დაუცველი ხდება. ასეთ ბავშვებს ოპერაციიდან გარკვეული დროის შემდეგ ხშირად უვითარდებათ: **ასთმა, სხვადასხვა სახის ალერგიები, კუჭ-ნაწლავის პრობლემები** და ა.შ. გარდა ამისა, „გლანდები“ ასრულებს ერთგვარი ენდოკრინული ორგანოს როლსაც. მათ, ვისაც განუვითარდათ: **მასტოპათია, ფიბროადენომა, ფარისებრი ჯირკვლისა და საკვერცხეების კისტა, საშვილოსნოს მიომა, პროსტატის ადენომა,** ამ ყველაფერს ბიძგი მისცა ბავშვობის ასაკში „გლანდების“ ამოჭრამ.

ჰომეოპათიურ მედიცინას, უმრავლეს შემთხვევაში, შეუძლია დაჩირქებული „გლანდები“ **ამოკვეთას გადაარჩინოს!**

**„გულის ელექსირის“, „იმუნო-ჰერბის“, „მამოსილის“** შემქმნელის, ეკოლოგიის აკადემიის აკადემიკოსის, ექიმ-ჰომეოპათ **კახა საბახტარიშვილის** ხელმძღვანელობით, ექიმ **სოფიო მარგალიტაშვილთან** ერთად, შეიქმნა უნიკალური და ინოვაციური ბუნებრივი პრეპარატი **„ტონზილინი“**, რომელმაც **ასეულობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა!**

**„ტონზილინის“** გამოყენებით, **ანგინის, ჩირქოვანი ტონზილიტის** მკურნალობისას შედეგები ჩანს მკურნალობის დაწყებისთანავე. **ძლიერდება იმუნური სისტემა, ალაგდება ჩირქოვანი საცობები, „გლანდები“ ჩვეულ ფორმას უბრუნდება. „ტონზილინი“** აუცილებლად უნდა მიიღონ იმ ბავშვებმაც, რომელთაც **„გლანდები“ უკვე ამოჭრილი აქვთ,** რადგანაც ოპერაციის შემდეგ არცთუ ისე იშვიათია რევმატიზმის შედეგები. ამ პრეპარატზე 20 წელზე მეტია, მიმდინარეობდა დაკვირვება. **მისმა ეფექტურობამ 80-90%-ს მიაღწია,** ხოლო **ასეულობით ბავშვი და მოზარდი „გლანდების“ ოპერაციულად ამოკვეთას გადაურჩა!**

*კოვიდპანდემიის დროს **„იმუნო-ჰერბმა“** საოცარი შედეგები აჩვენა: ვინც მას ღებულობდა — 70-80 პროცენტს კოვიდი საერთოდ არ დაემართა ან ყოველგვარი გართულების გარეშე გადაიტანა. საუკეთესოა **„ტონზილინის“ „იმუნო-ჰერბი-ფორტეს“** კომბინაცია. **ორგანიზმი დაცულია** რესპირატორული ვირუსებისაგან: **გრიპი, რინოვირუსები, კოვიდი და ა.შ.** ეს პრეპარატები ჯანმრთელმა ბავშვმაც უნდა მიიღოს პროფილაქტიკის მიზნით. ეს უსაფრთხო მცენარეული პრეპარატები, **ფაქტობრივად, ბუნებრივი აცრაა.***

## P.S.

*__„ტონზილინთან“__ ერთად __კახა საბახტარიშვილის__ პრეპარატები __PSP__-ს და სხვა სააფთიაქო ქსელებში გამოჩნდა ახალი სახელწოდებებით: __„გულის ელექსირი ფორტე“, „იმუნო-ჰერბი ფორტე“, „მამოსილი ფორტე“.__ ეს ცნობილი წამლების __გაუმჯობესებული, სწრაფი მოქმედების__ ფარმაცევტული პროდუქტებია.*

**ტელ: 593-31-70-34**
**„კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“, ვაჟა-ფშაველას 43 (პროფკავშირების სახლი, მეტრო დელისთან)**



**მაღაზია «ბუკვიცა»**
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

**იმედის კლინიკა**
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80



**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. ნაზარეთი; 10. სანაპირო; 11. მდოგვი; 12. ვალერიანა; 13. მორიკონე; 14. რიცოსი; 16. ლიეპაია; 17. კარენინა; 21. კობერიძე; 22. მელანი; 24. მაცივარი; 25. სალიერი; 28. დიკენსი; 31. ინოზიტი; 33. მანტისა; 35. ასპარეზი; 36. ოწინარი; 39. ნეოგენი; 40. დარიკო; 43. პოტომაკი; 44. ტიტიკაკა; 48. დესერტი; 49. სიფილისი; 53. რატომ; 54. გინესი; 55. შერი; 56. კალანდაძე; 57. ფილმი; 58. აპრილი; 59. ნიუ.

შვეულად: 1. პაგოდა; 2. მარინე; 3. მინორი; 4. ნოველა; 5. ზელვეგერი; 6. რურუა; 7. თვალაკი; 8. კონცერტი; 9. ქვის; 11. მარაბდა; 15. ილეთი; 17. კომლი; 18. რაციონი; 19. ნავსი; 20. ნარდი; 23. ავე; 25. სიმინდი; 26. ლანკომი; 27. ერითემა; 28. დასტა; 29. კიაფი; 30. ნიელო; 32. ტარზანი; 34. ადიდა; 37. წნორი; 38. ნეონი; 40. დიდი; 41. რისკი; 42. კარმენი; 44. ტირიფი; 45. ტიტული; 46. კომში; 47. კვირტი; 49. საკე; 50. ფული; 51. ლენა; 52. სლაი; 54. გეა.

**ბატისტაკატონიაგარაკითარაშკოდალამისტერმინი**
**ბისტროპარიტეტიაბასილიდიალოგიკალიანოსირიკი**

| კუბის სახელმწიფო მოღვაწე | რომის პოლიტიკური მოღვაწე | დასასვენებელი ადგილი | ... ემხვარი (მთვარის მოტაცება) | ხეკაკუნა ფრინველი | მიმართვა მამაკაცისადმი ინგლისში | მოკლე კაბა |
|---|---|---|---|---|---|---|

| შინაური ფრინველი | წყვეტილად, მოწყვეტით (მუს.) | მდინარე და ჩანჩქერი ჩრ. ამერიკაში | ძველბერძნული სიმებიანი საკრავი | ჩეხური ავტო | თითქმის | სიტყვა, რომელიც გადმოსცემს დარგის ცნებას |
|---|---|---|---|---|---|---|



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. ქალაქი ისრაელში; 10. წყლის ნაპირას მდებარე ტერიტორია; 11. მწარე საწებელი; 12. კატაბალახა; 13. იტალიელი კომპოზიტორი; 14. ბერძენი პოეტი; 16. ქალაქი ლატვიაში; 17. ლ. ტოლსტოი — „ანა ...“; 21. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 22. საწერი სითხე; 24. პროდუქტის გასაციებელი ელკარადა; 25. იტალიელი კომპოზიტორი; 28. ინგლისელი მწერალი; 31. კუნთის შაქარი; 33. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 35. სარბიელი; 36. ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა; 39. დედამიწის ისტორიის მესამეული პერიოდის მეორე ნახევარი; 40. სიმონას ცოლი (ე. ნინოშვილი); 43. მდინარე აშშ-ში; 44. ტბა პერუსა და ბოლივიაში; 48. ჩაროზი; 49. ვენერიული დაავადება; 53. რად? რისთვის? 54. რეკორდების წიგნი; 55. ამერიკელი მსახიობი და მომღერალი ქალი; 56. ქართველი პოეტი ქალი; 57. კინოსურათი; 58. გაზაფხულის თვე; 59. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ბუდისტური საკულტო ნაგებობა; 2. ჭრიჭინას სახელი; 3. ნაღვლიანი განწყობილება; 4. პატარა მოთხრობა; 5. ამერიკელი მსახიობი ქალი — რენე ...; 6. ქართველი ექსფალავანი; 7. სათვალთვალო ჭუჭრუტანა აპარატებში; 8. დიდი მუსიკალური ნაწარმოები დაწერილი ერთი საკრავისთვის ორკესტრთან ერთად; 9. ა. პუშკინი — „... სტუმარი“ (პიეს.); 11. არსენას მშობლიური სოფელი; 15. ცალკეული მოძრაობა სპორტში; 17. სოფელში მცხოვრები ცალკე ოჯახი; 18. საკვების ნორმა გარკვეული ვადისათვის; 19. თარსი; 20. თამაში კამათლებით; 23. საგალობელი ... მარია; 25. მარცვლეული კულტურა; 26. ფრანგული პარფიუმერული ფირმა; 27. კანის გაწითლება სისხლის მიწოლით; 28. მედუდუკეთა ანსამბლი; 29. ციალი, ციმციმი; 30. მოსავლის ტექნიკა; 32. ფილმი ვაისმიულერის მონაწილეობით; 34. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო; 37. ტირიფის სახეობა; 38. ქიმიური ელემენტი, გაზი; 40. მოზრდილი; 41. ალალბედზე მოქმედება; 42. ჟ. ბიზეს ოპერა; 44. რბილმერქნიანი ხე; 45. წოდება; 46. ბია; 47. გაუშლელი ყვავილი; 49. ბრინჯის არაყი; 50. „ხელის ჭუჭყი“; 51. მდინარე რუსეთში; 52. სტალონეს თიკუნი; 54. ქვესკნელის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| „სწრაფი“ კაფე | მხარეთა თანასწორობის პრინციპი | ირანის შაჰი | მცირე აზიის ძვ. სახელწოდება | შინაგანი კანონზომიერება | სავანის ტიპი სამხრეთ ამერიკაში | მომღერალი ... მარტინი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ნომრის გამეორების მოთხოვნა | სალოცავი ლექსები მართლმადიდებელ ეკლესიაში | უვიცი, გაუნათლებელი | ბიზანტიის იმპერატორი | საუბარი ორ პირს შორის | მავნე მწერი | სოფელი სენაკის რაიონში | დასტური |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ (ᲐᲠ) ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.



რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზვაარბიელი

ასავალ დასავალი

2023 წლის 23 — 29 ოქტომბერი №46 (1510)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოჩჰოჩაცია "ასავალ-ღასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-ღასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

